



№ 2 // 2019

ლიცენზირებული –  
საზღვარგარეთის ქართული

სარედაქციო კოლეგია

ანდრო ბელუპაძე  
თავმჯდომარე

მთავარი რედაქტორი  
ამირან გომართელი

როინ აბუსელიძე  
გიორგი ალიბაგაშვილი  
ივანე ამირხანაშვილი  
ბალათერ არაბული

პასუხისმგებელი რედაქტორი  
თამარ გელიტაშვილი

ლავა ბაქრაძე  
ნაირა ბაჰიევი  
ლევან ბრეგვაძე

რედაქტორ-სტილისტი  
ქეთევან მერკვილაძე

გენრი ლოლიძე  
გურამ დოჩანაშვილი  
ზვიად კვარაცხელია

კომპიუტერული გრაფიკა  
და დიზაინი  
ქეთი გომართელი

ლანა მანველი  
გაბა ნახუცრიშვილი  
გიორგი სოსიაშვილი  
მანა ტურაბულიძე

---

ქართული გამომცემის  
საქართველოს განათლების,  
მეცნიერების, კულტურისა და სპორტის  
სამინისტროსა და ქართული  
ლიცენზირების ეროვნული ფონდის  
მხატდაჭრით

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ. №1  
ciskari1852@gmail.com  
<https://www.facebook.com/ciskari1852>



ქართული  
ლიტერატურის  
ეროვნული  
ფონდი



# სარჩევი

პოეზია ნინა სამხარაძე ლექსები	3	ლევან ბებურიშვილი სამშობლოს კონცეპტი „არტისტულ ყვავილებში“	71
პროზა გიორგი სოსიაშვილი მოთხრობები	10	ახალი თარგმანები შირლი ჯექსონი ჩარლზი ინგლისურიდან თარგმნა მარიამ მერკვილაძემ	78
პოეზია ქეთევან ნათელაძე ლექსები	19	უილიამ საროიანი პიანინო ინგლისურიდან თარგმნა მაია ბოლაშვილმა	83
დოკუმენტური პროზა ნიკოლას მაჩაბელი ჩაინა კონტრასტებიდან მოთხრობა	28	არბრევი იოსებ ჭუმბურიძე მსახიობის პორტრეტი რეჟისორულ ინტერვიუში	86
„არბისტული ყვავილები“ – 100 ამირან გომართელი იდუმალეზა შორეულ ტრფობის“ ეპოქის კონტექსტში	50		

ჟურნალის 73-ე გვერდზე –  
ირაკლი ფარჯიანი – გალაკტიონ ტაბიძე

**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;  
გთხოვთ, მასალების ელვერსია გადმოგზავნოთ ვორდის ფაილით;  
ჟურნალის ყოველი ნომრის ელვერსია მომდევნო ნომრის გამოსვლისთანავე  
განთავსდება ჩვენს ფეისბუქგვერდზე: <https://www.facebook.com/ciskari1852>

## ნინა სამხარაძე



●  
შენ თუ გინახავს, როგორ გლოვობს  
ნასეტყვარს გლეხი,  
როგორ ელიან სამძიმარზე  
მკვდრები მნახველებს,  
შეგეზიზღება ყველა კანონი  
და ყველა წესი,  
ის შენი თავიც, კუთხეში რომ  
ცრემლებს ახველებს.

როგორ უცდიან მებადურებს  
მხდალი თევზები,  
როგორ გაისმის ნააბორტალ  
ბავშვთა არია,  
მე ვადასტურებ ათ მცნებაზე  
მეტჯერ შეცდენით,  
რომ ჩემი ყველა აღსარება  
შემზარავია.

შენ არ გინახავს გაქცეული  
შენიდან ღმერთი,  
ვით დაგლეჯილი კლავიშები  
სხვენში როიალს,  
მაშასადამე ცხოვრებაში  
იმდენჯერ შეცდი,  
რომ, ვაშლის გარდა, ყველა ხილი  
ცუდი გგონია.

ხო, მე მინახავს  
როგორ გლოვობს ნასეტყვარს გლეხი,  
როგორ ელიან სამძიმარზე  
მკვდრები მნახველებს,  
ასე შემზიზილდა კანონი და  
სულ ყველა წესი,  
ის ჩემი თავიც, კუთხეში რომ  
ცრემლებს ახველებს.

## აალება

ახლა ძლიერ მინდა აალება  
ანდა გაქვავება ყინულივით,  
მგელიც ვიყავი და სახარებაც,  
ავი ეშმაკიც და ქერუბიმიც.

რადგან თვეც მე მერგო ნაკიანი,  
ცივი, ნაზამთრალი, უალერსო,  
ასე ვერ დაგვტოვებს ნაკლიანებს –  
სუნთქვა სიკვდილზეა უარესი.

ასე ვერ დაგვტოვებს უიმედოდ,  
ასე ვერ დაგვტოვებს უსახლკაროდ,  
ასე ვერ დაგვტოვებთ ცას და მიწას,  
ღმერთიც აღარ დარჩა მოსაკლავი.  
ღმერთიც აღარ დარჩა საიმედო,  
მხეცთან მიგდებული მომთაბარე  
წუხელ სიკვდილისთვის გავიმეტე...

ზოგჯერ გზა არ არის აღმართები,  
ზოგჯერ სახლი ჰქვია ნასახლარებს  
და მე ცხოვრებასთან დამარცხებით  
სულ სხვა ცხოვრებასაც დავამთავრებ.

ღმერთიც კაცია და უიმედო,  
მხოლოდ ჩვენ გვერჩიან ნაკლიანებს,  
ყელში ამოსული სახარებით  
ახლა ისე ძლიერ დავილაღე.  
სულ სხვა ცხოვრებასაც დავამთავრებ,  
სულ სხვა ცხოვრებასაც დავამთავრებ,  
სულ სხვა ცხოვრებასაც დავამთავრებ...

## ყველა გადაწერილ პირფვარს გეფიცები

ყველა გადაწერილ პირფვარს გეფიცები,  
ჩემი ღმერთის ხორცი პურის მარცვლებშია,  
ახლა ფანჯრის წინ რომ ღრღნიან შოშიები.  
ჩემი ღმერთის სისხლი – ყანწის სასმისივით  
უბნის ლოთებს ადევთ ტუჩთან მოშიებით,  
ხოლო სახარების მე ვარ განმარტება –  
ყველა მოუნათლავ ბავშვად შევიცანი.  
მიუტევები ხარ, ფუჭი აღსარებით,  
რადგან ყველა ცოდვა ჩემი შენიც არი...  
ყველა გადაწერილ პირფვარს გეფიცები,  
ახლა ჩემი წყალი შარის მეძავივით  
ნამად ფოთლებზეა, მზეებს ეფიცხება,  
ახლა ჩემი ხორცი – ცხენის უნაგირი,  
მინებს შემოივლის, როგორც ბედისწერა.  
რადგან ჩემი ძვლები შენი ჭიშკარია,  
ყველა ჩემი სუნთქვა შენში შევიკარი,  
უპატიები ხარ, რადგან დამიჯერე,  
რადგან ყველა ცოდვა ჩემი შენიც არი.  
ყველა გადაწერილ პირფვარს გეფიცები,  
ჩემი ღმერთის ხორცი პურის მარცვლებშია,  
ახლა ფანჯრის წინ რომ ღრღნიან შოშიები...



●  
ზეცა დამტირის მე, არშემდგარ  
პირველ პატარძალს,  
დღეს დედამინა დავაქვრივე –  
მოვწყდი სამოთხეს,  
შენ დგახარ ქარში, ჩემს სხეულთან,  
როგორც ტაძართან,  
შენ დგახარ ქარში და ჩემამდე  
ღმერთი გაშორებს.

●  
არ მინდა დაფნა, უგვირგვინოდაც  
ვიცი მე ვინ ვარ,  
რადგან გენში გაქვთ დაფნის შემდეგ  
სროლა ლაფების,  
სტრიქონებს შორის თეთრ სივრცეზე  
დავიდებ ბინას  
ანდა მელნის ქვეშ ნაკუნ-ნაკუნ  
დავიკარგები.

●  
ყველაფერი ასე იწყება –  
წვიმას ყველგან ერთი სუნი აქვს.  
ზღვა ზღვაზეა მიჯაჭული, როგორც პრომეთე,  
მეზობლის ძალლი საკვებს ისევ  
ჩემგან იპარავს.  
ღმერთის ცოლივით შუბლშეკრულ დილას  
ჯერ ისევ ვითმენ, ისევ ვითმენ  
თავს და რუტინას,  
ანწყო ისევ რიგზე არ არის.  
ვიცი, რა ჰქვიათ არწივის შვილებს,  
მაგრამ არ ვიცი, ჩემი სამარე  
თუ არის სადმე.  
„ნუ მიეყრდნობით!“ –  
მეტროშიც კი იცვლება კარი,  
მე არასოდეს არ ჩავსულვარ „გოცირიძეზე“  
და მიხარია, რომ არა ვარ ფუჭი და მდარე,  
რელსებზე მედო ფიტული და ვერ დამინახე,  
რადგან არასდროს გიჭამია ბროწეულები,  
წელში მოხრისას რომ არ სძვრებათ  
გვირგვინი თავზე.  
ისევ რუტინა –  
უბედური, უკაპილარო,  
წვიმა არ იცვლის სუნსა და პრინციპს,  
ისევ ცა უმზერს ზღვასთან იადონს,  
მეზობლის ძალღმაც ჰპოვა სიმშვიდე.

მე, ოქტავიდან ოქტავამდე  
მოკლე ხელივით გადაჭიმული,  
თეთრ კლავიშებზე თითებს არ ვანყობ,  
თეთრ კლავიშებზე მიდევის სხეული.

## მძიმე

მძიმედ მიფრინავს პეპელა.  
მე ფრთებზე ვუთვლი წერტილებს –  
ღმერთის ხალივით წმინდას და ფერმკრთალს.  
ზუსტად ამდენჯერ მინდოდა შეველა,  
ჩემსავე თავს რომ შევწირე  
ჩემივე თავი მსხვერპლად.

## გამო ნეკერჩხლის

ღამეა... ამ დროს, არც ერთ საათს არ აქვს დატვირთვა,  
ღამეა... ჩემ წინ აღმოდებულ ურჩხულებს ვითმენ.  
გამოვიყენე შენი მკლავი, შიშის საკიდად,  
დარდის საზიდად შეგანაცვლე პირფარას და ქრისტეს.

ურჩხულებს სძინავთ,  
როგორც მკვდრებს და გახრწნილ აჩრდილებს  
და ყოველ დილას ჩემი გული სარკოფაგდება,  
შენ სულ იქნები ჩემს სუნთქვასთან ასე საჭირო,  
ისე საჭირო, როგორც ლერწამს სჭირდება ძალა,  
რომ არ მივიდეს ვინმე ქურდი, ღამით არ მოჭრას,  
რომ არ წაიღოს მახინჯმა და ბოროტმა ქარმა.

კიდევ ღამდება, ისე ნელა, ისე საშინლად,  
საზარელია, შენს ადგილას ჭინკები ხტიან,  
უნდა წავიდე, არ მოვკვდები, არა, შადიმან!  
სამარხი არ ვარ, ფარაონებს რა უნდათ ჩემში.  
რადგან აქ მხოლოდ ალუბლების ნერგები ყრია,  
რადგან დორბლიან, აღმოდებულ ურჩხულებს ვითმენ,  
უნდა წავიდე, სადაც მხოლოდ იმ ხეებს ჭრიან,  
რითაც იქმნება ფურცლები და ფურცლებზე – ღმერთი.

მე დამიჯერე, არც ერთ კლოუნად არა ღირს მეფე  
და ცნობილ ჯამბაზს, როცა მის წინ დანით დამჭრიან,  
მხოლოდ შენ შეძლებ ჩემს ტუჩებზე ღიმილი ნახო,  
იქ ნუ დამტოვებ, ატმის ხესთან დამდე, შადიმან.

●  
მე შენ მიყვარხარ.  
შეშურდება ყველა დედოფალს  
და ყველა მეფე განრისხებულ მზერას მოგაპყრობს,

მერე ვერავინ დაიბრალებს ჩემზე მეფობას,  
ჩემზე ღმერთობა მიჩუქნია შენთვის, ჰელადოს!  
მხოლოდ შემეხე ერთხელ და მორჩა,  
ცოცხალს ნუ მომკლავ, მკვდარს ნუ დამტოვებ,  
უშენოდ ბრმა ვარ და ყველას მონა,  
შენიანად კი მთა-ბარს ვბატონობ.

მაგრამ დასრულდა!..  
ვტოვებ ქვეყანას, გტოვებ ამარა თბილისის ქარის,  
მომენატრება შენი ჭალარა, ვით დათოვლილი  
მთისა და ბარის.  
ურთიერთობა – კავკასიონი.  
ზღვა ზეცაზეა მიჯაჭვული ამირანივით  
და მე მივდივარ, ზურგზე მანევს მთა და რიონი.  
ღმერთის ნარჩენებს ვაგემოვნებ,  
ჰო, მას გემო აქვს,  
გემო, სხეულზე ჩამომდნარი წვიმის და თოვლის  
და მისი სუნი უკანასკნელ იმედად მიმაქვს –  
ურჩხულებს სძინავთ,  
ურჩხულებს სძინავთ,  
ურჩხულებს სძინავთ!..

●  
ნანამებ, ნანვიმარ,  
დაქანცულ ფოთლებში ჩურჩული:  
„სად არის!..  
სად არის!..  
სად არის!..“  
წასვლას და დარჩენას  
ერთმანეთს ადარებ,  
ადარდებ  
არავის,  
არავის,  
არავის!

კარავი გაშალეს  
დამტვრეულ ტოტებმა,  
ხშირია სუნთქვა და  
ჩერდები დროდადრო,  
აქ არის ლექსებიც,  
ნახატიც, ნოტებიც  
და ერთხელ შეხება  
მაინც რომ მოასწრო –  
იცოცხლებ.  
იცოცხლებ!  
გაძლებ და გაუძლებ



ნაბიჯებს ერთად და  
ნაბიჯებს – ცალ-ცალკე  
და სველი ტუჩებით  
სამყაროს აუნყებ,  
ბუნება იმედს რომ  
არასდროს არ დალევს.

და ახლა ნანამებ ნანვიმარ  
ფოთლებში  
ვუყურებ ჩემს თავს და  
ვჩურჩულებ:  
„სად არის!..“  
მე ძირს ვაგდივარ და  
სამყარო მაბიჯებს,  
გარშემო არავინ  
არ არის,  
არ არის!..





## გიორგი სოსიაშვილი

### ჩიტები

მე თვითონ აღვიკვეცე ბერად – შემთხვევით, ჩემი ხელით... რიტუალები კი არა და ისა. თან მთვრალი აღვიკვეცე, გატიალებული. ჩემი ცოლი ეგრე გაბეცებული მიყურებდა. მართლა ეგონა, რო დავუსტვინე. ისე, ერთი-ორჯერ ლოცვის დროს ჩავსტვინე კიდეც. ჩიტებს ვხედავდი, გარშემო რო დამტრიალებდნენ. ჩიტები გყავ, ჩიტები გყავო. მართლა მყავდა ჩიტები. სულ მყავდა, ნაირნაირები, ჭიკჭიკი ჩამესმოდა ხოლმე და პურის ნამცეცები დამქონდა გულის ჯიბით. დაფვზვნიდი პურის გამხმარ გულს და ჯიბეში ვიყრიდი ხოლმე, ჩემი ჩიტებისთვის. ვისაც არ ჰყავს, იმან იდარდოს, აქაც არა ჰყავ და იქაც რო ვერ მოხვდება, სადაც ღვთის ჩიტების ჭიკჭიკია სულა... ესენიც ღვთისაა, აქ რო არიან და მე დამტრიალებენ, მაგრამ ისინი მაინც სულ სხვებია, იქა ზეცაში. ეს ჩიტები ხო მაინცა მყავ, ვხედავ – დამტრიალებენ, მოვიჩვიე, ხელი არასოდეს ამიქნევია, პერანგის გულის ჯიბეში ხმელი ნამცეცები რჩება ხოლმე. უკვირდა მაიას, ჩემს ცოლს, სახელი რო გადავარქვი. მომწყინდა მისი სახელი მარიკო, მარიკო, მარიკო... სულ ერთი და იგივე სახელი რატო უნდა ერ-

ქვას ადამიანს, შენს ხელში არ არის? აილე და გადაირქვი, დიდი ამბავი, ორსახელიანი ადამიანები ხო არიან, თან ის სახელები რო არაფრით გვანან ერთმანეთს. ოდნავ მაინც გავდნენ... დაირქვი ერთი, ორი, სამი, თუ გინდა ასი, რამდენ ადამიანსაც აღმოაჩენ, იმდენი სახელი დაირქვი და საინტერესოც კი იქნება. ბოლო-ბოლო რამდენი ადამიანი ცხოვრობს შენში, ამ სახელებით დაითვლი და აღარ დაგავიწყდებიან. არადა, რამდენსაც იპოვი, მალევე დავიწყებას ეძლევა. შენში არსებული რო დაგავიწყდება, სხვა დიდხანს როგორ გემახსოვრება. გადავარქვი და სულ მაია-მაიას დავძახოდი. ვერა ხარო. არა, კი დიდი ხანია ვიცოდი, რო ვერა ხარ, მაგრამ თუ ასე აფრენდი, ამას ვერ დავიჯერებდიო. რა დაჯერება უნდა? ან რა არის ახლა აქ ძაან გასაგიჟებელი. ვილაც გოგოს ერქვა მაია. კაი გოგო იყო. ძაანაც კი არ მომწონებია, მაგრამ ავიჩემე და დამთავრდა. შენს პატრონს უბედურს, აი, ეგ გიყო მაგან, ვიცოდი რო აქამდე მიხვიდოდიო, – სასმელს გულისხმობდა.

მეც ვიცოდი, რო ვერ ვიყავი ჭკუაზე და მიხაროდა.

კაცივით დააკრაჭუნა კბილები, მწარე ლიმილით დააქნია თავი.

- ახია ჩემზე ყველაფერიო.
- ჩემზეც ახია-მეთქი.

ისევ მომეხვივნენ ჩიტები, გულის ჯიბეში ნამცეცებს ვეძებდი. მაიას, მარიკოყოფილს, ეგონა, რო უაზროდ ვაფათურებდი, ეგონა, რო სიმთვრალით რალაცეები მეჩვენებოდა, არადა კანთიელად ვხედავდი - სულ გულწითელა ჩიტები იყვნენ.

- აბა შენ იცი, მიმძიმს ამ ყველაფრის დატოვება, ბევრი ვიფიქრე, ბევრი, მაგრამ...

მიყურებდა, თვალს არ მაცილებდა, აინტერესებდა, ბოლომდე რას ვიბოდი-ალებდი.

- მიდი, მიდი, გისმენო.

კეფა მოვიფხანე, ხატებისკენ გამექცა თვალი. ჩიტები იქ ჩამოსხდნენ - უცნაურად შემომცქეროდნენ. ერთი-ორი ჩავუსტვინე. აფთხილდნენ ეგრე-ვე.

- ხედავ-მეთქი? - თითი გავიშვირე ჩვილი ღვთისმშობლის ხატისკენ.

მაიას მივანიშნე, ხედავ ამ ჩიტებს-მეთქი?.

- ვხედავ, ვხედავო, - ამოიოხრა, თავი დამიქნია და წასვლა დააპირა.

- არ წახვიდე-მეთქი, - ლამის დავუწოქე. - გევედრები, ფეხი არ გააღ-გა-მეთქი.

- მომწყდი აქედანო, - ჩემი ხელი მოიშორა.

წავიდა. მარტო დავრჩი. მარტოობა ადვილიც არის, ძნელიც არის, კარგიც არის, ცუდიც არის, ყველაფერი მარტოობაა. ვიყავი ეგრე გაბეცებული, ერთხელ კიდევ გავძახე:

- მაია-მარი!

უცბათ მომვარდა, ბოთლი ხელიდან გამომტაცა და მეოთხე სართულიდან ისე გადაუშვა, არც გაუხედია ფანჯრიდან. არ უფიქრია, ვინმეს რო დასცემოდა, ეგრევე შარში იყო. ნახევარი იყო დარჩენილი. ბოთლის დამსხვრევის ხმა მომესმა.

ოდნავ ამოაღწია მსხვრევის ბგერებმა. გული დამწყდა, წარმოვიდგინე, როგორ აქაფდა კორპუსის ძირში წითელი ღვინო. ღვინისგან დააღწია თავი ბოთლმა, ნამსხვრევები აქეთ-იქით გაფანტა. არადა, რო არ დავმალო, ბერად აღკვეცის წინ ჩემი ცოლის დალოცვას ვაპირებდი. აღარ დამაცადა, ისე ტკბილად უნდა დამელოცა, გამოთხოვებასავით უნდა ყოფილიყო და სულ რო ეჭვი ჰქონდა, სულ რო ღრღნიდა იმის განცდა, რო არ მიყვარდა, საბოლოოდ უნდა დამემტკიცებინა. ამით დამთავრდებოდა ჩვენი ხორციელი ურთიერთობა და მე მამაო გავხდებოდი და ჩემი ცოლი (ღმერთო მაპატიე, როგორ ვთქვა ესა, ენა არ მემორჩილება) სულიერი შვილი გახდებოდა.

შევხედე მაიას, მარიკოყოფილს.

- რად გამიშვილი ხელი-მეთქი, - ერთი ჩემი მეგობრის ლექსიც ჩავარაკ-რაკე. - თქვენ რო გამიშვით ხელი, მაშინ წავედი ხელიდან-მეთქი.

- მეხი შენ დაგეცაო, - თვალებით მცემდა. - რა იყო, რა დალიე ეგეთი, რა დაგემართაო.

- უნდა დაგემშვიდობო, ჩვენ შორის არანაირი ურთიერთობა აღარ იქნება-მეთქი.

- დიდ რამესაც დავკარგავო, - გავიგონე მისი ხმა.

- რა აზრი აქვს შენთან ურთიერთობას, რა აზრი აქვს, - წავიბუტბუტე.

ვერ გაიგო, რა ვუთხარი. იმას სხვა რამე ეგონა. ვერ მიხვდა, ბერად რო უნდა აღკვეცილიყავი, სხვა ადამიანად რო უნდა გადავქცეულიყავი. ხატებს მივაშტერდი.

- ვის გაუგია, ბერად რო შენ თვითონ აღკვეცო შენივე თავი, სახელი გადაირქვა. ბერად აღკვეცა მონასტერში, მამებთან ხდება. შენ, შენ ვინ მოგცა ამის უფლება, მთვრალი დგახარ და... ჩამძახოდა ჩემი ორეული. ოხ, ეს ჩემი სიჯიუტე... ვთქვი და მორჩა.

უჯრაში ხელებს ვაფათურებდი... წავბარბაცდი, ლამის თავით ჩავერჭე

კამოდის უჯრაში, თავმონული სანთელი ვიპოვე.

- მაია, მივდივარ! – ვბუტბუტებდი.
- ჯანდაბაშიც ნასულხარ.

სანთელი ავანთე. ხატებთან ზეთი იყო, პატარა ბოთლით იდგა ნაკურთხი ზეთი. მოვხსენი თავი, შუბლზე ვიცხე, ჯვარი გამოვისახე. ჩიტები აფართხალდნენ, მგონი დამცინოდნენ. ასე ბერად შემდგარი არც არავინ ენახათ. იფიქრეს, ყველაფერი ამან როგორ უნდა მოიგონოსო. მაშ, რა ვქნა, სხვანაირი რო ვერ ვიქნები, იციან იმათ, ჩემმა გულნითელა ჩიტებმა.

ერთი სიტყვით, ხატების წინაშე ვიდექი და ვბუტბუტებდი. ვიგრძენი, რო ამ ჩემმა გიჟურმა ქცევამ მაინც დააინტერესა ჩემი ცოლი. ცალი თვალით შემოიჭყიტა, მე ხომ კეფიდანაც ვხედავდი. ხელი დაუქნიე, ეგრე, უკუღმა.

- ახლოს მოიწი, ოღონდ ხელი არ შემეშალო აღკვეცაში-მეთქი.

მიყურა, მიყურა, ტურების ნკლაკუნით, თუ როგორ ვთქვა, ეგ გავიგე მართო.

- ნნ, ნნ, ნნ, რა საცოდავი ხარ, რა საცოდავი. გამოდი, გამოსცი აქეთ, სალოცავ კუთხეს ნუ აფრქვევ ღვინის ბურიანგელს.

ისევ ვიცხე ზეთი. ლოცვებს ვბუტბუტებდი. ხატები მიმზერდნენ. ხო ყოფილხარ დასჯის მოლოდინში, ვილაცამ რო უნდა დაგსაჯოს, ისე მიმზერდნენ ხატები, ჩიტებიც დუმდნენ. პირჯვრის წერა დავინყე, სათვალავი ამერია, ვინერდი და ვინერდი, მერე სამჯერ შემოვტრიალდი.

- გაგიჟდა მართლა, ეს უპატრონო, - ნაიბუტბუტა მაია-მარიკოყოფილმა.

სადღაც მივდიოდი და ჩემს მთვრალ სხეულს იქ ვტოვებდი, ნასვამს რო გამიხდია შარვალი, ცალი ტოტი ისე, ცალი ასე ამოტრიალებული, ეგრე გამოიყურებოდა ჩემი სხეული.

მერე მოვრჩი ამ ჩემს ბერად აღ-

კვეცის ამბავს, დავტოვე ჩემი მიწიერი ცხოვრება, მცირე ხნით მივბრუნდი. რალაც მინდოდა მეთქვა, მაგრამ ზურგი შემაქცია ცოლმა და გავიდა.

- იმიტომ არაფერში გიმართავს ღმერთი ხელს, - მომაცხა.

- ვის არ უმართავს, - გამიკვირდა და გამეცინა. - მე თუ არ მიმართავს, მაშ ვის უმართავს. შენ რა იცი, როგორ ახლოს ვარ მე იმ დალოცვილთან.

- ვიცი, როგორ ახლოსაც ხარ. მაგ სასმლის მომგონი ამოწყდა...

დავწეი. ლოცვით დაღლილი ბერივით ვაფახულებდი თვალებს. თან ფარდაგანეული ფანჯრიდან ცას მივშტერებოდი. მსხლის ყუნწით მოჩანდა ახალი მთვარე. ჩამეძინა და სიზმარში მართლა ბერად გადავიქეცი. სადღაც აღმართს მივუყვებოდი. ტალახიანი გზა იყო, ანაფორა მეცვა, შიშველი ფეხები ამოთხლავული მქონდა ტალახში. მანქანა წამომენია, გამიჩერა, მძლოლმა შემომლიმა.

- დაჯე, მამაო, დაჯე.

გამიკვირდა, ვის ეუბნება-მეთქი. მივიხედ-მოვიხედე.

- ხო ზევით მოდიხარ, - ისევ შემომლიმა ორმოციოდე წლის უღვაშიანმა კაცმა, ნაცრისფერი იაპონური მანქანიდან რო გადმოიყო თავი.

- ზევით მივდივარ, - ვუთხარი.

- დაჯე მერე...

- არა, არა, ფეხით მირჩევნია, ფეხით ავალ, - ვუთხარი და გზა გავაგრძელე. აღარაფერი უთქვამს, მანქანამ დაიღმუვლა და აღმართს ეკვეთა.

მივდიოდი, თან ანაფორაზე ვიყურებოდი. გავხედე, ცაში იყო ტაძარი თუ მთის წვერზე, ველარ ვიგებდი. ერთიორგან ფეხი გამიცურდა, ახალი ნაწვიმი იყო, ანაფორაზე დავაბიჯე და ლამის ნავემხე.

- ხო დატოვე მიწიერი ცხოვრება.

- დავტოვე.

- ვნახოთ, ვნახოთ.

- რა უნდა ვნახოთ?

– რამდენ ხანს გასტანს ეგ შენი ბე-  
რობა.

– სულ გასტანს.

– მაგასაც ვნახავთ! – მგონი ჩემი  
ცოლის ხმა მომდევნდა აღმართზე.

ისე მეძინა, ისე, იტყოდი, რო აღარც  
გამელვძებოდა, ვილაცამ შემანჯღრია.

გამოვახილე თვალები. ახალგაზრდა  
ბიჭი მადგა თავზე. პირი მიშრებოდა...  
აქეთ-იქით გამექცა მზერა, სადმე იქნებ  
გაზიანი წყალი იყვეს-მეთქი, ფანჯრის  
რაფაზე ხელებს ვაფათურებდი.

– გველოდებიან, მამაო!

ისევ სიზმარში მეგონა თავი, ისევ იმ  
აღმართზე, ანაფორიანი რო მივდიოდი.  
თვალები დავხუჭე, ისევ გავახილე.

– მამაო!

ბიჭს მივაჩერდი.

– რა მამაო?! – ამრეზით შევხედე.  
ბიჭი დაიბნა, აქეთ-იქით გაექცა თვა-  
ლები, დაიმორცხვა.

– შენდობას ვითხოვ, მამაო, მაგ-  
რამ... – ამოილულულა.

– რა შენდობას ითხოვ, ვინა ხარ? –  
წამოვჯექი ლოგინში, თვალები მოვიფ-  
შენიტე.

– ლუკა ვარ, – თავის თავს მახსე-  
ნებდა ბიჭი. ეგონა, რო მძინარე ვიყავი  
და ვერ გამოვრკვეულიყავი.

– იმან მოგაგზავნა არა? ეგ ოინები  
არ გაგივა შენა, გაიგე ქალო?! – მარი-  
კოს გაჩალიჩებული მეგონა.

– გამოდი, სად ხარ, გამოდი, – და-  
მალობანას რო თამაშობენ და ბოლოს  
რო ვერ იპოვიან და დაუძახებენ ხოლ-  
მე, გამარჯვებულს გამოდიო, ისე მო-  
ვუხმე.

ბიჭი უარესად და-  
იბნა.

– სად არი ჩემი ცო-  
ლი?

მხრები აიჩეჩა, მი-  
ყურა, მიყურა და თავი  
ველარ შეიკავა, გაელი-  
მა. თოთხმეტი-თხუთ-  
მეტი წლის ბიჭი იყო,  
წვერამოლინლული.

– წირვა იწყება, –  
ჩაიბუტბუტა.

– მარიკო! – ველარ  
ვიგებდი, რა ხდებოდა,  
მართლა ავკრიფე ჩემს  
ცოლზე. – ეხლა ბები-  
აშენისას ნუ მიირთმევ,  
გამოდი ეხლავე, ვინ  
არის ეს ბიჭი-მეთქი.

ისევ არ ჩანდა ჩე-  
მი ცოლი. მარიკოს მა-  
გივრად ოთახში ორი  
ანაფორიანი მსახური  
შემოვიდა, მორჩილად  
დახარეს თავები. იმ  
ბიჭმა მათ დასანახად  
მხრები აიჩეჩა.



– მართლა ბერი ხო არ... – მწყრალი თვალებით შევხედე ყველას, შემეშინდა, წამოვხტი, ტანსაცმელს დავუნწყე ძებნა. ანაფორა ეკიდა სკამზე.

– გოგო! – ისევ გავძახე მარიკოს.

ის ანაფორიანები უარესად დაიბნენ.

– ცუდად არის მამაო! – ჩაილაპარაკა იმ ბიჭმა, ვინც გამაღვიძა.

ჩიტების ხმა მომესმა, თითქოს გავიხსენე რალაცეები. როგორ ვიდექი მთვრალი ხატებთან, ზეთს რო ვისვამდი შუბლზე, ცოლის ბუზღუნიც გამახსენდა, უფრო სწორად ჯაჯღანი, მაგრამ... არავითარი მაგრამ...

– ამოტრიალებული შარვალივით ხო მიაგდე შენი მთვრალი სხეული, – ვილაცამ ჩამჩურჩულა.

ვერაფერს მივხვდი.

– და მე ვინ ვარ?

– ვინც გინდოდა, რო ყოფილიყავი.

– მარიკო, მარიკო სადღაა?

– მომინდომა აქაც ცოლი და შვილები.

– წავალ ისევ იქ.

– სად წახვალ?

– ჩემი თავი სადაც დავტოვე...

– ეგრე სად არი... იცი რა გქვია?

– არა.

– მაკარი! თუ არ მოგწონს, შეგიცვლით.

შეშინებული, დაზაფრული ვიყურებოდი.

ის ბიჭი და ანაფორიანები უცნაურად მომჩერებოდნენ.

ჩემი გულწითელა ჩიტების ჭიკჭიკი მოისმა:

„დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა...“

## ცალ აწყვანი

– დაგპირდი, მგონი, შენა, – ჩაიცივნა და ჭიანჭამი კბილები გამოაჩინა. – ამათ არ გავუშვებ იქა, რამდენიც უნდა მეხვეწონ, ფეხი არ ჩაუვათ. ღირსები არ არიან, არა, – გადაიხარხარა და მერე

უცბათ დასერიოზულდა. – ძალით გამაგიჟეს ამათა, ხო მიხვდი, ვიზეც გეუბნები. გიჟი ჭირდებოდათ, ერთი გიჟი, ვილაც ხო უნდა გაგიჟებულყო, ავდექი და... ჰა, ჰა, ჰა, ახლოს მოინი, – ბაქარმა ჯერ აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა. იტყოდი, რო ვილაც უთვალთვალებდა და მერე ზალიკას ბრძანებას დაემორჩილა.

ზალიკამ ორივე ხელი პირთან მიიტანა და ბაქარს ჩასჩურჩულა:

– შენ არ იცი, ვინ არიან ესენი. ეე, ანგელოზები გგონია, ანგელოზები. მეც ეგრე მეგონა თავიდან. ყველა ალალი და წყაროს წყალივით კამკამა მეგონა, – ჩაიფხუკუნა. – ვინა, ესენი? ჰა, ჰა, ჰა... კიდევ კარგი, რო გავგიჟდი და ამათნაირი არა ვარ, – თვალეში ჩახედა ბაქარს. – დამცინიან, მაგრამ მე უფრო მაგრა დავცინი. თან იციან, რო გიჟი ვარ და ვერაფერს მეუბნებიან. ძაან რო დავჭყვივლებ ხოლმე, მერე დამიცაცხანებენ, ერთი-ორს გადამიკურთხებენ. ამასაც ხო მიღწევა უნდოდა ჰა, ხო მართალი ვარ?

– მართალი ხარ, – თავი დაუქნია ბაქარმა. – ყველაფერს მიღწევა უნდა.

– სულ ვნატრობდი, რო განსხვავებული ვყოფილიყავი, მაგათნაირი ცხოვრება არ მინდოდა, – უცბათ სახე მოელრუბლა. ბაქარს ეგონა, რო ტირილს დაიწყებდა. საცოდავად მოიბუზა, თითქო უნდა აქვითინდესო. – ეგენი ყველანი ერთნაირები არიან, სულ ერთი კაცის დაკეთებულები, – მერე მოღრუბლული სახე გადაეკარა და გაიკრიჭა. – ვილაც ხო უნდა ყოფილიყო გიჟი, ადგა ზალიკა და გაგიჟდა. არ ყოფილა ეგ ამბავი მაინცადამაინც რთული. თავიდან მეგონა, რო... მერე მივხვდი, რო იგივე ადამიანი ვარ, არაფერი შეცვლილა ჩემში, უბრალოდ გიჟს მეძახიან და რასაც გავაკეთებ, ყველაფერი გიჟურად ერგენებათ, ყველაფერი. სიცილი, მიხვრა-მოხვრა, მისალმებაზეც კი. მასხარად მიგდებენ, გიჟიაო... – ჩაიქირქილა ზალიკამ. – ბოლოს ვნახოთ, გიჟი

ვინ იქნება, იქ რო ხვენნას დამინყებენ, იქა, – თითი ცისკენ გაიშვირა, – გადაგვარჩინე ზალიკაო. ვიცი, რაც იქნება, მძიმე-მძიმედ რო დადიან, ცოდვებით არიან ჩასუქებულები. – მამაოს დაუმალეს ცოდვები ჩვენებურებმა, ერთი-ორს წამოვაძახე, – ისე გადაინახარხარა, ლამის გადავარდა. – მე ხო ყველაფერს ვხედავ, აი ამ თვალებით, – ჭროლა თვალები ამოისრისა ჭუჭყიანი, უფრო სწორად გამურული ხელებით. – აბა, მითხარი, გჯერა თუ არა, რო ყველაფერს ვხედავ.

ბაქარს ჩაელიმა და თავი დაუქნია.

– წირვაზე წამოვაძახე ეკლესიაში, – სიცილ-სიცილით ჩაახველა ზალიკამ. – მაგათ ეგონათ, რო შევარჩენდი. წირვაზე ანგელოზებს მარტო მე ვხედავდი, ეხლაც აქ არიან. აი, ჩემი ანგელოზები, – თითით მიანიშნა ბაქარს. – ვერა ხედავ არა? მოვა დრო და დაინახავ, თავიდან მეც ეგრე ვიყა, მაგრამ მერე საკუთარი თვალით რო ვნახე, – თვალები დახუჭა, გაირინდა, წელანდელი სიცილიც უკვალოდ გაქრა მისი თვალებიდან. – ანგელოზები ჩვენ გვეტანებიან, – ჩაიბუტბუტა. – გიჟებს. მტრედების ღულუნი ხო მოგისმენია ეკლესიაში?

ბაქარმა თავი დაუქნია.

– ეგეთი ხმა აქეთ ამ დალოცვილებს, – უცბათ თვალები დააჭყიტა და თქვა. – შევედი ეკლესიაში და წამოვაძახე, აღსარებას რო აბარებდნენ და ვითომ სულს იხანჩაჩებდნენ იქა, მამაოსთან, სულ ზეპირად ვიცოდი, მაგათი ასავალდასავალი, მაგათი ცოდვებიც ვიცოდი, მაგათი ფიქრებიც და სიზმრებიც. გიჟი, გიჟიო და ეგრე უყო ზალიკამ.

– გაჩუმდიო, – დამიყვირა მამაომ. – ვინ მოგცა მაგის უფლებაო.

ჩაიქირქილა.

რატომ უნდა გაგჩუმებულიყავი, ისევ გავაგრძელებ.

– იძახოს, მაგ გიჟს რა ჭკუა მოეკითხებაო, – ჩვენებურებმა. იხტიბარს არ იტყვდნენ, თან სახეზე რიგრიგობით

წითლდებოდნენ, ცეცხლი ეკიდებოდათ, წამოძახებული ცოდვების ცეცხლი. მე ისეც გავაგრძელებ, ჩამოვუნიკნიკე, რაც ჰქონდათ ჩადენილი.

– გაჩუმდი, – კიდე დამიყვირა მამაომ.

აღსარებაზე მოსული ჩვენებურების რიგი იდგა.

– გაჩუმდი კარგია, ცოდვებს გიმაღავენ ეგენი-მეთქი.

ვერაფერს გახდა ჩემთან მამაო, ხო იცი, როგორი ქვის ნატეხი ვარ, სანამ ბოლომდე არ ვიტყვი სათქმელს... ჩამოვჯექი მერე და ვლაპარაკობდი. მამაომ თავი მიანება აღსარებაზე მოსულებს და ჩემთან მოვიდა. ანგელოზებს ველაპარაკებოდი. როგორც ჩანს, მამაოს ხელი ეშლებოდა და ჩემი გაჩუმება სცადა. მე ვუთხარი:

– ანგელოზები არიან აქ და განყრებიან-მეთქი, – ჩაიცინა ზალიკამ.

რაც ჩვენებურები არიან, ის მაგათი მამაოა.

– ანგელოზებს მოგცემ მე შენა, ღვთის სახლში ხარ, სადა გგონია თავიო.

– ღვთის სახლი იქ არი, სადაც ანგელოზები არიან-მეთქი.

თავი გააქნია და წავიდა.

– მამაო დაანებე თავი, გიჟი უნდა აქო და ერიდოო, – უთხრა ვილაცამ.

ერთი სიტყვით... როგორც დაგპირდი, მე სიტყვის კაცი ვარ, ჩემს ანგელოზებს ვეტყვი და წაგიყვანენ. რამდენიმე საათი რამდენიმე წლად მოგეჩვენება, შენ არ იცი ფრენა, რა სიამოვნებაა, ოო, მაგარი რამეა, მაგარი...

– შენ თუ გიფრენია? – ჰკითხა ბაქარმა და ჩაელიმა.

– მეე? – გაკვირვებით ამოიზმუკუნა ზალიკამ. – მე მეუბნები კაცო? – თქვა და თავი გაიქნია, – ეს ერთი კაცი მეგულბოდი, ვისაც ჩემი ეჯერა და ამას უყურე, – გაუპარსავი ჭალარანვერიანი ყბები უაზროდ მოიქექა და შეხედა. – სულაც იქ არა ვარ?!

ბაქარს გაელიმა.

– არა გჯერა, ესე იგი.

– მჯერა, – ბაქარმა ზალიკას დამ-  
შვილება სცადა. – ბევრი რამე რო შე-  
გიძლია, ვიცი, ადამიანთა გულებში რო  
იხედები, ეგეც ვიცი.

ზალიკა ცოტა ხასიათზე მოვიდა.

– ეგეთი რალაცეები, რო შემიძლია,  
მაგიტომ ვარ გიჟი... განსხვავებული  
ადამიანი ყოველთვის გიჟად ითვლება.  
მთავარი ის არი, ვგრძნობ რო, გამჩენს  
უწყვარვარ, დანარჩენი აი, ნანინა, – შარ-  
ვლის კალთაზე გაისვ-გამოისვა ხელი.

●

– ფრენისა ხო არ გეშინია?

– ისე რა.

– თავიდან მეც მეშინოდა, მერე ისე  
შევეჩვიე, ცა ჩემი სახლივით გახდა.  
როცა მინდა, გავფრინდები. ეს ამბა-  
ვი არავის არ უნდა უთხრა. თუ გაი-  
გეს, მერე ნახე ამათი ამბავი, შეიძლება  
სოფლიდანაც გამაგდონ. ვიცი, რასაც  
დამაბრალებენ, – ჩაიცინა ზალიკამ. –  
გითხრა?

ბაქარმა თავი დაუქნია.

– ღმერთთან ადის და ჩვენზე ცუ-  
დი ამბები ააქვსო. ღმერთს ამათ გამო  
როგორ შევანუხებ, თუ არადა, რა ჩე-  
მი მიტანა უნდა, ისედაც კარგა ხედავს  
ყველაფერს.

ბაქარმა ცას ახე-  
და.

– მერცხლებს ხო  
ხედავ? – შავი ნერ-  
ტილებივით მოჩან-  
დნენ ცაში აჭრილი  
ჭიკჭიკა ფრინველე-  
ბი. – მერცხლებს  
რო აუქროლებ, და-  
ინახავ... აიქ ახვალ  
აი, ვარსკვლავებ-  
თან, აქედან რო ბუ-  
ზის ტოლებად მოჩა-  
ნან ხოლმე. ხელით  
მისწვდები ვარ-  
სკვლავებს, მთვა-  
რესაც გვერდით ჩა-  
უვლი. ეეე, – ხელი  
გადახვია ზალიკამ.  
– მთვარე ისეთი კი  
არ არი, აქედან რო-  
გორიც ჩანს, ქალის  
სახე აქვს მთვა-  
რეს. მართლა, ისე-  
თი ლამაზია, ისეთი,  
ისეთი, ოჰ, ოჰ, ოჰ,  
მოფერება მინდო-  
და, მაგრამ ახლო არ  
მიმიშვა ანგელოზმა.  
შენ აქ დედამინა ხო





არა გგონიაო. მიწიდან გამყვა რალაც-რალაცები, – თვალი ჩაუკრა.

ბაქარს ჩაეცინა.

– ვარსკვლავებიც სხვანაირები არიან, სხვანაირები რა – გოგო-ბიჭები... სულ სიცილ-კისკისით მხვდებოდნენ, რომელ ერთთან მივსულიყავი აღარ ვიცოდი. ხან ერთი დამიქნევდა ხელსა, ხან მეორე – „აქეთ მოდი ზალიკა, აქეთ მოდი ზალიკაო!“ – მიხმობდნენ, – უღვაში მოიფხანა. – ანგელოზს მივყავდი და აბა, რა მექნა. ჩემს ნებაზე ფრთებსაც ვერ ვიქნევდი. აი, ამ ხელებს ხო უყურებ, – უცნაურად გამალა წვრილი, ძარღვებამოყრილი, ჟანგისფერი მკლავები. – ფრთები მქონდა... თვალებს ვერ ვუჯერებდი. მიხაროდა, როცა ცაში მივდიოდი, მაგრამ თან იმაზე ვფიქრობდი, მიწაზე რო დავბრუნდებოდი, ფრთებით როგორღა მევლო. მიყურებდა ენგელოზი და იცი, რასა ფიქრობდა? – „ცაში მიმყავს ეს უპატრონო, ფრთები გამოვასხი და თავის დამჭკნარ მკლავებზე ედარდებო. ეეჰ, ზალიკა, ზალიკაო“. ვიდექი ეგრე, ფრთები მესხა, ხელები აღარ მქონდა, არწივივით გავშალე მერე, აემხელა იყო, – სამი ნაბიჯი გადადგა და ისეთი თვალებით შეხედა, რო ბაქარის გაკვირვების მოლოდინი ჰქონდა. – ესენი კიდე... – ხელი ჩაიქნია. – ამათი გულისთვის გავგიჟდი, რო სოფელს ერთი გიჟი ჰყოლოდა, ესენი... – თავი დააქნია. – არავინ არაფერს დაგინახავს. გინდა გავგიჟდი, გინდა გასულელდი, გინდა კლდიდან გადახტი.

ერთი სიტყვით, კაი კაცი ხარ და გიშვებ ცაში. აი, რო ჩამოხვალ, მერე ნახავ... არავისთან არაფერი წამოგცდეს, სსუუ, – სალოკი თითი მიიძო ტუჩებზე. – კრინტი არსად დაგცდეს.



– ხო არ გეშინია? – ჩაიქირქილა ზალიკამ.

ბაქარმა თვალები დახუჭა და გაახილა, ისევ დახუჭა, ისევ გაახილა. ვერ იჯერებდა. ხელები აამოძრავა, მაგრამ

სადღა ჰქონდა ხელები. ვეება ფრთებზე დაიხედა, თოვლისფერი ფრთები შეარხია. თვალებს სწრაფად ახამხამებდა, უნდოდა, რო თითები ამოესვა და დარწმუნებულიყო, რო ეჩვენებოდა, მაგრამ სადღა ჰქონდა თითები, ფრთები რანაირად მიეტანა თვალებთან?!

– ცხადია, ცხადი, – თითქო მიუხვდა ზალიკა. – სიზმარი ნუ გგონია. მეც ეგრე ვიყავი, სანამ გავფრინდებოდი. უიმე, ნულარ მკითხავ, მეგონა, სიზმრიდან გამოვყა თავი. აბა, რა დასაჯერებელი იყო, რო ფრთები გამომესხა. გავგიჟდი და გამოვგიჟდი, ფრთებს უშნოდ ვაფართხუნებდი. აბა, შემომხედე... ფერი არ გადევს, კაცო. შენ რა გითხარი. იმათ რალა ქნან, აი, იმათა, რა ჰქვიათ, – ცხვირი მოიფხანა ზალიკამ. – რაკეტით რო მიდიან, – ვერაფრით გაიხსენა და ჩაილაპარაკა. – რაც ჰქვიათ, ჰქვიათ. წყალი ჩაყლაპე, აჰა, – პატარა სურით თვითონვე მოაყლუპა ბაქარს, თორემ ბაქარი ფრთებით როგორ დალევდა. – შემომხედე.

ბაქარმა რალაც უცნაური, სევდით სავსე მზერა მიაპყრო.

– ფრთები გესხას და ესე დარდობდე, არ ვიცი, რაა. ცაში მიდიხარ ბოლო-ბოლო, ის ადგილი უნდა ნახო, სადაც სულ უნდა იყვე მერე. ყველა კი ვერ ნახულობს წინასწარ იმ ადგილს. გაგიმართლა, თვალი დაგადგა იმ დალოცვილმა.

– ვიზე ამბობ? – ბაქარმა ნისლით დაბინდული თვალები მიაპყრო ზალიკას.

– ღმერთზე ვამბობ, – ისევ ჩაიციხა. – აბა, სხვაზე ვიზე ვიტყვი, იმის მეტი ვინ ამაფრენდა.

ბაქარმა მინას დახედა და თავი დაუქნია.

– არ შეგეშინდეს, ხო გაიგე? საშიში არაფერია. ამოდენა ფრთები რისთვის გამოგასხა? დაიქნევ და აიქ იქნები, – თითი ცისკენ გაიშვირა. – ჩემი სახლის მერცხლებს რო ავუქროლე, დაგენახა...

გაკვირვებულებმა შემომჭიკჭიკეს. ეგრევე მიცნეს. ადამიანებს ავინყდებათ ერთმანეთი, თორემ მერცხლებს ახსოვთ.

ბაქარი უხერხულად იდგა და ისევ ფრთებს დასცქეროდა. მერე მიუტრიალდა ზალიკას და ჰკითხა:

– რამდენი ხანი იყავი ცაში?

ზალიკამ გონებაში რალაც გადაითვალა, მაგრამ არ უთხრა.

– ჯერ არ გაფრენილხარ და უკვე დაბრუნებაზე ფიქრობ. სად გაიქცევა ესა, – ფეხი დაარტყა მინას. – შენი შემჭმელი სად გაიქცევა, გიცდის და მშინერი თვალებით გელოდება. მაინც ვერ ელევით ამ ოხერს, – განყრა ზალიკა.

– ცაში რო ახვალ, ემანდ ღმერთი არ გაგინყრეს და გაფრენა არ ინანო ან აქაურობა არ მოგენატროს, თორე ეგრევე ტყაპანს გაადენ.

– რაზე უნდა ვიფიქრო? – გულუბრყვილოდ ჰკითხა ბაქარმა.

– იქ ფიქრს რა უნდა, ვერან... იქაც თუ ფიქრით მოიკალი თავი, ცა კი აღარ იქნება, – თქვა და დაამატა. – გაგიმართლა, გაგიმართლა. მთავარია, რო არ გაიგონ ამათ, ამ ოხრებმა, თორემ ეგრევე შეგიძულევენ, განსხვავებული რო იქნები. ზიზლით დაგინყებენ ცქერას. იმათ ტვინში რა ხდება, ზეპირად ვიცი. ოო, არაფერი დაგცდეს, კრინტი! – თითი მოპრუნკულ ტუჩებთან მიიდო. – შენ ამათ კიდე არ იცნობ. განა მეჯავრებიან, მაგრამ ამათმა ბოროტებამ და ტყუილმა დამლალა.

დღის ღიმილივით გაკრთა მთის კორტოხზე პირველი სხივი.

– აბა შენ იცი. გაშალე ფრთები... აფრინდები თუ არა, ანგელოზებს დაინახავ, ისინიც თან გამოგყვებიან. გაშალე!

ზალიკა წაეხმარა. ბაქარმა ვეება ფრთები აამოძრავა.

– შენ უფრო დიდი ფრთები გაქვს, – უთხრა ზალიკამ. თუმცა სიმართლე არ უთქვამს, ბაქარის წასაქეზებლად უფრო იყო ნათქვამი.

– დახე, დახე... მიდი, დაიქნიე, დაიქნიე... ეგრე არა, უფრო მაგრად დაიქნიე.

ბაქარმა ძალა მოიკრიბა და მთელი ღონით აამოძრავა ფრთები.

– ეგრე, ყოჩაღად! – ჩაკისკისდა ზალიკა.

ამის თქმა იყო და ბაქარი მინას მოსწყდა. ზალიკამ თვალი ააყოლა და ხელი დაუქნია.

– ჩემები მომიკითხე, ჩემები... რა სწრაფად აფრინდა.

ბაქარი ისე აიჭრა ცაში, მიწაზე დახედვაც ვერ მოასწრო. მიქროდა და თვალების გახელა უჭირდა. მერე მტრედისებრი ღულუნნი მოესმა და ზუსტად ისეთი ანგელოზები დაინახა, როგორიც ღვთისმშობლის ტაძარში ძველისძველ ფრესკებზე იყო გამოსახული.

ზალიკა ცას ასცქეროდა, მაგრამ ბაქარს უკვე ველარ ხედავდა. მერე მოტრიალდა და, იტყოდი, რო მასთან ერთად მყოფი სეირის მაცურებელთა გასაგონად ჩაილაპარაკა:

– ბაქარის დაბრუნების ამბავზე მერე მოგიყვებით. ეხლა საკმარისია! აბა, ყოჩაღად იყავით!

## ქეთევან ნათელაძე



### აკვარიუმი

(დედას)

ვცხოვრობდით სახლში, ცის ნაპირას და ცის არეალს,  
ღრუბლები – დიდი სპილოები – თეთრად ფარავდნენ.  
გამოდოდა განთიადი როცა კომიდან,  
ფანჯრის რაფაზე შეიხსნიდა ყვავილს ალოე.  
მაღალჭერიან, თეთრ ოთახში დედა ხატავდა  
აკვარიუმებს, ფერად თევზებს, ცას და კომეტებს...

სახლის კარებთან გიგანტური თეთრი ღრუბლები  
სპილოებივით ჩაივლიდნენ, ფანჯრებს მიღმა კი,  
ღრუბლები იყვნენ – შემართული გემზე აფრები,  
დედა ხატავდა ფერად თევზებს, ვერც იფიქრებდა,  
იმ თევზებიდან მე ერთ-ერთი თევზი ვიყავი,  
წითელი თევზი – ოქროსფერი, თხელი ფარფლებით.

რომ ლაყურებით შემესუნთქა სევდა წყვდიადის  
და ჩემს ყოფნასაც დარქმეოდა სევდა სახელად,  
ჩამომდგარიყო ღამეები ცივი ფოლადის,  
შეგრძნებებივით შემიცვლიდნენ წყალს იშვიათად  
და ბოლოს წყალსაც დამიშრობდნენ. მუხის ნახერხით  
აკვარიუმის ლურჯ კედლებში ამომქოლავდნენ.

ცურვას საზღვრებში თითქოს ჰქონდა ხიბლი სიყრმიდან,  
მექერცლებოდა მთელ სხეულზე როცა ავდარი,  
მოფორიაქე ღია ზღვებზე ფიქრი მავსებდა,  
ვაფერადებდი მოთმინებით შავ-თეთრ სიყვარულს,  
მე ვგავდი დედას – დედაჩემი იყო მხატვარი,  
საბედისწერო იყო ჩემი მასთან მსგავსება.

ჰგავდა ბავშვობა მზეში დამდნარ ცვილის ფიგურას,  
იცვლიდა ფერებს და განწყობას, როგორც კლიმატი,  
როგორც მთავრდება ფოთოლცვენა, ისიც დამთავრდა  
და ჩემში დარჩა, რადგან იყო გენეტიკური,  
ის ცის ნაპირი, ის ღრუბლები, ის კომეტები,  
რომელთაც დედა თეთრ ოთახში დიდხანს ხატავდა.

ალბათ, ამისი ბრალი იყო წვაც, აციებაც,  
ყველაზე ხშირად საკუთარი თავის ლალატი,  
მაშინ, როდესაც ერთგულება იყო ადვილი;  
ჩემი უიღბლო რომანები – აბსტრაქციები,  
სადაც ნამდვილი არაფერი იყო არასდროს,  
გარდა სურვილის – ყოფილიყო რაღაც ნამდვილი!

ბოლოს კი უკვე არაფერში იყვნენ საჭირო,  
ერთმანეთისგან არაფერი განასხვავებდათ.  
მთელმა სამყარომ დაივიწყა და ყველა კაცმა,  
რომ მე წითელი თევზი ვიყავი.  
ან იქნებ ადრეც არ უწყოდნენ ამის შესახებ?  
მათ არაფერი არ იცოდნენ ჩემს ბავშვობაზე,  
ცისპირა სახლზე და დედაჩემზე.

რომ ჩვენ ვცხოვრობდით ცის ნაპირას და ცის არეალს,  
ღრუბლები – დიდი სპილოები – თეთრად ფარავდნენ,  
რომ იმ ღრუბლებმა ყველა ფანჯრის ცა დაიურვეს,  
ფანჯრის რაფაზე მარადმწვანე იდგა ალოე,  
მაღალჭერიან, თეთრ ოთახში ხატავდა დედა  
ცას და კომეტებს, ფერად თევზებს, აკვარიუმებს...



სხვა წყლებში მკვდარი დინებაა, იქით ნუ მიხვალ,  
სადაც ხავერდით იმოსება მთების ბორცვები,  
ჩაუშვი ღუზა, შენ ამ სევდის მეზღვაური ხარ  
და დამნახავი ყველა ჩემი მიქცევ-მოქცევის.

რაც ღრმად შემოხვალ, უფრო მეტად ვხდები უძირო,  
ლამის ქარები ჩემი მლაშე ცრემლით ძლებიან,  
ჩამხედე – ჩემში საკუთარ თავს შეძლებ უცქირო,  
ჩემს ფსკერზე ოქროს სკივრებია, მედუზებია;

მოხეტიალე მეკობრეთა ძვლები, დროშები,  
მათაც უგრძენიათ, შენს შემოსვლას როგორ ველოდი,  
შენი მზესავით გამოჩენა როგორ მშოიდა,  
როგორ ვთრთოდი და კლდოვან დარდებს ვენარცხებოდი.

ჩაუშვი ღუზა, დამიაროს ელვამ შეხების  
და მოაყოლე ამ ვნებებზე მთვარეს – ადმირალს  
ჩემი ბნელეთის, იქნებ მერე მშვიდად შევხედო  
ზურგმექცევასაც, იქნებ მერე უფრო ადვილად

დაგთმო და დღეებს შევეფარო ქარზე ცარიელს,  
რომ აღარ იგრძნო შენს ნასვლაზე როგორ ვლავირებ,  
მოგონებების ტყედ გაზრდილი ლამინარია,  
როგორ მოისხამს უარყოფის დამზრალ ყვავილებს.

ჩაუშვი ღუზა, არასოდეს შემინყვეტია  
ამ მოძახილის ამოკანვრა ზეცის სარკეზე,  
ცა კი ყოველთვის ჩემს ტალღებში ჩამოუშვებდა  
ვარსკვლავებს, როგორც მანათობელ ოქროს ანკესებს,

ჩემი ხსოვნიდან თევზებივით რომ აეკრიფე.  
მე გიერთგულე და არასდროს გარდავისახე,  
ასეც ხომ იყო – ვარსკვლავები თავად შეკრიბე,  
ჩემს ნაპირებთან შემოდგომა როს განიზრახე.

და შენი თავი უკურნებელ სენად დამმართე,  
ხვალ კი მომიწევს, სამუდამოდ ისე გაგმიჯნო,  
ვიქცე თვითმკვლელად და ჩემივე თავში გადავხტე,  
თუ როგორც არის, ჩემივ თავში თავი დავიხრჩო.

მოგინდე გვიან და დუმილით დაგხვდე მოცული  
და, როგორც ხდება – რეკდეს ზარი არშეგებების,  
მოგინდე, მაგრამ ველარასდროს ვერ შემოსცურო,  
დამფარონ სევდის მოელვარე აისბერგებმა.


დაგხვდე ყინულად და ჩავლილის შემომღერებად,  
რაც სიყვარულმა მოგვიტევა, დრომ არ დაინდოს  
და ამ ხმაურის გახსენებამ და ამ ღელვების,  
შენივე თავის გახსენებამ გული დაგწყვიტოს.

სხვა წყალში მკვდარი დინებაა, იქით ნუ მიხვალ,  
სადაც ხავერდით იმოსება მთების ბორცვები,  
ჩაუშვი ღუზა, შენ ამ გრძნობის მეზღვაური ხარ,  
შენ მიზეზი ხარ ყველა ჩემი მიქცევ-მოქცევის!..

## **ბაჟრა**

ცხოვრება ერთი საოცარი ყოფილა დრამა  
და შენ რომ იგი გააშარჟო, რა უნდა მოხდეს.  
მე გავყრები შენზე ფიქრის ყოველგვარ სამანს  
და გავყრები შენი ნასვლით გაჩენილ ბოდვებს.

მე გავეყრები შემოდგომის თაფლისფერ თითებს  
და ყოველივეს, უანგაროდ რაც მომცა ბედმა,  
მე გავეყრები თავს დატეხილ სტროფებს და რითმებს,  
პურის მარცვლებად გადავუყრი ბელურებს სევდას.  
მე გავეყრები ერთ ყველაზე მტკივნეულ „არას!“,  
მირაჟად ქცეულ ჩემს ბავშვობას და ჩემს სიბერეს,  
მე გავეყრები ბიჭს, რომელმაც ვერ შემიყვარა  
და გავეყრები ქმარს, რომელიც ვერ შემიფერებს.  
დარდიან მხრებზე ჩამონვება ბურუსი – მაცნე,  
მაცნე იმის, რომ დღეს ფუჭია ჩემი ლოცვები,  
მე გავეყრები ღმერთს, რომელიც ჯვარზე არ აცვეს,  
გამიკვირდება, შევიცხადებ და გავოცდები.  
მე გავეყრები მეგობრების ათასფერ ლალატს,  
ზღაპრად გაგონილ სასწაულებს გრძნეულ მისნების,  
მე გავეყრები ამ სამყაროს, ასობით ქალაქს  
და ვარსკვლავეთში შორ პლანეტებს მივეთვისები.  
შენც გავეყრები, გავეყრები, ხომ იცი, ბოლოს,  
ჩემს ნაფეხურებს აეკვრება გამთბარი ბინდი,  
მე გავეყრები ყოფითობის ტკივილებს მხოლოდ,  
მაშასადამე, გავეყრები გრძნობებთან ჭიდილს.  
და როცა სხეულს გავეყრები მსუბუქი შვებით,  
როცა დაკარგავს თავის ძალას ყველა მისნობა,  
ჩემში შემოვა სიამაყით გაშლილი მხრებით,  
ჩემგან მარადჟამს გაუყრელი მარადისობა!



●  
მთებში გრძნეული მისჯდომოდა წყლის სართავ ჯარას,  
ართავდა ლურჯად მაცოცხლებელ მდინარეს სოფლის,  
დანებებულნი – იღვრებოდნენ ცხენები ოფლად,  
გათენებამდე განაგრძობდნენ ქარები ჯირითს.

მხსნიდი მოპარულ სკივრივით და ჩემს ტანში გავლით  
გადადიოდი ჩემს სიზმრებში, იქ, სადაც ნორჩი  
ლობისძირები და ღვიები ჰყვოდნენ მრავლად  
და მარტოობა ცხრათავიან დევივით თვლემდა,  
სადაც ვიყავით საიდუმლო სტუმრები თავლის,  
ხედნიდა ქარი გაუხედნავ ცხენების რემას.

რატომ არც ერთხელ არ მასტუმრე იგივე ზაფხულს?  
მზის უცხო მხარეს გადახდენილ იგივე ამბავს,  
იგივე თავლას, ჭაობიან ჭალების გვერდით...  
მომაკვდინებელ შხამს სტოვებდა ცხელ ქვებზე მამბა,  
შენ კი მგესლავდი სიყვარულის უცნობი შხამით,  
თეძობამდე ჩადიოდი და ხარბად მკბენდი.

დაკბენილ ტანზე სინანულის მაფენდი ფოთლებს,  
რჩებოდი ჩემში და ქარივით არ გრძნობდი დალლას,  
ჩემი ტანიდან ჩემს სულამდე გზა იყო მოკლე,  
ერთ საცალფეხო ბილიკსაც კი ვერ ჰპოვებ ახლად.  
მდინარის ნაპირს თეთრ ბუმბულს რომ აფენდა მთვარე,  
ის მთვარე ღვიის ყვავილებში ჩიტივით მოკვდა,  
გაქრნენ ცხენები, მხოლოდ ქარი შემორჩა ჭალებს!  
მხოლოდ სიზმრად თუ ვაყურადებ ცხენების ჭიხვინს,  
მარადიული ზამთარია და აღარ მოდის  
ზაფხული, სადაც ყვავილები ჰყვოდნენ მრავლად,  
სადაც ვიყავით საიდუმლო სტუმრები თავლის.  
ვიღებ ჩემიდან შენს სიყვარულს, განძივით დაფლულს  
და მერამდენედ ვუერთდები საკუთარ ლოდინს –  
რატომ არც ერთხელ არ მასტუმრე იგივე ზაფხულს?..

რამდენი მწერის და ფრინველის ვისწავლოთ ენა,  
რამდენჯერ უნდა ვიცხოვროთ ან რამდენჯერ მოვკვდეთ,  
რომ ქარი ისევ იმ სურვილით ხედნიდეს ცხენებს  
და მერამდენედ იმ ზაფხულში ჩვენ ისევ მოვხვდეთ?

მთებში გრძნეული მისჯდომოდა წყლის სართავ ჯარას,  
ართავდა ლურჯად – მაცოცხლებელ მდინარეს სოფლის,  
დანებებულნი იღვრებოდნენ ცხენები ოფლად,  
გათენებამდე განაგრძობდნენ ქარები ჯირითს.

## წყლის იხვები

ბევრი წლის წინათ ჩემს სახლთან ახლოს დიდი ტბა იყო და გაზაფხულზე მის გარშემო დაფრინავდნენ თეთრი იხვები. როცა ძლიერად განვიმდებოდა, ნაპირებზე მწვანედ გაზრდილ, მაღალ ჩალებს ეფარებოდნენ. დაფრინავდნენ და მერე ჩალებს ეფარებოდნენ, თავი თავსხმა წვიმისგან რომ დაეფარათ. ზაფხულს ბროწეულივით დახეთქილი მიწა ეწვოდა და გვალვისაგან გამომშრალი იყო ჰაერი. წყლის იხვები კი ბინადრობდნენ ისევ ჩალებში. დაფრინავდნენ და მერე ისევ მათ ცივ ნემსებს ეფარებოდნენ, თავი მზის ცხელი სხივებისგან რომ გადაერჩინათ.

შემოდგომობით ტბას ზედაპირი ეჭორფლებოდა ჭერმის ფოთლებით და ქარი თითქოს ტბის გულიდან იწყებდა ქროლვას, და წყლის იხვები ისევ ჩალებს ეფარებოდნენ; დაფრინავდნენ და მერე ისევ ნაცნობ ბალახს მიაშურებდნენ, სანახევროდ გაყავისფრებულს. თავი ქარის ორპირობისგან რომ დაეფარათ. ზამთარი მოსვლას არასოდეს აგვიანებდა, თეთრი სიცივე დუმილივით ჩამოწვებოდა და წყლის იხვები გაურბოდნენ ჩალებში ზამთრას, ტბას კი ყინული ნაპირებზე ეზრდებოდა, როგორც ურჩხულს ეზრდება რქები და ვერც კი გრძნობდნენ წყლის იხვები, როგორ ეყინებოდათ გამხდარი ფეხები წყალში. ღამღამობით ყოველთვის ასე ხდებოდა – გამოჩნდებოდნენ ოქროსფერი მელიები და მაღალ ჩალებს ეპარებოდნენ და იმ ჩალებში ფეხებჩაყინულ წყლის იხვებს ჭამდნენ.

მას შემდეგ სიკვდილი ასეთი უკიდურესად სევდიანი რამ მგონია – ოქროსფერი მელიები მოდიან შენს შესაჭმელად, შენ კი გაფრენა გინდა, მაგრამ არ შეგიძლია, რადგან ტბის ნაპირას გაზრდილ ჩალებში ფეხებით ხარ ჩაყინული და სიკვდილის ბასრი კბილების ყოველ მტკივნეულ შეხებას გრძნობ საკუთარ კანზე.

მას შემდეგ სიზმრებში ზამთარია და მე იმ ტბისკენ გავრბივარ, იმ ჩალებისკენ გავრბივარ, სადაც იხვები ზამთრის სიცივეს ემალებიან, რომ ყინვას მისვლა დავასწრო, რომ მელიებს მისვლა დავასწრო, რომ სიკვდილს დავასწრო მისვლა და იხვები გადავარჩინო. ვიდრე მათი გადარჩენა შემეძლია, იქამდე იარსებებს ჩემი ბავშვობა. მხოლოდ იმ სიზმარზე ვდარდობ, რომელშიც მისვლას დავაგვიანებ.



## გამოლვიძება

გამოვიღვიძე... აღარ გიგროვებ  
ტბებში ჩაცვენილ ვერცხლის ვარსკვლავებს,  
შენს არეულ ძილს აღარ ვდარაჯობ,  
შენს შეხებაზე აღარ ვირევი,  
გავყურებ ბილიქს, რომელზეც სევდა  
ყვავის ცეცხლოვნად, როგორც ასკილი,  
მთას მოუგდია მთვარე ბეჭებზე,  
როგორც ამ ღამის ნანადირევი.

გამოვიღვიძე... აგვისტოს ღამე  
ვარდის ფურცლების მმოსავს პერანგით,  
აღარ გეხვევი მხრებზე, ხელებზე,  
არც მოლოდინებს გითვლი ბავშვობად.  
ირგვლივ კი ტყუა ბევრი ხეებით,  
ხეებს ეზრდებათ ტანზე ტოტები,  
შენს მკერდზე ყველა თავის დადების  
და შენად ყოფნის ჩამოსახრჩობად.  
აღარ მოვუხმობ ჰებეს, ჰეფესტოს,  
დე, ყველა ღმერთი იყოს უჩვენო,  
მე ვუდარაჯე დიდხანს სიზმარეთს,  
ქარში ტიტების გადაკიდებას;  
გაღვიძებული აღარ დავეძებ  
მინდორ და მინდორ ჩიტის ბუდეებს,  
რომ ერთ დღეს ახდეს ყველა ნაფიქრი  
და ჩვენ თავადაც ვიქცეთ ჩიტებად.

მთელი სამყარო გახდა მდუმარე,  
ელავს დროდადრო, იცი თავადაც,  
გამოლვიძების შემდეგ რაც ხდება.  
სიზმრის მრავალჯერ ანონდანონის,  
აღარ ეძებენ ცივ სიბნელეში  
გზაკვალარეულ თითებს თითები  
და შემოდგომის ნაზი წვიმებით  
აღარ სველდება ჩვენი სანოლი.  
ყოვლის დამლევნი ვპოვე მდინარე,  
ყოვლის ნამლები ვპოვე მდინარე,  
რომ მომეყოლა ჩემი სიზმარი,  
ერთ დროს რომ ასე ჭირდა მიგნება,  
ნაგილო მისმა ჩქარმა დინებამ  
და მიიძინეს შლეგმა ქარებმა,  
მაგრამ ამ შავ-თეთრ სიცარიელეს,  
სიზმრად ნანახი სჯობდეს იქნება..  
გამოვიღვიძე... აღარ გიგროვებ  
ტბებში ჩაცვენილ ვერცხლის ვარსკვლავებს.

## მზრინავი თეფში

საიდან გაჩნდა ამ მინდორზე მზრინავი თეფში,  
შედედებული ჰაერის ფენა, თუ მანქანა სხვა პლანეტიდან?!  
არაფერი მსმენია იმ ადგილზე, საიდანაც მისი მგზავრები მოდიან –  
კეფაზე მიმაგრებული პატარა ანტენებით.  
რალაც არსებობს ისეთი, რაც მათგან განმასხვავებს –  
არა ანტენები, არამედ კიდევ რალაც სხვაც, რის გამოც ვიტანჯები,  
შეუსაბამობაში ყოფნის შიშს განვიცდი.

ისინი დადიან მწვანე მინდორზე,  
ისე, თითქოს მილიონი წელი ამ მინდორზე ევლოთ;  
ისე, თითქოს ყვავილების სურნელით ბრუვდებოდნენ.  
ხომ შესაძლოა, ყოველთვის აქ იყვნენ და მე არ ვიცოდი ამის შესახებ;  
ხომ შესაძლოა, ამ მინდორს მათგან ესმოდა მაგნიტურ ველში  
გავლილი და პოლარიზებული რადიოსიგნალები?!

ვერასოდეს მამჩნევენ და არც არაფერს მეკითხებიან,  
მე კი ვცდილობ, ფეხაკრეფით მივუახლოვდე.  
იმ კატას ვგავარ, წვიმაში ხის ტოტიდან ჩამოვარდნილ ჩიტის ბუდეს  
რომ ეპარება,  
მაგრამ, მისგან განსხვავებით, მე საფრთხეს არ წარმოვადგენ!  
იმის ძალაც აღარ შემომრჩა, რომ ავდგე და გავიქცე  
ან სად უნდა წავიდე, როცა ამ მინდორის დასასრული არავის უნახავს.

ისინი კი ყოველდღიურად ბევრდებიან  
და ყველა ბალახში გადადის მათ კეფაზე მიმაგრებული ანტენების ვიბრაცია.  
სიყვარულის გარეშე მრავლდებიან,  
სურვილის და ორგაზმის გარეშე.  
ინფანტილურია მათი მარტოობა, მაგრამ მათ ეს არასოდეს ეტკინებათ.  
ბოლო დროს მგონია, რომ არც კი სმენიათ ტკივილის შესახებ  
და ნაკლებად ვფიქრობ გადარჩენაზე –  
რა საჭიროა გადარჩე იქ, სადაც ტკივილის შესახებ არავის არაფერი სმენია.

ნუთუ ვერ ამჩნევთ? მათ შიგნით საფლავებია გათხრილი.  
ასეთ საფლავებში მიცვალებულებს არ მარხავენ,  
მხოლოდ სიცარიელე ასვენია.  
გაგიკვირდებათ და მე ვარ ამ სიცარიელის ჭირისუფალი,  
ასეთ სინამდვილეში მოხეტიალე მოგზაურიც  
და ახლა უკვე ვიცი, რამხელა შეცდომა იყო სტოუნჰენჯის ვეება ქვების  
და მოაის გიგანტური ქანდაკებების მათთვის მიბრალება.

რატომ გამოჩნდა ამ მინდორზე მფრინავი თეფში?!  
უნინ აქ მხოლოდ შავი ხავერდის პეპლები დაფრინავდნენ,  
ფრთებზე მოვლებული ყვითელი არშიებით;  
უნინ აქ მხოლოდ მინის პეპლები დაფრინავდნენ  
და მათ გამჭვირვალე ფრთებში  
გომბემოს კანივით დალაქული ლურჯი ლილიები ირეკლებოდნენ.  
ახლა კი აქ მფრინავ თეფშს ცარიელი ადამიანები მოჰყავს  
და აღარ დაფრინავენ პეპლები.  
ცრემლები მახრჩობს, რადგან ვიცი, რომ აღარასდროს მოფრინდებიან,  
აღარც მათ ფრთებში აირეკლებიან გომბემოსნაირი ლურჯი ლილიები.

მფრინავი თეფში ეშვება მთვარის შუქით განათებულ მწვანე მინდორზე  
და მრავლდებიან ადამიანები – კეფაზე მიმაგრებული ანტენებით,  
ყველაფრის შეცნობის უნარით, გამოცვლილი გენეტიკური კოდით.  
ანტენებივით იხრებიან აქეთ და იქეთ, საჭიროების და დროის მიხედვით.

და მე გულთან ხელით ვისინჯავ მრავალ ნაწილად დაშლილ სიყვარულს,  
ხელისგულებს კი ეკლები კანრავს და ვხვდები,  
რომ სიყვარული ახლა უკვე ყველაფერია, გარდა სიყვარულისა.  
მწვანე მინდორზე სეირნობენ ადამიანები აქეთ-იქეთ მოქანავე ანტენებით,  
მწვანე მინდორზე ვსეირნობ მეც;  
ყვავილებს აგროვებენ და ანტენებივით იხრებიან,  
ყვავილებს ვაგროვებ და მათ მხარეს ვიხრები.  
სულ ცოტაც და ჩვენ შორის აღარანაირი განსხვავება აღარ დარჩება  
და ვიდრე ეს მოხდებოდეს,  
ვიდრე მეხსიერება ამომეცხებოდეს მსუთავი ქვიშით  
და გულთან ეკლებად ქცეული სიყვარული დამატყდებოდეს,  
თავს ვინუგეშებ, რომ ისინი აქამდეც ჩვენს შორის იყვნენ.



სულ აღარავინ დამრჩენია მოკეთე გვერდით,  
რომ მკვდარ იმედებს დაუხუჭოს ვინმემ თვალები,  
როგორ წახვედი სიყვარულო ისეთი ელდით,  
რომ დღემდე სულზე მამჩნევია ნატერფალები.  
ვარ ჩემივ თავზე გამობმული თოკებით ახლა,  
რთავს ოთახს ჩემი მარტოობის ცივი კარიბჭე,  
ალბათ, არსებობს აივანი, რომელიც დალლას  
მაგრძნობინებს და შემომძახებს: „გადამაბიჯე!“

## ნიკოლას მაჩაბელი

### ჩაინა კონტრასტებიდან

#### 1. რატომ და საიდან?

ყოველი საათი სავსეა მოულოდნელობებით, ყოველი დღე ერთი დიდი, შორეული აღმოსავლური თავგადასავლის ნაწილია, ასე მივიწვევ საით, ღმერთმა უწყის...

რთულია ფობიებით განამებული ახალგაზრდის ცხოვრება, რომელსაც სიცოცხლის დაუოკებელი სიყვარული კლავს. როგორია? ასე ორი რამ ერთად – „შიშები“ და „სიცოცხლის სიყვარული“, იქნებ ერთი და იმავე მონეტის ორი სხვადასხვა მხარეა? ჩემი განწყობა ხან ისეთი მონამლული და სასონარკვეთილია, ხანდახან კი ისეთი ველური ჟინით აღტკინებული, ვულკანივით ცეცხლისმფრქვეველი. ყველაფერი, ალბათ, ბავშვობიდან მოდის, ყველაფერი აღზრდისას ჩაისახა, დედისა და მამისაგან, როგორც ორი ურთიერთსაპირისპირო მატერია – ცა და მიწა.

ჩემი მშობლები ერთმანეთთან რადიკალურად დაპირისპირებულ ორ ბუნებას წარმოადგენდნენ, ამიტომაც, ხან მამაჩემის აფექტური და ფობიებით სავსე საათებით ვიტანჯები და მიდრეკილი ვარ თვითგვემისკენ, ან მა-

სავით ყველაფერი ფეხებზე მკიდია და შევხარი ჩიტების ჭიკჭიკს, ხანაც დედაჩემივით უმიზეზო მოწყენა, წარსულში დაბუდებული იმედგაცრუება მიწურავს ცხოვრების იმედს და ხანაც მასავით ავცქმუტდები, ლამაზად ვიღიმი და მიხარია მზიან ამინდში სეირნობა.

მე ახლა ამ ყველაფერს შორეულ ჩინეთში ვწერ, ჰეილონგიანგის პროვინციის ერთ მიყრუებულ, სამყაროს მოწყვეტილ ქალაქ იაგდაქში. ეს პროვინცია ცნობილია, როგორც ისტორიული მანჯურია. ამ რეგიონისთვის საუკუნეების განმავლობაში იბრძოდნენ ჩინელები და რუსები, ჩინელები და იაპონელები, იაპონელები და რუსები და ა.შ. იმპერიები იმპერიებს ენაცვლებოდნენ, საბოლოოდ კი აი შედეგიც – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჰეილონგიანგის პროვინცია, მკაცრად დაქვემდებარებული ჩინეთის კომუნისტურ პარტიას. პროვინცია ჩრდილოეთითაა, ჩემი ქალაქი – იაგდაქი კი ამ პროვინციის უკიდურეს ჩრდილოეთში, რუსეთის საზღვართან, ციმბირთან ახლოს. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ პირველი ქართველი ვარ, ვინც

კი ამ ქალაქში ოდესმე მოხვედრილა. პროფესიით გეოგრაფს, მუდამ მქონდა მიდრეკილება კოლუმბიზმისაკენ. თანამედროვე ტექნოლოგიების და მეფინგის ფონზე, კოლუმბიზმს მინიმალურად, მაგრამ მაინც ვახერხებ.

ახლა 7 აპრილია, მზე დილაადრიანად ამოვიდა და ცდილობს, შეამსუბუქოს ჩრდილოური სიცივე, ღამით 7 გრადუსი იყო, დღისით კი 3 გრადუსს მივალნიეთ, ნელ-ნელა თბება. წარმოვიდგენ, ახლა თბილისში როგორი ამინდია – მზე, გაზაფხულის სურნელი, ახალგამოდვიძებული ხეების სუნი, ცეცქენების, ყვავილების სურნელი ტრიალებს ქუჩებში; თან ჩიტების ჭიკჭიკი ერთვის, შაშვებისა და მერცხლების ჟრიაში; თბილისის უბნებში ახლა ისეთი სიცოცხლე ჩქეფს, ისეთი ხმაურია და გოგობიც რომ უკვე ხალვათად იცვამენ? ბავშვები ეზოებში ფეხბურთს თამაშობენ, ისმის ყვირილი და ალიაქოთი; მთელი სილამაზის კორიანტელია, სამხრეთული აღმურია ახლა ჩემს ქალაქში, იაგდაქში კი ჩიტები ჯერ არ მოფრენილან, არც ხეებს გამოუღიათ კვირტები, აქ ჯერ კიდევ მოჩანს ყინვისგან დამძიმებული სახურავები, თოვლი ძირითადად დადნა, მაგრამ სადღაც, მიყრუებულ ადგილებში, სადაც მზეს ჯერ ვერ მიუღწევია, თოვლი ჭუჭყად და ტალახად ქცეულა; მოქალაქეები ამ ადგილებს არ ეკარებიან. გაზაფხულის დადგომას მხოლოდ მზით ვცნობ, მაგრამ არა სულიერი არ განიცდის ჯერ ამ ცვლილებას. ეს მზეც ისეთი მორიდებულია, მკრთალი... ჩვენებური თბილისური მზის სითავხედე მენატრება, მწვავე და ეფექტური.

და საიდან მოვხვდი ჩინეთში? რა მოხდა? რატომ ვარ მე აქ? „პაბეგში“ ვარ? თუ ფათერაკების მაძიებელი მორიგი ლუზერი ვარ? ან საიდან დაინყო ჩემი მოგზაურობა ჩინეთში? პირდაპირ საქართველოდან წამოვედი? ორივე კითხვის პასუხი ძალიან საინტერესოა, მზად ხარ, მკითხველო? მაშ, დავინყოთ:

თბილისში მეხუთე წელი იყო, რაც საჯარო სამსახურში ვმუშაობდი. ყოველ დღე ერთი და იგივე მეორდებოდა შაბათ-კვირამდე, უქმეები კი, როგორც წესი, მეცოტავებოდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდამ, ჯერ ისევ სიცოცხლით სავსემ, ჩემი ჯეელობის ხუთი წელი საოფისე ცხოვრებას შევნირე. ამ პერიოდს რომ გადავხედავ, ისეთი სიცარიელის შეგრძნება მაქვს, თითქოს არაფერი არ ხდებოდა, თითქოს რობოტი ვიყავი და უაზრო დოკუმენტებში და კომპიუტერის ჩხაკუნში გაიარეს წლებმა. მე სარგებელი დიდი ვერაფერი ვნახე, აი, სახელმწიფომ და სამსახურმა კი დახვეწა მთელი რიგი სტრუქტურები, ჩემი და ჩემნაირი ახალგაზრდების წყალობით. თითქოს მე ვენიერებოდი და სახელმწიფოს სახელით ვიღაც ღორებმა დაიკიდეს მედლები და გაიბლინდნენ უცხოელი სტუმრების წინაშე. მე და ჩემი კოლეგები კი ისევ ფარდის მიღმა აღმოვჩნდით, აი, როგორც ორუელის გენიალურ „ცხოველების ფერმაშია“ – ღორებმა თავისას მიაღწიეს პატიოსანი ცხოველების ხარჯზე. გენიალური ნაწარმოებია, დიდება „ცხოველების ფერმას“, საუკუნის წინ ასე კარგად რომ აღწერა ჩვენი საოფისე ცხოვრება.

გასული დეკემბრის მიწურულს ხმები გავრცელდა ხელფასს მოგვიმატებენო. ჩემი ხელფასი, მიხვდებით, ალბათ, რა საცოდაობა იყო მაშინ, როცა საკუთარი ცხოვრების აწყობა გინდა, ოჯახის შექმნა გინდა, სახლის ყიდვა გინდა... უამრავი რამაა დამოუკიდებლად ცხოვრების დასაწყებად რომ გჭირდება, აღარ გინდა მუდამ მშობლებთან ერთად ცხოვრება, მათთან ერთად შეყვარებულის ყოლა, მათთან ერთად ცოლის მოყვანა, მათთან ერთად შვილის გაჩენა, მათთან ერთად ცოლ-ქმრული ჩხუბი, ხომ გესმით, არა? მთელი ეს გაჭირვებული „ოჯახი ოჯახში“. ჰოდა, იმას ვამბობდი, რომ ხუთი წლის თავზე ხელფასს მოგვიმატებენო და მე, არ იცით, რამდენით მომიმატეს?

– ათი ლარით. აქ შეგიძლიათ, ხმამაღლა დამცინოთ ან გადაბჟირდით და თითი გამოიშვირეთ ეკრანისკენ – „ვაჰაჰა, შე, სანყალო!“ დამცინეთ, დიახ, ათი ლარით მომიმატეს. ამაზე მეტი უბედურება რა უნდა მომხდარიყო? ამაზე მეტი იმედგაცრუება რა უნდა მქონოდა? სამსახურმა, რომელსაც თავს ვწირავდი, რომელსაც ვერთგულვდი, ჯერ იყო და სამედიცინო დაზღვევა გამიუქმა, მეორე წელს ზაფხულის პრემია გააუქმა და ახლა, ხელფასის მომატებისას, ასე საშვილიშვილოდ დამცინა. ავდექი და გადავწყვიტე, სამსახური უცხოეთში მომეძებნა.

ერთ-ერთ საიტზე ინგლისურის მასწავლებლის ვაკანსიებს ნავაწყდი: ჩინეთი განიცდიდა ინგლისური ენის მასწავლებლების ნაკლებობას და სულაც არ ითხოვდა „ჰაი კლასის მასწავლებლებს“, ხელფასი კი საკმაოდ მიმზიდველი ჩანდა, თვეში – სამი ათასი დოლარი, მხოლოდ ერთ თვეში! და სამუშაო გრაფიკი? სამუშაო გრაფიკი მხოლოდ ოცდახუთი საათი? ო, ღმერთო ჩემო, წარმოგიდგენიათ? საჯარო სამსახურში კვირაში ორმოცდარვა საათს ვმუშაობდი და თვეში ხელფასი ორას ორმოცდაათი დოლარი მქონდა, აი, ჩინეთში თუ წავიდოდი ოცდახუთი საათიან მუშაობაში სამი ათასს გადამიხდიდნენ. ასე გადავწყვიტე სამშობლოს დატოვება და, ფულის საშოვნელად, ჩინეთისკენ გამოვნიე.

აუცილებლად უნდა გავიხსენო ის პროცედურა, თუ როგორი რთული იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ანუ კომუნისტური ქვეყნის ვიზის აღება. სამი თუ ოთხი მისვლა დამჭირდა ბარნოვზე, ჩინეთის საკონსულოში, იანვრის ცივ განთიადებზე, სადაც სულ ერთი მაღალი, კბილჩამომტვრეული, მომღიმარი დაცვის ბიჭი მხვდებოდა და გზის დალოცვით მიშვებდა კონსულთან. საბუთები კი, იცოცხლეთ, შესაგროვებელი იყო: ნასამართლეობა, სამედიცინო შემონმება, შიდსი, სიფილისი, ჰეპატიტები. უნდა გენახეთ, ის კვირა,

როცა ანალიზებს ვიტარებდი, სანამ გავიგებდი, რაიმე ფარული ხომ არ მჭირდა, რაიმე დაავადება ხომ არ გადაელობებოდა ჩემს ჩინურ მიზანს, მაგრამ მე სრულიად ჯანმრთელი ვიყავი, მოულოდნელად სრულიად ჯანმრთელი, არადა, ისეთი განცდა მქონდა, ყველა დაავადება იმ ერთ კვირაში დამემართა.

სამსახურში არაფერს არ ვამბობდი. დიადი ჩინური გეგმა რომ არ გამოსულიყო, ოფისს ტყუილად ხომ არ მივატოვებდი?! აი, მაშინ კი, როცა ვიზა უკვე ხელში მეჭირა და ჩინეთის ბილეთებიც ვიყიდე, გადავწყვიტე, ოფისი ისე გამეცურებინა, როგორც ის ამდენი ხნის განმავლობაში მახანძებდა. ყველა ავანტიურისტი, ვინც კი სულში მყავდა, იქნებოდა ფელიქს კრული თუ ოქტავ პარანგო, გაერთიანდნენ და ისეთი გეგმა შეადგინეს ოფისის დასაგოიმებლად, რომ უკეთესს ვერც ვინატრებდი.

აი, აქ კი უკვე იწყება ამბავი იმისა, თუ საიდან დაიწყო ჩემი აღმოსავლური მოგზაურობა. რატომ დავადექი ჩინეთის გზას, გავიგეთ – მარტივი ანგარიშის გამო, ფულის შოვნის გამო, ხოლო საიდან დაიწყო ეს მოგზაურობა, უკვე სხვა თემაა – ჩემი შორეული აღმოსავლური მოგზაურობა პარიზით დაიწყო. ღიმილი...

დიახ, როცა უკვე ჩინეთის ბილეთები მქონდა ნაყიდი და გაფრენამდე სამი კვირა იყო დარჩენილი, ოფისში ისევ არ ვთქვი, რომ სამსახურიდან მივდიოდი, ანაზღაურებადი შვებულება ავიღე და ჩემი შეგროვებული ფულით პარიზისკენ გავნიე. ეს ჩემი იდეური, ჩემი ცხოვრების სიმბოლური აქტი იყო. ჩემი სხეული მუდამ ჰყვებოდა ჩემს შინაგან მოწოდებებს, და აი, მე ჩინეთამდე ერთი კვირით ადრე პარიზის ქუჩებში დავიარებოდი, მარტოდმარტო დავდიოდი და არაფერი არ მადარდებდა – არც მომავალი, არც წარსული, მხოლოდ ის მომენტი, იმ მომენტებით ტკბობა იყო ჩემთვის მნიშვნელოვანი.

ყველაზე უცნაური პარიზში წასვლი-სას ის იყო, რომ მე ვალენტინობა დღეს გავფრინდი. გამოცდილ მოგზაურებს გეცოდინებათ, არის ქალაქები, სადაც მარტოც ძალიან კარგად ხარ, არც არავინ გჭირდება... თითქოს ამ დროს თავად ქალაქი კისრულობს შენს პარტნიორობას, ქალაქთან ერთად სეირნობ, ქალაქთან ერთად წრუპავ წითელ ღვინოს, ქალაქთან ერთად ადიხარ მთაზე და გადმოჰყურებ მიდამოს, ქალაქთან ერთად ადიხარ სასტუმროს კიბეებზე, მოუფათურებ ხელს კედლებს და ქალაქთან ერთად იძინებ გემრიელი ძილით. ბავშვობიდან მუდამ თან მდევდა პარიზის სიყვარული, ჯერ კიდევ ბაბუა ჰიუგოს რომანებიდან შემოვიდა ჩემში და დასახლდა. ხშირად თბილისში, მტკვრის სანაპიროზე სეირნობისას, მომლანდებია, რომ წინ სენის სანაპიროები იყო, მომჩვენებია, რომ ეიფელი მთა-მინდის ანძა იყო, აგერ რუსთაველი კი შამპს ელიზე, მონმარტრი – სოლოლაკი, ბელვილი – ვერა და ა.შ. მუდამ თბილისსა და პარიზს შორის გაჭედელი მწერალი ვიყავი. პარიზი ჩემი გამოსავალი და ალტერნატივა იყო, განსაკუთრებით მაშინ, როცა მორიგ შეყვარებულთან ჩხუბი მომივიდოდა ან თუნდაც სატრფო მიმატოვებდა, მე თავს იმით ვინუგეშებდი, რომ წინ პარიზი იყო, ამ გოგოსა და ყოფილ შეყვარებულზე უფრო ტკბილი და დაუვიწყარი რამ – ფრანგული ენა, პარიზში აუსრულებელი ცხოვრება.

საფრანგეთის დედაქალაქში გატარებული ის ერთი კვირა ჩემთვის ენერგიებით ავსება იყო, ერთგვარი დამუხტვა, რომ მე მომავალი ერთი წელი ევროპულ ცხოვრებას მოვწყდებოდი, ჩემს მშობლიურ ღერძს, ყველაფერ ევროპულს, „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“ კი ჩემში უნდა ყოფილიყო, როგორც მარადი სამოქალაქო ლოზუნგი. პარიზის დღეებიდან მახსენდება ღამით ინვალიდეს მუზეუმთან ხეტიალი, ილუზიები, რომ

ცნობილ ადამიანებს ვხვდებოდი. ვენვიე რომენ გარის სახლს, სადაც მან თავი მოიკლა, ვიყავი პერ ლაშესეზეც და ჯიმ მორისონის საფლავზე ვიმღერე „Come on baby light my fire“.

ჩემი მარტოსული, მხიარული და ბედნიერი მოგზაურობა თვალის დახამხამებაში გაიპარა, მთელი დღეების განმავლობაში ვეტრფოდი და ვესიყვარულეობდი ხეებს, ადამიანებს, მეტროს სადგურებს, ქვაფენილს, კიბეებს... იმდენი ვიარე პარიზში, ღამით ფეხების ტკივილი მტანჯავდა, პირველად ვიგრძენი, რომ მქონდა ფეხები და რომ მასაც უნდა გავფრთხილებოდი. ჩემს ფეხებს კი სად აღარ დავყავდი, სად არ მატარა და წინ კიდევ, ვინ იცის, რამდენს მატარებდა.

და აი, დადგა ჩინეთისკენ წამოსვლის დღეც. სამსახურში წინა დღით მივედი, მოპროტესტო სუნი დაჰკრავდა ყველაფერს, რასაც მე ვაკეთებდი. ყველა მიმიხვდა, რომ სამსახურს ვტოვებდი, იმასაც მიხვდნენ რომ ორკვირიანი შვებულების ფული შემრჩა, წლის დასაწყისში დავისვენე და ხელფასიც ავიღე. მივდიოდი მათგან, უმადურებისაგან და ბრძებისგან, ვტოვებდი მათ, იმ ათი ლარისთვის, ვტოვებდი მათ უსამართლო მოპყრობისთვის, ვტოვებდი მათ დაიგნორებისა და იმედგაცრუებისთვის... და რა, განა მე პირველი ვიყავი? განა, ქართველი ახალგაზრდების უმეტესობა ასე არ გაექცა ჩვენი ქვეყნის ბიზნესსა და ღორულ სახელმწიფო სისტემებს? საღორეში დიდხანს ვერ ძლებენ ღამაზი, თავისუფლების მოყვარული ბედაურები... რაც არ უნდა ბანალურად და არალიტერატურულად უღერდეს – ეს ასეა.

## 2.სამშობლოდან შორს

თბილისის აეროპორტიდან რომ ავფრინდით, არანაირი შეგრძნება არ მქონია, თუნდაც სინანული, რომ ვტოვებდი

ვინმეს ან რამეს. არა, მთელი გონებით და მთელი სხეულით სიახლის მოლოდინში ვიყავი, რა იქნებოდა იქ, რა აღმოჩნდებოდა შორეული აღმოსავლეთი – ჩინეთი და ჩინელები.

ხუთსაათიანი ფრენა გართულდა – თვითმფრინავი ტურბულენტურ ზონაში რამდენჯერმე მოხვდა. თებერვლის ცივი ზამთარი იდგა და ზეციდან ქვევით „ტიან შანის“ თეთრ და გაუდაბურებულ მთებს დავცქეროდი. დამლელი და ნერვიული ფრენის შემდეგ, როგორც იქნა, გამოჩნდა პირველი ჩინური ქალაქი. პირველივე ამბავმაც არ დააყოვნა, რამაც კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ წინ უამრავი გაუგონარი და უცნაური რამ მელიოდა – სხვა სამყარო, სხვა სისტემა, გაგონილი და მხოლოდ ფილმებში ნანახი.

ურუმჩი პირველი ქალაქი იყო ჩინეთში, სადაც ფეხი დავდგი. ეს აღმოსავლურ-ჩინური ქალაქი ერთგვარი დიდი ჰაბია – დასავლეთიდან მომავალი თვითმფრინავები ურუმჩიში ჩერდებიან, ავზს ავსებენ და ჩინეთის სხვა ქალაქებისკენ მიფრინავენ. ერთგვარი ჩინური ფრანკფურტია. ურუმჩიში რომ ჩავედი, აეროპორტიდან არ გავსულვარ, რადგან ტრანზიტული მგზავრი ვიყავი, მაგრამ რატომღაც ჩემი გვარი გამოაცხადეს. დაბალი პოლიციელები მოვიდნენ, გახუნებული მწვანე ფორმები ეცვათ და დამტვრეული ინგლისურით მითხრეს, რომ მათ გავყოლოდი. სხვა რა დამრჩენოდა, ბარგების გადმოსატვირთად ადგილას გავყევი. ჩემი დიდი ჩანთები გადმომალბინეს და ისევ კონტროლზე გამატარეს. იარაღიანი, უკვე ყავისფერ ფორმაში ჩაცმული ჯარისკაცები გადმოდგნენ და ხელით მიმითითეს, ამოალაგე ჩანთაო. გონება დავძაბე, რა აღმოაჩინეს ან რა არ მოეწონათ ამ ჩემისებს? ვითომ ღვინო? თუ კონიაკი? კი მაგრამ სასმლის ნამოლების უფლება მქონდა, რატომ მანვალეზდნენ?! თან ასეთი დაღლილი

ვიყავი და წინ კიდევ დიდი გზა მელიოდა. მედგნენ თავზე ჯალათებივით და მალაგებინებდნენ. აი, მეც გავხსენი ჩემი ჩანთა და ყველა შორიდან მიყურებს, აინტერესებთ, რა აღმოაჩინეს მესაზღვრეებმა. იყვნენ ყაზახები, რუსები და შუა აზიის სხვა ქვეყნის მოქალაქეები. მე კი ჩემს ტრუსიკებს, ჩემს ზედებს მათ თვალწინ ვატრიალებ. წითელი ღვინოც აბრიალდა მათ წინაშე. არა, მესაზღვრეები მაინც არ არიან კმაყოფილი და მიმითითებენ პატარა ყუთზე, სადაც ჩემი პატარა ჯიბის დანა მელიო. ო, ღმერთო ჩემო, სად არ მიმგზავრია, სად არ მიტარებია ეს ჩემი პატარა ჯიბის დანა – ესტონეთში, გერმანიაში, საფრანგეთში... არავის არაფერი უთქვამს, თან ისე მიყვარდა, რაღაც უაზრო იმედად დავატარებდი.

კანონმორჩილი მოქალაქე ვარ, მაგრამ ეს ჯიბის დანა ჩემი ოთხმოცდაათიანელობის შედეგი იყო, როცა უბანში დანის გარეშე არ გავდიოდით, როცა უაზრო და გაუგებარ ჩხუბებში მიხდებოდა მოხვედრა და ჩემი დანაც მუდამ იმედად ჩემ გვერდით იყო. რამდენი წელი გაძლო, როგორი მსუბუქი, უვნებელი და შეუმჩნეველი იყო, ახლა კი ამხელა მასკარადის მიზეზი გახდა. ჯარისკაცებმა ხელიდან გამომგლიჯეს, იქვე დამაყენეს და სურათები გადამიღეს; ჩემი პასპორტი დანას გვერდით მიუდეს და ისე გადაუღეს ფოტოები. იმხელა დონის კრიმინალი გამომიყვანეს, ვერ წარმოიდგენდით. ხალხი შორიდან მიყურებდა, მე კი ჩემი ოთხმოცდაათიანების დანაზე ხელებს ვასავსავებდი, ვბლუყუნებდი – ეს ხომ მხოლოდ სუვენირია, საჩუქარია ჩინელი მეგობრებისთვის-მეთქი. რა თქმა უნდა, არ დამიჯერეს. დანა ჩამომართვეს და გამაფრთხილეს, ასეთები ჩინეთში არ დაგჭირდებაო. მივხვდი, რომ კონტროლირებად სივრცეში შევედი, სადაც ყველაფერი იცოდა სახელმწიფომ, ყველაფერს კითხულობდა და ყველაფერში ერეოდა. მგზავრებს რომ შევერიე,



თავი ლამის ალ კაპონე მეგონა, ისინი ისეთი ცხვრებივით, მშვიდი და უპროტესტო მგზავრები ჩანდნენ. მათ არც ომი ენახათ, არც სამოქალაქო ამბოხი გადაეტანათ და არც იმპერიულ ქვეყნებს შესჭიდებოდნენ. ისინი დაიბადნენ და ბედნიერად ცხოვრობდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში.

ურუმჩის შემდეგ პეკინში ჩავფრინდით. თვითმფრინავმა დააგვიანა. ამიტომაც ჩემი შემდეგი ფრენა პეკინიდან ჰარბინისაკენ გადადებული იყო. მეც დილის 12 საათამდე რა უნდა მეკეთებინა პეკინის აეროპორტში; ავტეხე ერთი ამბავი და ავიაკომპანიას კომპენსაცია მოვთხოვე, მოვითხოვდი, მთელი ღამე აქ არ დავეტოვებინე და ადეკვატურად მომქცეოდნენ. ჩინეთში საერთოდ უნდა დაივიწყო, რომ, შესაძლოა, ვინმე საუბრობდეს ინგლისურად. ისეთი აურაა, თითქოს ყველა სიხარულით გეგებება და შენც გგონია, ინგლისურად საუბარს გააბამ, მაგრამ არა, დაივიწყეთ. გინდაც ეს საერთაშორისო ფრენები იყოს, ჩინური ავიაკომპანიის თანამშრომლებმა არ იციან ინგლისური. ამას თან ერთვის ის, რომ ამ არცოდნას იყენებენ და შეიძლება გააგებინო კიდეც, რა გინდა და რატომ, მაგრამ ვითომდა ენის გაუგებრობის გამო ინელება მათი რეაგირება. მიხვდით, ალბათ, ხომ სიტუაციას? სხვადასხვა წარმომადგენელს დაახლოებით ათჯერ ავუხსენი ერთი და იგივე, რომ ფრენა გადაიდო და, რომ მათ სასტუმროში უნდა წავეყვანე. ფურცელზე დაუხსატე და ხელებით ვანიშნებდი, რა მოხდა და რა მინდოდა. არ მოვეშვი, სანამ ჩემსას არ მივალნიე და ჰოი, საოცრებავ, ორსაათიანი ლოდინის შემდეგ მარშუტკაში მომათავსეს და პეკინისკენ გავნიე. მე უფრო იმის მულამი მქონდა, ღამის პეკინი მენახა, მაგრამ არა, გარეთ გავედით თუ არა, ისეთი „სმოგი“ დამხვდა სამ ნაბიჯში, ადამიანს ვერ ვხედავდი. ცაზე ავიხედე და ყვითელი ბოლისმაგვარი ნისლით

შემოსილიყო ცა. ო, ღმერთო ჩემო, აქ ან როგორ ცხოვრობენ, ან როგორ აღწევენ საერთოდ რაიმე წარმატებას.

პეკინი საოცრად უყმური, მოწამლული და დაბინძურებული ქალაქია. მაღალი დონის სასტუმროში მომათავსეს, სადაც ინტერნეტიც კარგი ჰქონდათ და სასტუმროს ნომერიც ისეთი იყო, ჩინელ მაფიოზა ბიძიებს რომ აქვთ ხოლმე ფილმებში – დიდი სანოლი, დიდი ხის მაგიდა, ორი დიდი იასამნისფერი დივანი და ოქროსფრად მოვარაყებული აბაზანა. ამ სასტუმროში რომ შემომიყვანეს, კი გავიფიქრე, ამაღ კი ღირდა ფრენის გადადება-მეთქი. გემრიელად გამოვიძინე და მეორე დღეს დამშვიდებული ვიჯექი თვითმფრინავში და ჰარბინისკენ მივემგზავრებოდი.

ჰარბინში შევხვდი ჩემი დამსაქმებელი კომპანიის ერთ-ერთ თანამშრომელს – დაბალ, პატარა და მოშავო კეპკიან ჩინელ გოგონას – ლინდას, რომელსაც ხელში აბრა ეჭირა – „Nickolas“.

ჰარბინი ჰეილონგიანგის პროვინციის, ისტორიული მანჯურიის დედაქალაქია, ათი მილიონი მოსახლით და, უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად მისი სიდიდისა, ქალაქში მაინც არ არიან უცხოელები. მხოლოდ მონღოლოიდური, ყვითელი რასის წარმომადგენლები დაიარებიან. ამიტომ პეკინში თუ ვერაფერი განსაკუთრებული, ჰარბინში უკვე ვიგრძენი, რომ ყველას ყურადღებას ვიპყრობდი. ლინდა ჩემი სახელის აბრით რომ დამხვდა, მაშინ ვიგრძენი, გულივერი ვიყავი ლილიპუტების ქვეყანაში. ლინდას მივესალმე. ჩემ გარშემო სამიოდე მობილურმომარჯვებული მოქალაქე დარბოდა, სურათებს მიღებდნენ. ასე დაიწყა ჩემი ჩრდილოური პოპულარობა, არანაირი ღვანლით, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიყავი თეთრკანიანი, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიყავი ლამაზი რასის წარმომადგენელი (ისინი ასე თვლიდნენ).

ლინდამ ჰარბინის ჩრდილოეთ სად-

გურში წამიყვანა, საიდანაც მატარებლით ჩრდილოეთის ქალაქ იაგდაქისკენ გავნიეთ. მგზავრობით დაღლილი და მოქანცული ვიყავი, მაგრამ თითქოს უცხო ადამიანების თვალები მახალისებდა, მათი გაცემისა და აღფრთოვანებული მზერა მავსებდა. მოხუცები, მე რომ დამინახავდნენ, დანოჭებულ სახეს გაკვირვებით შეახტუნებდნენ, ახალგაზრდები მაშინვე მობილურს მოიმარჯვებდნენ და ცდილობდნენ, ფოტო გადაეღოთ, ბავშვები კი უფროსებთან გარბოდნენ და ხელს ჩემკენ იშვერდნენ.

გულივერის მოგზაურობა იწყებოდა.

ჰარბინიდან იაგდაქისკენ მატარებლით მგზავრობა ჩუმი და ჰორიზონტალური იყო. მე ძირითადად ვინეკი და ლინდას გავცქეროდი ხოლმე, რომელიც მობილურში რალაც ჩინურ კომედიას უყურებდა; წიგნის ალებაც ვცადე, მაგრამ, რამდენი კითხვა დავინწყე, იმდენი ჩამეძინა. მატარებელში ძალიან ცხელოდა. გათბობის სისტემა იყო ისე გაკეთებული, რომ ხურდა ვაგონი, ამის მნიშვნელობას გვიან სალამოს მივხვდი, როცა მატარებელი იაგდაქში ჩამოგვაგზავნა ვამჩნევდი ხეებს, როგორ იკლებდა მათი რაოდენობა, როგორ დაბლდებოდა მათი სიმაღლე, ბოლოს ყველა მათგანი თეთრად შეიღება, სულ ბოლოს კი უკვე სულ თეთრ ტყეშიც აღმოვჩნდით, აი, აქ მივხვდი, რომ დამერხა.

იაგდაქში ღამის 10-11 საათზე ჩამოვედით, ყინვა – 25 გრადუსი. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ასეთ სიცივეში მიწვედა ყოფნა, თან თებერვლის თვეში. ჩვენთან, თბილისში, კვირტები ფეთქდებოდნენ, მე კი იაგდაქში 25 გრადუსიან სიცივეში აღმოვჩნდი. დაგუბებული უცხო ხმები, მგზავრების ჟივილ-ხივილი... ძველი მატარებლის ვაგონიდან გადმოვედი. ირგვლივ თოვლი... მბჟუტავი სინათლე... ასე აღმოვჩნდი დანიშნულების

ადგილას, ციმბირის ჩინურ მხარეს, ქალაქ იაგდაქში.

თბილისი-პეკინი 9 სთ ფრენა, პეკინი-ჰარბინი 2 სთ ფრენა, ჰარბინი-იაგდაქი 10 სთ მატარებელი... საბოლოოდ, ისე შორს წამოვედი საქართველოდან, რომ, მეგონა, აღარაფერი მომხვდებოდა გულზე, აღარ მომწვედებოდა ის, რაც საქართველოში ასე მამწუხრებდა და გულს მტკენდა. აქ ახალი პრობლემები და საზრუნავი მექნებოდა, მაგრამ, რაც მთავარია, არა ის, რაც ქართული იყო, პირდაპირ გულში საცემი – ქართული ყოფა ჩემი ახალგაზრდობისა და ცხოვრებისა სატანჯველად წარმომედგინა.

### 3. პირველი დღეები

იაგდაქში პირველი დღეები ძალიან გამიჭირდა. ჯერ იყო და იმედგაცრუებული ვიყავი, რადგან დამსაქმებელმა, რომელმაც მომიწვია, პირველი დაგომება ამაფარა სახეზე. გვიან ღამით გათიშული რომ ჩამოვედი, რას მივაქცევდი ყურადღებას, მაგრამ მეორე დღით რომ გავიღვიძე და ფანჯარაში გავიხედე, იმ სასტუმროში არ ვიყავი, რომელი სასტუმროს სურათებსაც მიგზავნიდნენ, რომლის მისამართიც მომიწერეს. იაგდაქის ერთ რიგით სასტუმროში აღმოვჩნდი, რომელიც, რა თქმა უნდა, ცუდი სულაც არ იყო, მაგრამ ვინრო და არაკომფორტული კი მაინც ეთქმოდა. ეს პირველი დაეჭვება იყო, ვაიდა, რამე შარში არ გავება, რამდენად კარგი კომპანია იყო დამსაქმებელი? სასტუმროში მომაცყუეს, ტრეფიკინგის მსხვერპლი ხომ არ აღმოვჩნდებოდი, თან ასე შორს სულ განწირული ვიყავი, გადამიხდიდნენ თუ არა იმ ხელფასს, რომელსაც დამპირდნენ, რომლის გამოც წამოვედი ასე შორს?

იაგდაქში ძალიან ციოდა, გარეთ მართლაც რომ საშინლად ყინავდა. პირველი დღეები ქუჩაში რომ გავი-

დოდი 5-10 წუთი მახველებდა. არ ვიცი ეს ფსიქოლოგიური მომენტი იყო თუ რეალურად ჩემს ფილტვებს აწუხებდა ასეთი ტემპერატურა. ჩემდა გასაკვირად, მარტის იმ პირველ დღეებში არც ერთხელ არ გავციებულვარ, არც სურდო შემეყარა, პანიკურმა ხუთწუთიანმა ხველებამ კი ერთ კვირაში გადაიარა. თითქოს ფილტვებმა იმუნიტეტი გამოიმუშავეს და უკვე თავისუფლად დავდიოდი ოცდახუთგრადაუსიან სიცივეში.

თუ სიცივემ ვერაფერი დამაკლო, ჩემი დამონება და გატეხვა ჩინურმა საკვებმა შეძლო. კომპანიის მესვეურებმა, რომლებზეც ცოტა მოგვიანებით დანვრილებით, პირველ დღეებში საკუთარ თავზე აიღეს ჩემი გამასპინძლე-

როგორც ჩვენი ტაფაზე შემწვარი კარტოფილი, დათაფლული და უცნაურად ტკბილი იყო. მერე ყველა სახის ლობიოს სალათსა და წვნიანს მივადექი და ჰოი, საოცრება, ისიც ტკბილი იყო, დათაფლულივით. მოკლედ, მალევე მივხვდი, რომ ჩინელების ენის რეცეპტორები და გემოს შეგრძნებები მილიონჯერ განსხვავდებოდა ჩვენგან, ამიტომ რესტორნებში ჭამაზე უარი ვთქვი და თავად დავინყე პროდუქტების ყიდვა და ჩვენებური, დამარილებული, მლაშე საჭმელების კეთება. რესტორნებში ჩინური კერძების დაგემოვნებას ერთი ავბედითი ღამე მოჰყვა. რომელიღაც საკვებმა მანყინა და მთელი ღამე ვარწყევდი, ვერც ვხვდებოდი, რისი



ბა და ხან რომელ რესტორანში მეპატიჟებოდნენ, ხან რომელში. ერთმანეთს ენაცვლებოდა კრევეტები, ხბოს და ცხვრის მწვადები, ბოსტნეულის სალათები და სუპები, ლობიოს ღვეზელები, დაბრანული მატლები და მოხარშული მოლუსკები, რა აღარ... აღმოვაჩინე, რომ შემწვარი კარტოფილი, რომელიც გარეგნულად ისე გამოიყურებოდა,

ბრალი იყო, რომელი საჭმლის, განსაკუთრებით კრევეტების გემო მხვდებოდა გულზე, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ ვადანამაულებდი. ის ღამე თეთრად გავათენე, გამთენიისას კი მოულოდნელად თავზე სოფია და ლინდა დამადგნენ – ჰე, დროზე ადექი, ჩაიცვი, ჩაბარგდი, სახლი ვიპოვნეთ შენთვის და სასტუმრო უნდა დავცალოთო. წარ-

მოიდგინეთ, როგორ ვიყავი – უძინარი, გამოფიტული... პირველი დღეებია, აყრილ-დაყრილი ვარ ვინრო სასტუმროს ნომერში, წინა ღამით ვარწყევდი და, მოკლედ, ძალით წამიღეს, გადამიყვანეს ჩემს სახლში. ისე ცუდად ვიყავი, ვერც შევამჩნიე, როგორი სახლი იყო, მხოლოდ მოგვიანებით გავაანალიზე. მართლაც, მაგარი ბაითი შემირჩიეს, ოროთახიანი, დიდი სამზარეულოთი, ყველაფრით აღჭურვილი. მოკლედ, გადმოვედი მთელი ბარგი-ბარხანით, სოფია და ლინდა ტრიალებენ ოთახებში, ისევ გული ამერია, ცუდად ყოფნა გაგრძელდა, გავყარე ქალები და ვუთხარი, დღეს დამასვენეთ, გამანებეთ თავი-მეთქი. თვალი მოვავლე სახლს, ერთი პატარა საწოლი ავარჩიე, რომელზეც შანელის საბანი ეფარა, მივწექი და მივიძინე. მთელი დღე მეძინა, გადავრჩი... ძილში გამოვედი, შანელის საბანში ახლიდან დავიბადე.

საკვებზე საუბრისას არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ იაგდაქში არ მოიპოვება პური. ო, როგორ ვითრგუნებოდი. მოვიარე მაღაზიები და არა, არსად არ იყო! პირველ ღამეებში ერთი ასეთი სიზმარიც ვნახე – პური პიროვნება იყო და მელაპარაკებოდა. იმ სიზმრიდან არც თუ ისე დიდი ხნის მერე, ერთ დღეს, ასისტენტმა მითხრა, რომ პური ერთ-ერთ მარკეტში აღმოეჩინა, რუსული პურიაო. გულმა სიხარულით დაიწყა ფრიალი, მაშინ გავიფიქრე, ამ რუსების იმპერიალიზმს და ყველგან მიდებ-მოდებას რაღაც სარგებელიც აქვს-მეთქი, გავწიე მარკეტისკენ და ჰოი, საოცრებავ! ის პური აღმოვაჩინე, ოთხმოცდაათიანებში აგურა, სერ პურს რომ ვეძახდით. ისეთი გემრიელი იყო. მას მერე სულ ამ რუსულ პურს ვყიდულობ. მაღაზიაში მუდამ ერთი პირდაფჩენილი და გაცეხებული გამყიდველი მხვდება, თავს ისე მევლება, როგორც ბატონს დაჰფოფინებენ ხოლმე. ერთ დღეს ქალიშვილიც გამაცნო. თითქოს

ცდილობს, უცნობი მდიდარი მოგზაური ჩემში აღმოაჩინოს, რომელსაც ქალიშვილს სარფიანად მიათხოვებს.

იაგდაქი, ჩინეთის კვალობაზე, ძალიან პატარა ქალაქია – ერთი კინოთეატრი, ერთი დიდი მოლი, ერთი დიდი ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო, დანარჩენი კი ჩრდილოური, დახურულაივნიანი სახლები, სკანდინავიური არქიტექტურა, არანაირი ცათამბჯენი. იაგდაქი კიდევ უფრო შემეყვარდა, როცა გავაანალიზე, რომ ამ ქალაქს ჩინეთის სხვა ქალაქებისთვის დამახასიათებელი სმოგი და ფაბრიკა-ქარხნების გამონაბოლქვი არ ტანჯავდა. ფაქტობრივად, კურორტზე ვარ – ქალაქის გარშემო პატარა ტყეებია გაშენებული, მოქალაქეები სუფთა ჰაერს ვსუნთქავთ, ჩვენი ფილტვები ილოცებიან: „იაგდაქ!“, „იაგდაქ!“.

ჩემ დანახვაზე ყველა რეაგირებს – ზოგი სურათს იღებს, ზოგი ხელს მიქნევს, დანარჩენები კი ცდილობენ, საკუთარი პრიმიტიული ინგლისურის ცოდნა გამოავლინონ. იაგდაქელების ინგლისურიც, სამწუხაროდ, ისეთივე ინგლისურია, როგორიც სხვა ჩინელების „Hello, how r u? My name is blabla, nice to meet u“ – აი, ამ ფრაზებით, დაზეპირებული, რობოტ-დაშტამპული ტექსტებით მოდის ყველა და ეს ისეთი მომაბეზრებელია. გინდა, ცოტა მოაზროვნე გამოიჭირო, ოდნავ სხვა რამეს ჰკითხავ და უკვე ყველაფერი დასრულებულია. ხელს გიქნევენ და გარბიან, იბრინჯებიან და ცდილობენ, გაგერიდონ. ამას წინათ ერთი ტაქსისტი შემხვდა, ისეთი ინგლისური გამიბა, პირი დავაღე. კაცმა მკითხა: „How long have u been in china“ – ო, მივხვდი, სხვანაირი ჩინელი იყო, მერე ისიც მოაყოლა, ვიცი, თქვენი ქვეყანა საბჭოთა კავშირში რომ იყო. განათლებულ ტაქსისტს რომ დავემშვიდობე და მოვბრუნდი, მაშინ გავიფიქრე, ნეტავ საკონტაქტო გამოემართმია, რა საინტერესო იქნებოდა ასეთ კაცთან საუბარი, მერე კი გულში იმაზე ვხალ-

ისობდი, როგორც ჩანს, მარტო საქართველოში არ გვყავს განათლებული და ორდიპლომიანი ტექსისტები. ეს ჩინელი ტექსისტიც განათლებული იქნებოდა, რადგან ინგლისური ენის ასეთ დონეზე შესწავლა მას მხოლოდ მაღალი დონის უნივერსიტეტში შეეძლო.

მოქალაქეების საყოფაცხოვრებო დონეს რაც შეეხება, საშუალოზე მაღალია. ყველა ჯიპით დაიარება, ყველა ასაკის წარმომადგენელს მომარჯვებული აქვს ბოლო დონის სმარტფონი. ერთი სიტყვით, საკმაოდ შეძლებული ქალაქია. საქართველოს ქალაქებს რომ შევადარო, იაგდაქი მოსახლეობის რაოდენობით და სიდიდით ჰგავს რუსთავს, მაგრამ მოქალაქეების ყოფა რომ შევადარო, იაგდაქელები ბევრად ჩახევდნენ რუსებს, იაგდაქში ყველას გამართული და ბოლო წლის მოდელი მანქანა ჰყავს, ყველა ჰაი კლას გაჯეტით ინონებს თავს, სპორტით არიან დაკავებულნი, მოვლილი ძაღლებით დასეირნობენ პარკებში.

პირველ დღეებში ჩემი ყურადღება კიდევ ერთმა ფაქტმა მიიქცია – ბრენდებმა. აქ ყველაფერი კოპირებულია. ყველა ბრენდი, იქნება ევროპული თუ ამერიკული, გადმოღებულია და ჩინურ სანარმოში ჩინურ ყაიდაზეა დამზადებული. აქ ვნახე პატენტი: ლამბორჯინი და პორშე, შევროლე და მერსედესი; არა მარტო მანქანები, არამედ, საქმე ეხება ჩაცმულობასაც – შანელი, არმანი, ივ სენ ლორანი, თუმცა, ქალებს რომ ჰკითხო, იცით, სადაური ბრენდი გაცვიათ? გიპასუხებთ, რომ აზრზე არაა, მთავარია, ჩინური ნაწარმია, ეროვნული პროდუქციაა და დიზაინითაც მშვენივრად გამოიყურება.

აი, ასეთ ქალაქსა და ასეთ ქალაქელებთან აღმოვჩნდი შორეულ მანჯურიაში, ქართული გულივერის მოგზაურობას კი წინ დიდი გამოწვევები ელოდა.

#### 4. ჯეისარს ჯეისრისა

დროა ჩემს დამსაქმებლებზე მოვყვე: ლინდა – ჩემი ე.წ. ტრენერი, რომელიც დამხვდა ქალაქ ჰარბინში და წამომიყვანა იაგდაქში. მასზე იყო დამოკიდებული, როგორ ჩამაბარებდა კომპანიის ფილიალის უფროსს – სოფიას. ვინ იყო სოფია? სოფია ერთი ჩვეულებრივი, ორმოცდაათ წელს მიღწეული ქალი იყო, რომელიც განაბა ქალის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ტანითაც დიდი იყო და დუნდრუცა, სახეც დამრგვალებული ჰქონდა, ფლობდა გერმანულ რესტორანს და სულ ჯიპით დაიარებოდა. სოფია განათლებით დიდად ვერ დაიკვებინდა, პროფესიით სკოლის პედაგოგი იყო, ჰყავდა პოლიციამში, რიგით ადმინისტრაციულ საკითხებზე მომუშავე ქმარი და ქალიშვილი, რომელიც შენჯენში ასწავლიდა ჩინურ ენას. სოფია არასდროს ყოფილა გერმანიაში. ეს გერმანული რესტორანი მთლიანად მისი მეგობრის დამსახურება იყო, რომელიც გერმანიაში ცხოვრობდა და პერიოდულად უგზავნიდა სოფიას ევროპულ პროდუქციას და გერმანულ დეკორაციებს. შედიხართ სოფიას რესტორანში და ხედავთ ბერლინის პარლამენტის დიდ სურათს, ჭერზე გერმანიის დროშაა დაკიდებული, კედლებზე გერმანული ლუდების ბრენდების ნიმუშებია, მენიუ ჩინურია, მენიუმში სტიკები და შნიცელები ხატია, ეუბნები მიმტანს შნიცელი მინდაო და ვერ ხვდება, შნიცელი რა არის; კრომბახერი მინდაო ეუბნები ან ბავარიული, ესეც არ ესმის. სამწუხაროდ, ყველაფერს ჩინური სახელი აქვს. ევროპული და ლათინური სიტყვები აქ არ ჭრის; უნივერსიტეტს, კომპიუტერს და პასპორტსაც კი სხვა საკუთარი სახელი აქვს ჩინურ ენაში. მოკლედ, სოფია მამამას უფრო ჰგავს, ვიდრე რაიმე კომპანიის შეფს. ნელ-ნელა ვერკვეოდი ამათ ხათაბალებში და ვხვდებოდი, რომ აქ საქმე კომპანიას კი არ ეხებოდა, არამედ ადამიანთა გარკვეული

ჯგუფის პირად შეთანხმებებს და კერძო საქმიანობას.

ლინდა იქამდე უნდა დარჩენილიყო იაგდაქში, ვიდრე ყველაფერს არ მომიგვარებდა, რადგან სოფია ინგლისურად ვერ საუბრობდა. ლინდასა და სოფიას გარდა, იყო კიდევ ერთი გოგო – პროვინციალკა, სახელად სანი. სანი ჩემი ასისტენტია გაკვეთილებზე, ეს ოცდაათი წლის გოგონა არაფრის აზრზე არაა, რაც სამყაროში ხდება, მაგრამ კარგი ის აქვს, რომ იაგდაქთან ახლოს მდებარე სოფლიდანაა და მიზნად არ გაინტერესებთ რა დაუსახავს? – კომუნისტური პარტიის წევრობა და ადგილობრივ ბიუროში საჯარო საბუთებზე მუშაობა.

მოკლედ, ასე! გვყავს მოქმედი პირები: განათლებული ტიპი ლინდა, რომელიც მალე წავიდა, სოფია – განაბა ბიზნესგუმენი, რომელსაც ბიზნესგუმენობისა არაფერი აცხია და პროვინციალკა სანი – დაბნეული ასისტენტი დიადი მიზნებით. ეს სამი ადამიანი წარმოადგენდა იმ კომპანიის სახეს, რომელმაც დამიქირავა. ჩემი მთავარი კონტრაქტორი პიროვნება კი, რომელსაც შევუთანხმდი პირობებზე და რომელიც არასდროს მინახავს – ბატონი დონი – ქალაქ დალიანში იჯდა და იქიდან განაგებდა ყველაფერს. ამ ადამიანების შეცნობის შემდეგ შინაგანი ეჭვი ამოქმედდა, ვაითუ, სწორად გილას არ წამოვედი? შევძლებდი იმ საოცარი ხელფასის აღებას თავისი საოცარი პირობებით?

ლინდა და სოფია პირველივე კვირას დამატარებდნენ სახელმწიფო უწყებებში, რომ ჩემი სამთვიანი ჩინეთის ვიზა სამუშაო უფლების მოწმობად (Work permit ID) და საცხოვრისის უფლების მოწმობად (Residence permit ID) გადაექციათ. პირველი ადგილი, სადაც წავედით, იყო ბიურო, სადაც ჩემი სამუშაო აიდი უნდა გაეცათ. ეს იყო, უთუოდ, საბჭოეთის პერიოდში, მათ

ძედუნის დროს აგებული შენობა. ასე მეგონა, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ შენობაში შევდიოდი, რომლის წინ შარშანდელი მოდელის ჯიპები იყო ჩალაგებული. ეტყობოდა, ამ ადგილას იაგდაქის მაღალი დონის ჩინოვნიკები მუშაობდნენ. ლინდამ და სოფიამ ერთ მაღალ ქალთან შემიყვანეს, რომელმაც ჩემ დანახვაზე სახე დაღრიცა, ყბა ჩამოუვარდა. ქალაქში ხომ ერთადერთი უცხოელი ვიყავი, ჰოო, ეს არ მითქვამს? სულ დამავინცდა, ალბათ, ამ ამბებში. იაგდაქში ერთადერთი უცხოელი გახლდით. აქ უცხოელები არ ცხოვრობდნენ. შეიძლება მოხვედრილან, მაგრამ წელიწადში ერთი-ორი, მუდმივი მაცხოვრებელი კი იაგდაქს არ ჰყავდა. მე ვიქნებოდი პირველი, ვინც აქ იცხოვრებდა. იმედს ვიტოვებ, რომ იყო წლები, როცა აქ ვინმე უცხოელი ცხოვრობდა და იმედი მაქვს, მთლად პირველი უცხელი არ აღმოვჩნდები, ვინც კი ოდესმე იაგდაქში საცხოვრებლად და სამუშაოდ ჩამოვიდა.

ამიტომ ამ ქალისთვის უცხო იყო, თუ რა პროცედურები უნდა ჩაეტარებინა, ჩემთვის სამუშაო აიდი რომ დაემზადებინა. გადარეკეს უამრავ ადგილას, დარეკეს ჰარბინში, ჰეილონგიანგის პროვინციის დედაქალაქში და ჰკითხეს ყველაფერი. ამ საუბრებში ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ლაპარაკი მიდიოდა ვრცელი „აა“-ებით. ეს „აა“-ები იყო გაოცებისა და დათანხმებისა. მე კი ვიჯექი დიდ კომუნისტურ სავარძელში, რომლის სახელურები ყავისფერი მერქნისგან იყო დამზადებული და ვუსმენდი სამი ქალის ჩინურ საუბარს. არაფერი გამეგებოდა, მაგრამ ისინი საუბრობდნენ ჩემზე, ხანდახან ხელს გამოიშვერდნენ. ლინდას არ ჰქონდა იმდენი შეგნება, ჩემთვის რამე აესხნა, თუმცა არც მადარდებდა, ბოლოს და ბოლოს ჩემს საქმეს არკვევდნენ, მე კი, რა ვქნა, რით გავირთო თავი და ამ დროს მათი „აა“ მომხვდა ყურში. დავაკვირდი და ისეთი „აა“ იყო, პორნობები

ქალები რომ კნავიან ხოლმე სხვადასხვა ტემბრში. კიდევ უფრო დავძაბე გონება და ჰო, სამივე ქალი ორგაზმის „ააა“-ებს გამოხატავდა. არ ჩერდებოდნენ, საუბარი გრძელდებოდა და გრძელდებოდა, ყოველი წინადადების დასასრულს კი მოსაუბრის მხრიდან სექსუალური და ვნებიანი „ააა“ მოჰყვებოდა. ისე ჩავიძირე გონების ამ კაიფში, ვერც შევამჩნიე ლინდა როგორ მომიახლოვდა და რაღაც მკითხა. აი, ეს მომენტი იყო პიკი. მე წარმოდგენით თითქმის აღმოსავლურ ორგიაში ვიყავი და ჩემდაუნებურად მამაკაცური „ააა“-ც ჩავრთე, ამოვიგმინე და ლინდას შევხედე. ლინდა დაიბნა, თვალები დააპაჭუნა და კითხვა გამიმეორა. მეც მალევე გამოვერთე პორნო ფიქრებიდან და ლინდას ადეკვატური პასუხი გავეცი. ეს ისეთი სასაცილო მომენტი იყო, არ შემეძლო არ დამმახსოვრებოდა, სამი ქალის უცნაური „ააა“-ებით გაბმული საუბარი. ამ ოთახში ორსაათიანი ყურყურის შედეგი ის იყო, რომ სამ დღეში სამუშაო აიდი დამიშზადეს, ამ სამუშაო აიდის საფუძველზე კი ჩემი საცხოვრისის უფლება უნდა გაცემულიყო, ამჯერად პოლიციის ბიუროს მიერ.

დღეები დღეებს მისდევდა. ამასობაში ჩემი ცხრილიც შეადგინეს და ერთი მშვენიერი ბალი მიწილადეს, სადაც კვირაში ხუთი დღე ორი-სამი საათით მექნებოდა გაკვეთილები. KY-ს ეძახდნენ ბალს და გაშიფვრაც არავის მოსვლია თავში აზრად.

KY ფეშენებელური ბალი იყო, სადაც რამდენიმე კლასი ჰქონდათ, დაწყებული სამი წლის ბავშვებიდან, დასრულებული 6-7 წლის ბავშვებით. ბალს ჰქონდა საკუთარი საკალათბურთო სტადიონი, მაგიდის ჩოგბურთის ოთახი, საბანაო და საძინებელი ოთახები, ძალიან დიდი და ლამაზი სამზარეულო. მასწავლებლებს სპეცფორმები ეცვათ, მე კი მომთხოვეს, სპეცფეხსაცმელი მომეტანა, რომელსაც მხოლოდ ამ ბაღში ჩავიცვამდი და, შესაბამისად, ჩემი კარადაც

გამომიყვეს. ასე რომ, ჩემი გასაღებების ასხმაზე, სახლის გასაღების მერე, მეორე გასაღებიც გაჩნდა. ამან შემაგულიანა. გასაღებების აცმაზე ორი გასაღები უკვე იმას ნიშნავს, რომ სამიც იქნება. გულში ვოცნებობდი, შემდეგი გასაღები ან მანქანის ყოფილიყო, ან საყვარლის სახლის, რომელსაც რომელიმე ჩინელი მდიდარი ქალი გადმომცემდა და იქ კვირაობით აზიური სექსით დავკავდებოდი. ხო ხედავთ, მარტოობის ჟამს სადამდე მიდის მწერლის ფანტაზიები. მაშინ, როცა ცხოვრება პირად ურთიერთობებში უინტერესოდ გექცევა, თავად უნდა შესთავაზო საკუთარ სხეულს აღმგზნებები.

ბაღში მასწავლებლად რომ დავინწყე მუშაობა, ისეთი ლამაზი დღეები დადგა, რომ მეტიც არ შეიძლება – მზემ გამოანათა, ტემპერატურამაც მოიმატა და დათბა. ჩემს დანახვაზე ბავშვებს გონება ეკეტებოდათ. პირველივე დანახვაზე თითოეულს ჩაუფვარდი გულში. ვგონებ, იმ ღამით ვესიზმრებოდი კიდევ. ჩემმა ნახვამ მათზე დიდი გავლენა იქონია. მე სიახლე ვიყავი მათ ცხოვრებაში. თავდაპირველად პატარებს ერიდებოდათ ჩემი, უუცნაურებოდათ ჩემი წვერი და როცა დამინახეს, არ იცოდნენ, რა გამოეხატათ, ამიტომ მასწავლებლებმა შეაგულიანეს – „შეხედეთ, როგორი სიმპატიური და ლამაზი ბიჭია ნიკოლას ლაო ში-ო“. ამან იმოქმედა მათზე. ამასობაში ერთი გამოემართა და ჩამეხუტა. ეს რომ დაინახეს, სხვებმაც იგივეს კეთება დაიწყეს. მასწავლებლებმაც და ასისტენტმა სანიმაც ჩათვალა, რომ ეს დადებითად აისახებოდა მათ განწყობაზე და მოუწოდებდნენ, მოდით ლაო ში ნიკოლასს ჩავეხუტოთო. ჰოდა, მოემართებოდნენ პატარები, შლიდნენ თავიანთ პატარა ობობისხელა თათუნებს და მეხუტებოდნენ. ენერჯისა და თბილი აურის სხივები მეღვრებოდა, ისეთი სიყვარულითა და ბავშვურობით, უცოდველობითა და უცოდინრობით

იყვნენ სავსე. ერთი ბაჯბაჯა რომ ღიმილით მორბის შენკენ, მეორე კი მოდის და შენ წინ დგება, ვერ გადაუწყვეტია, გაშალოს თუ არა ის მაჯლაჯუნა ხელები, მესამე რომ ფეხს ითრევს და თან უკან იხედება, მერე ხელს ვტაცებ და გულში ვიხუტებ... იმ დღეებში ბალიდან რომ ვბრუნდებოდი, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ამ პატარა ჩინელუკების სახით მომავალი მსოფლიოს ნახევარ მოსახლეობას გულში ვიხუტებდი.

ცხოვრებაში ყველაფერს რალაც წონის და ამ ნათელ და სიხარულით სავსე შეგრძნებებს ერთი მძიმე და საეჭვო ფაქტი მოჰყვა. გახსოვთ, ალბათ, სამუშაო აიდი ადვილად ავიღე, ახლა კი საცხოვრებელი მოწმობის აღების ჯერი იყო. ერთ დღესაც გავემართეთ პოლიციის განყოფილებაში. შემოსასვლელში ერთი ახალგაზრდა ბიჭი დაგვხვდა, პოლიციელის თეთრ პერანგში იყო გამოწყობილი. სოფია და ლინდა რალაცებს უხსნიდნენ, პასუხად კი თავის ქნევა მიიღეს და უკან გამოვბუნდულდით. მივხვდი, რომ აქ რალაც ვერ იყო – ამ ბიჭს, მგონი, არ მოვენონე. ლინდა ორ დღეში წავიდა იაგდაქიდან, რადგან ყველაფერი მოგვარებული იყო, მე უკვე საკუთარი ოროთახიანი მშვენიერი მონყობილი სახლი მქონდა, ჰაი კლას ბალშიც ვასწავლიდი, სოფიასაც ვებარე და ასისტენტი სანიც, თუ რამე დამჭირდებოდა, ყოველ დაძახებაზე ჩემთან ჩნდებოდა. ერთადერთი საკითხი საცხოვრისის მოწმობის მოპოვება იყო, რაზეც ლინდამ მითხრა, არაფერია, ჩემი წასვლის მერე სანი და სოფია დაგეხმარებიანო. მართლაც, ლინდა შაბათს წავიდა იაგდაქიდან, ორშაბათს დილით კი მე, სანიმ და სოფიამ ისევ იმ პოლიციის ბიუროში გავწიეთ. ისევ ის ბიჭი დაგვიხვდა. არც შემომხედა... მაიგნორებდა... ისაუბრეს ჩინურად და მოულოდნელად მომიტრიალდა ეს ახალგაზრდა პოლიციელი – მისტერ ნიკოლას წამობრძანდითო,

დერეფნისკენ მიმითითა. სანი და სოფია უკან გამომყვნენ. შევედით მართკუთხედ ოთახში, რომლის სათავეშიც, გრძელ მაგიდაზე ვილაც ასაკოვანი ჩინოვნიკა ჩინელი კაცი წამომჯდარიყო და დაბლვერილი და გამომცდეელი თვალებით მაკვირდებოდა. მე დიდ რბილ სავარძელზე მიმითითეს და დაიწყო დაკითხვა:

– „მისტერ ნიკოლას თქვენ ბალში ასწავლით?“ – დამტვრეული ინგლისურით მეკითება ახალგაზრდა პოლიციელი, ასაკოვანი ჩინოვნიკა თვალებს ბჟუტავს პასუხის მოლოდინში, მე კი ბრიყვულად და სრულიად გულწრფელად ვპასუხობ, თან ღიმილით:

– „დიახ, ბალში ვასწავლი ინგლისურს.“ ის წამი იყო და ის, ახალგაზრდა პოლიციელმა ხელები ერთმანეთს შემოჰკრა და ჩინოვნიკს გახედა, ხომ გეუბნებოდითო. მე დაეჭვებული სახე მივიღე – რა ხდებოდა ვერ გავერკვიე, ამასობაში კი ახალგაზრდა პოლიციელმა გადმოაღაგა:

– „ბატონო ნიკოლას, თქვენ ბავშვებს პირისპირ ასწავლით ინგლისურს?“

– „დიახ, დიახ! რატომ მეკითხებით?“

– „ბატონო ნიკოლას, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონის მიხედვით, თქვენ არ გაქვთ უფლება, ასწავლოთ ბალში. თქვენ არ ხართ არც ამერიკელი და არც ინგლისელი. ინგლისური ენის სწავლება მხოლოდ ამ ქვეყნის წარმომადგენლებს შეუძლიათ და, ესეც რომ არა, თქვენს კომპანიას, რომელმაც ჩინეთში სამუშაოდ მოგიწვიათ, სხვა სახელწოდება ჰქვია და მას არაფერი ესაქმება ბალთან. თქვენ არ შეგიძლიათ ორ კომპანიაში ერთდროულად იმუშავოთ“. დავიბენი, გადავწყვიტე, გავრკვეულიყავი. ახლა მე შევუტიე:

– „კი, მაგრამ, კომპანიამ, რომელმაც მომიწვია, არის შუამავალი კომპანია, რომელსაც მასწავლებლები ჩამოჰყ-



ავს უცხოეთიდან და ასაქმებს ბალებში. მე არაფერს ცუდს არ ვშვრები, გესმით? თქვენს ჩინელ ბავშვებს ინგლისური უნდა ვასწავლო, ეს არაა ცუდი!”

– „კი, არაა ცუდი, ბატონო ნიკოლას, მაგრამ მისმენთ? თქვენ არ გაქვთ მუშაობის უფლება ორ ადგილას. იმ კომპანიაში იმუშავეთ, რომელმაც მოგინვიათ, დაეტიეთ იმ ოფისში (ოფისად კი სოფია თავის რესტორანს თვლიდა) და ბაღს აღარ გაეკაროთ და თუ პოლიციელებმა ბაღში გიპოვნეს, იცოდეთ, რომ პრობლემები შეგექმნებათ და დეპორტაციას გაგიკეთებთ, შემდეგ სამიოთხი წელი ჩინეთში ჩამოსვლის უფლება კი არ გექნებათ“.

ხომ წარმოგიდგენიათ, რა სახით გამოვედი ოთახიდან. ჩემი ჩინური გეგმა, რომელიც ჯერ კიდევ ცივი ზამთრის დღეებში დაიწყო, მაშინ, როცა ვიზისთვის საბუთებს ვაგროვებდი, შემდეგ საკონსულოსთან ვიდექი და სიცივეს ვიტანდი, მერე ამხელა მოგზაურობა და ამდენი ფრენა იმიტომ ავიტანე, რომ საბოლოოდ ეს შედეგი მიმელო? ვილაც გაპინკინებული, დაპროგრამებული ჩინელი პოლიციელი მემუქრებოდა დეპორტაციით მაშინ, როცა მე უკვე ვმუშაობდი ბაღში, მაშინ, როცა ფულის შოვნაზე ჩემი ოცნება დაწყებული იყო და მე მთელი ჩემი ქვეყნისთვის, ჩემი ყოფილი სამსახურისთვის უნდა დამემტკიცებინა, რომ მეტი უნარი მქონდა და, რომ მეტს ვიმსახურებდი. ეს ყველაფერი, მთელი ეს დიადი ჩინური გეგმა საფრთხის წინაშე იდგა, სახენაშლილი და იმედგაცრუებული გამოვედი ბიუროდან, უკან ყურებჩამოყრილი სანი მომდევნა, სოფია კი არსად არ ჩანდა, შემდეგ გაბრაზებული სახით გამოვიდა და თავისი ჯიპით რესტორანში წაგვიყვანა. არაფერს არ ამბობდა, ინგლისური არ იცოდა, სანის უნდა ეთარგმნა, რასაც მეტყვოდა. მივედით რესტორანში და სოფიამ, რო-

გორც იქნა, ამოლერდა:

– „ნიკოლას, არაფრისა შეგეშინდეს. ეგ პრობლემა მე მომანდე. შენ არაფერზე ინერვიულო. არც არავინ შეგამონმებს და ვერც ვერავინ გაბედავს შენს დეპორტაციას“. – დამამშვიდა, მაგრამ რა დამამშვიდებდა. ცხადი იყო, ეს განაბი ქალი რალაცას მაქინაციობდა. რა ძალა ექნებოდა მას სოციალისტური ქვეყნის მამებთან? მეორე დღეს დაგრწმუნდი, რომ სოფიას ძალა სათანადოდ არ მქონდა შეფასებული. მეორე დღეს ამჯერად მარტო მე და სანი წავედით ბიუროში, იმავე საბუთებით, იგივე ახალგაზრდა პოლიციელი დაგვიხვდა და ამჯერად შემეგება, ხელი გამომინოდა და მომესალმა, თითქოს გუშინ თითის ქნევით არც ელაპარაკოს, თითქოს დეპორტაციითაც არ დამმუქრებოდეს, გამიღიმა და მეუბნება:

– „კახი კალაძე, თქვენი პრემიერ-მინისტრი შარშან იყო ჩინეთში აბრეშუმის გზასთან დაკავშირებით“.

ხომ წარმოგიდგენიათ ჩემი გაოცება, ამას რომ გეტყვის ტიპი, რომელმაც წუხადნელი ღამე გაგათენებინა და დამტვრეული ინგლისურით აგრძელებს:

– „მე ფეხბურთი მიყვარს, მილანის ფანი ვარ. ვუყურებდი ხოლმე თამაშებს, როცა კახი თამაშობდა“. გაოცებული სახით ვეუბნები, რომ კალაძე აღარაა მინისტრი და, რომ ახლა ის თბილისის მერია, ახალგაზრდა პოლიციელი კი განაგრძობს:

– „იცი, ხანდახან ჩვენ ფეხბურთს ვთამაშობთ ხოლმე და, თუ შემოგვიერთდები, კარგი იქნება“. ჩემი ნომერი ჩავანერინე, ასე სპორტულ საუბარ-საუბარში ჩაიბარა კიდევ საცხოვრებელი მონმობის საბუთები და მითხრა სამ-ოთხ დღეში იქნება შენი რეზიდენსიო.

ბიუროდან სრულიად სხვა სახით გამოვედი. პირს ვერ ვაჩერებდი, ასისტენტ სანის ვეუბნებოდი:

– „Oh, Sunny, holy shit, omg, u look what happened?“

იმ დღეს ცოტა გულზე მომეშვა, ჩავთვალე, რომ სახელმწიფო უწყება არ აპირებდა ჩემ მიმართ რადიკალური ყოფილიყო და ამ დროს დალიანიდან ბატონმა დონმა მომწერა:

– „ბატონო, ნიკოლას, როგორ ბრძანდებით, იმედია, ყველაფერი კარგად მიდის. თქვენს საცხოვრისთან დაკავშირებით მინდოდა მეთქვა. როგორც გავიგე, თქვენში ადგილობრივმა წარმომადგენელმა დიდი ფული გადაიხადა, რათა ბიუროს თვალი დაეხუჭა და პრობლემები არ შეექმნა თქვენთვის“. რას გულისხმობთ-მეთქი რომ ჩავეკითხე, თქვენში ერთჯერადად სამი ათასი დოლარი გადაიხადესო. აი, ეს მესმის! ახალგაზრდა პოლიციელმა და დაბლვერილმა ჩინოვნიკმა ჩემი განაბა სოფიასგან ქრთამი აიღეს, რომ მე აქ საცხოვრისის უფლება მომეპოვებინა. როგორ გინდათ, ეს გაიგოთ, შემდეგ გადახარშოთ და მერე შეეგუოთ. ქართველი რომ არ ვყოფილიყავი, ალბათ, პანიკას ავტენდი, მაგრამ ჩემთვის ყველაფერი გასაგები იყო, თანახმა ვიყავი და სიამაყის შეგრძნებაც კი მქონდა, რომ ჩემში ვილაც თანხას ითხოვდა, ვილაც, სრულიად უცხო კი იხდიდა. მერე იმაზეც დაფიქრდი, რამდენს გადაიხდიდა სამშობლო ჩემში. იქ ყველას ვეკიდე და ყველა ხელს მკრავდა. მაშ ასე! კორუფციის აბლაბუდაშიც გავები და სულაც არ მადარდებდა. მთავარი იყო, ფული მეშოვნა, მთავარი იყო წარმატებისთვის მიმელნია ჩემი მარტოობის, ჩემი შორსმყოფობის ხარჯზე. ამ ფაქტმა კიდევ უფრო შემირყია ნდობა კომპანიის მიმართ. მათ თუ სასტუმროზე ასე მომაცუყეს, კორუფციაშიც გამხვიეს, კიდევ უფრო მეტი არ გაებედათ და ჩემს ხელფასზეც არ მომხდარიყო რაიმე სახის უსიამოვნება.

## 5. 306 ჰარ მი?!

ყველა დაბრკოლების მიუხედავად, რეზიდენსის მონმობაც ავიღე და ყველა ლეგალური პროცედურა დავამთავრე. ახლა ყველა საჭირო დოკუმენტით სრულიად არალეგალური გზებით მოპოვებული ლეგალური საბუთებით ვაგრძელებ ცხოვრებას მანჯურიაში.

ჩინურ სახელმწიფო კორუფციასთან შეჭიდება არც თუ ისე სასიამოვნო აღმოჩნდა, მაგრამ ცხოვრებას ისევ მიხალისებდა ბალში ბავშვების დანახვა, რომლებიც ყოველ გაკვეთილზე ერთმანეთზე უფრო საყვარელ მომენტებს მჩუქნიდნენ და კიდევ უფრო მსიამოვნებდა ქუჩაში გასეირნება, მით უმეტეს რომ ამინდები ნელ-ნელა გამოდიოდა და ხალხიც ისევ ისე სიყვარულით მხვდებოდა. ჩემი პოპულიზმი ზენიტს განიცდიდა და სულ უფრო მეძალებოდა სურვილი, დამეწყო ჩინურის სწავლა, მერე კი ჩემი ნოველები და ლექსები ჩინურად მეთარგმნა. ჩინელები რომ დააფასებდნენ ჩემს შემოქმედებას, პეკინის მთავარ ბიბლიოთეკაში ჩემი ნიგნების პრეზენტაცია რომ მოეწყობოდა და ათასობით ადამიანი ნიკოლასის ნიგნებს წაიკითხავდა, მერე დარჩებოდათ პირი ღია ქართულ ლიტერატურულ წრეებს. მეფიქრებოდა იმაზეც, თუ როდის ვიტყოდი უარს პაპარაცებზე, როდის მომბეზრდებოდა ეს პოპულარობა და დავინყებდი ამერიკელი კინოვარსკვლავებივით ნუნუნს, რომ პირად სივრცეს მირღვევენ და უბრალოდ თავისუფლად შეუძლებელია გარეთ გასვლა.

კინოვარსკვლავობაზე გამახსენდა: ერთ საღამოს, ერთ მასწავლებელთან, ახალგაზრდა, მომხიბვლელ ქენდისთან ერთად, კინოში წავედი. ქენდიც, ისევე როგორც სხვა დანარჩენნი, ამტვრევდა ინგლისურს, თუმცა ქერად

იღებავდა თმას და ეს პლუსი იყო, ამ ყვითელთმიან ჩინელუკასთან საუბარი გამება. კინოთეატრში რომ ავედით და დერეფანში ვიცდიდით, ყველა ჩვენ გვაცქერდებოდა. გაბედული ბავშვები მშობლებთან ერთად მოვიდნენ და სურათები გადაიღეს. მორიგი ამერიკული ჰიროუ ექშენი გადიოდა – „შავი ავაზა“. მარველმა თითქოს ამ ფილმით გადაწყვიტა შავკანიანი და განსაკუთრებით აფრიკელი ბავშვებისთვისაც გამოენახა სუპერ ჰიროუ. ფილმი რომ დასრულდა და გარეთ გამოვედით, რას ვხედავ, ხალხს დერეფანი გაუკეთებია და ტაშს მიკრავენ. ასე მეგონა, საკუთარი ფილმის პრემიერიდან გამოვედი, ისინი ტაშს მიკრავდნენ უბრალოდ, უმიზეზოდ, რომ მე აქ ვიყავი, რომ მე ვარსებობდი და მათ ვენვიე. ამაზე უცნაური რა უნდა ყოფილიყო? ქენდიმ ამიხსნა, რომ ამაში გასაკვირი არაფერი არ იყო. თავი პატარა უფლისწული მეგონა, კინოთეატრიდან გამოვდიოდი და თითქოს მიწიდან რამდენიმე სანტიმეტრითაც კი ავიწიე, ისე მოვფრინავდი.

ჩემი ჩინელების სახელებზეც მინდოდა თქმა, რომ ყველა ეს სახელი: სოფია, ლინდა, სანი, დონი, ქენდი – შერქმეული ლათინური სახელებია და არაფერი კავშირი არა აქვს რეალურ პირებთან. მათი სახელები პასპორტში ჩინურად სულ სხვანაირად ჟღერს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისთვის ისინი სულ სხვა პიროვნებები არიან, სახელები სოფია, ლინდა, სანი კი მხოლოდ სოციალური ქსელებისთვის და თითოთოროლა უცხოელისთვის სპონტანურად შექმნილი სახელებია.

ვინ ვარ მე მათთვის? მე თუ ნიკოლასი ვარ და ევროპელობას ვიჩემებ, ქართველობას და საქართველოს გავიძახი, გარემო მაინც სხვა რამეზე მეტყველებს. ქუჩაში სამმა ადამიანმა მომაძახა – „ჰელოუ ამერიქან!“ ხომ არ გაუუტეხავდი? ან როგორ უნდა დამენყო ახსნა, რომელი ჯორჯიადან

ვარ? 90%-ს არც გაუგია საქართველოს შესახებ. ჩემს ბავშვობაში, ანუ ოცხმოცდაათიანებში კი მქონდა შეგრძნება, რომ ამერიკელად ვიზრდებოდი, რადგან იმ პერიოდში ჩვენთან შემოსული კინო, ჩვენს ტელეარხებზე ამერიკული მუსიკა, ამერიკული ტელეშოუების ანალოგი გადაცემები – ეს ყველაფერი მიქმნიდა რალაც შეგრძნებას, რომ ჩვენ ამერიკელებად ვიზრდებოდით, მაგრამ მთლად ასე ამერიკაში ყოფნის გარეშე თუ გავხდებოდით ამერიკელები, ამას ვერ წარმოვიდგენდი. აი, ასე, ამერიკის კონტინენტზე ფეხიც კი არ დამიდგამს, მაგრამ იაგდაქისთვის მე ამერიკელი ვარ. შეიძლება ამის საბაზსაც ვაძლევ, რადგან თმა მოვიზარდე, წვერიც მომეზარდა, მაღალი ვარ და ყავისფერი ჩექმებით მივიჯგიმები ქუჩებში, ლამისაა დეზები ავაკრაჭუნო და თოფი ამოვილო ქამრიდან. ჩემს თავს მეც შევამჩნიე ამერიკული ვესტერნ სიარული. არ ვიცი, ეს იმის ბრალია, რომ მათ რამდენიმეჯერ „ამერიქან“ დამიძახეს და მეც გამიჯდა ამერიკელობა, თუ აქამდეც ასე დავდიოდი და არასდროს შემიმჩნევია?! თუმც კომპანიის თანამშრომლებმა: სოფიამ, ლინდამ, სანიმ, ბალის მასწავლებლებმა... გარკვევით იციან, რომ მე საქართველოდან ვარ („გულუჯია“ – ასე სასაცილოდ ჟღერს ჩინურად ჩვენი ქვეყანა), მაგრამ ისიც კარგად იციან, რომ მე ევროპელი ვარ. უნდა ნახოთ, როგორ ვჩემულობ ევროპელობას, საფრანგეთის, ინგლისისა და გერმანიის მერე საქართველოს, რომ ვასახელებ და ვცდილობ, ასე გავაგებინო, სადაა საქართველო და რაა ევროპა. ჩემს ევროპელობას მაშინაც ვამტკიცებ, როცა ტაქსიში ვჯდები და ღვედს ვიკრავ. ჩაინაში მძლოლებს ღვედების ადგილას აქვთ რალაც რკინის ჭანჭიკები ჩარჭობილი, რადგან არავინ არ იკეთებს ღვედს, მე კი ვჩემულობ, რომ ეს აუცილებელია და მაგალითად მომყავს, რომ ჩვენთან, ევროპაში, ანუ

საქართველოში, ეს კულტურაა. კიდევ უფრო სასაცილოა, როცა მწვანეზე გადავიდეთ და ზებრაზე მანქანებს არ ვუთმოვ, არადა აქ ისეთი შეშლილი მძღოლები არიან, ისე ცუდად ატარებენ და არ დაგიდევინ ფეხით მოსიარულეს, აქ მანქანებს აქვთ უპირატესობა, დაკანონებული უპირატესობაც კი, მანქანა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადამიანები.

ბალებში ჩემს ასისტენტ სანისთან ერთად დავდივარ. ბალებში მუდამ ტაქსით მივდივართ. ტაქსისტებიც სულ მკითხულობენ, საიდან ვარ და გულუჯიას მეტი რომ არაფერი იციან ხოლმე, სანის ვეუბნები, რომ აუხსნას, სტალინი იყო ქართველი და რომ საქართველოში დაიბადა საბჭოთა კავშირის ბელადი. სტალინი კი ყველამ იცის, რადგან სტალინი მათ ძედუნის „ძმა-აცი“ იყო და მათ ძედუნი ხომ ამათი მამამთავარია, ჩინური კომუნისტური სახელმწიფოს ფუძემდებელია. იუანის ყველა კუპიურაზე მათ ძედუნია გამოსახული. ტაქსისტები სტალინის გაგონებაზე იბრინჯებიან, უხარიათ, მოწონების შესტს მანიშნებენ ხოლმე. სანისთვის დამჭირდა იმის ახსნა, რომ სტალინი საქართველოში დაიბადა, მაგრამ მერე მოსკოვში წავიდა და იქ გახდა მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი, საბჭოთა კავშირის ლიდერი და უდიდესი პოლიტიკური ფიგურა მსოფლიოს ისტორიაში.

ამ ამბის მოყოლა დამეზარებოდა კიდევ, რომ არა ერთი ამბავი. სოფიას რესტორანში ვისხედით მე და სანი და ბაღზე ვსაუბრობდით, რესტორანში ბარმენმა მუსიკა ჩართო. ყურს სასიამოვნო ჟღერადობა მოხვდა – ნარნარა, ტკბილი გოგონას ხმამ ტანში ჟრუანტელად დამიარა. გარკვევით გავარჩიე – „I see you arriving at the station, but it's only my imagination“ და ხელები გავასავსავე, თვალები სიხარულით ამევსო. ამ მიყრუებულ მანჯურიაში ახლა მხოლოდ

მე და ის, მე და განუმეორებელი, ქეთი მელუა ვიყავით ქართველები. აქაც კი, სამყაროს დასალიერში, სამყაროს მივინყებულ ჩინურ ქალაქში ქართული ხმა ჟღერდა და დავინყე სანისთვის იმის მოყოლა, რა მაგარი მუსიკოსია ქეთი მელუა. ვუთხარი, რომ მის კონცერტზეც ვარ ნამყოფი ბათუმში და რომ დავასრულე ქეთი მელუაზე ამბის მოყოლა, ინგლისში მოღვაწეობს-მეთქი, ჩემმა ასისტენტმა წარბები მოღრუბლა და მკითხა: „ვერ გავიგე სტალინი მოსკოვში, ქეთი – ლონდონში, ყველა ქართველი საქართველოს გარეთ ხდება ცნობილი და წარმატებული?“ ჰმ, – გავუდიმე ამ დებილი გოგოს ჭკვიანურ მიგნებას. მერე კი გზაში ვფიქრობდი, მაინც რა ფენომენი იყო ეს, პატარა ქვეყნის შვილების სენი თუ კომპლექსი? მეც ასეთ გზას ხომ არ დავადგებოდი? სტალინი, ქეთი მელუა და ნიკოლასი.

და მაინც ვინ ვიყავი მე იაგდაქელებისთვის? – გულივერი? ლამაზი უფლისწული? თუ თეთრი სტუმარი? თუ უბრალოდ უცხოელი? იქნებ სულაც ჩვეულებრივი იაგდაქელი ვიყავი, რადგან ერთ დილას, როცა ბალისკენ მივიწვედი, ჩემი სადარბაზოდან გარეთ გავედი და გზას დავადექი, შეგრძნება მქონდა, რომ უკვე ორი თვე იყო, მე ამ ქალაქელი ვიყავი, რადგან აქ ვიძინებდი და აქ ვიღვიძებდი, საჭმელსაც მოვუხერხე რაღაც – ნყალსაც, ჰაერსაც შევეგუე, ენასაც ვიმტვრეე უკვე და, რაც მთავარია, ხვალაც აქ ვიღვიძებდი და ზეგაც, კიდევ არ ვიცი როდემდე დავრჩებოდი ამ შორეულ ქალაქში, ვინ ვიყავი მე? ერთი ჩვეულებრივი იაგდაქელი, უცხოელი, რომელიც თავს უცხოად აღარ გრძნობდა.

## 6. 3066 რისხავს...

აღდგომა ახლოვდებოდა და მეც ჩემი ქრისტიანული გრძნობები მომეძალა. ამ მიყრუებულში იქნებ ვინმე ქრისტიანი

მაინც მეპოვნა და მასთან ერთად აღ-  
მენიშნა ჩვენი დღესასწაული. ამიტომ  
ბევრი გაკითხვა-გამოკითხვის შემდეგ  
ასისტენტმა სანიმ დამაკვლიანა და  
მითხრა, რომ იყო ერთი ქრისტიანული  
ტაძარი, 2008 წელს აშენებული, მაგრამ  
ჩემმა კონსულტანტმა ნამდვილად არ  
იცოდა ფუნქციონირებდა თუ არა. ერთ  
მზიან კვირა დილასაც, საქართველოში  
რომ ბზობა იყო, გავწიე მისამართისკენ,  
ჩემი სახლიდან ნახევარი საათის სავალ  
გზაზე. ჩემი გეოგრაფიული უნარით  
ადვილად მივაგენი და, მართლაც, ჩემ  
წინ დიდი ეკლესია წამოიმართა, გო-  
თური არქიტექტურისა. უფრო ამერი-  
კული ქრისტიანობის სურნელი დაჰ-  
კრავდა, პურიტანული, დიდი ჯვრით.  
კარის შესასვლელის ქვეშ კი ეწერა –  
2008 წელი. გამახსენდა აგვისტოს ომი,  
ანუ ჩვენ რომ იმ ორომტრიალში ვიყა-  
ვით, იაგდაქში ეს ტაძარი შენდებოდა.  
ხომ ხედავთ, სამყაროში როგორ არის  
ყველაფერი ერთმანეთზე გადაბმული.  
ალბათ, ამბობდა ვილაც ჩინელი მუშა  
2008 წელს, ვის რა ჯანდაბად გა-  
მოადგება ეს ტაძარიო, ათი წლის მერე  
კი იმ ქართველს გამოადგა, რომელიც  
2008 წლის აგვისტოს ცხელ ღამე-  
ებში შიშით იძინებდა. ვაითუ რუსების  
ჩამოგდებულ ბომბს შეენიერებოდა ის  
და მისი კორპუსი. ომის სტრესი დიდი  
სტრესია და დიდხანს გასდევს, სტრე-  
სია უფრო ის, რასაც ელი და არა ის,  
რისი მონაწილეც ხარ, რადგან მონაწ-  
ილეობის შემთხვევაში შემოქმედიც ხარ  
პროცესის, გარკვეული წესებით თამაში  
გინევს, მაგრამ, როცა მოლოდინში ხარ  
და წესებიც გაურკვეველია, სწორედ  
ეს სტრესი გაყენებს ყველაზე დიდ  
დარტყმას და ტოვებს შენში ენით აუ-  
წერელ და უმიზეზო შიშებს. მოკლედ,  
მივაგენი ტაძარს უფლისას, რაც მთა-  
ვარია, ჯვარი იყო გამოსახული და  
ქრისტეს სახლს წარმოადგენდა, სხვა  
რამ არც მადარდებდა. შევედი ეკლ-  
ესიაში და ახალგაზრდები თავის და-

კვრით, თვალყურებით შემეგებნენ. აი,  
მაშინ კი თავი ნამდვილად ერთ-ერთ  
მოციქულად წარმოვიდგინე. წარმოვი-  
დგინე, რომ საერთოდ შეიძლებოდა  
ქრისტეც ვყოფილიყავი, ტაძარში შეს-  
ვლისას, რომ ეგებება ხალხი, სიხარუ-  
ლით და ღიმილით რომ ხვდება – „და  
შევიდა იგი ტაძარსა შინა“ – ვიყავი  
იმ წუთებში. დამტვრეული ინგლისუ-  
რით მიხსნიდნენ ეკლესიის შესახებ,  
მაჩვენეს ჩინური ბიბლია, ამიხსნეს,  
რომ ახლა უკვე დასრულებული იყო  
დილის წირვა და ყოველ კვირა, დილის  
რვაზე იკრიბებოდნენ. მე ჩემი ჯვარი  
სიამაყით ამოვაცურე გულიდან და ყვე-  
ლას გაცემის „ვაუ“ აღმოხდა, ბოლოს  
კი ორლანი შევნიშნე და მისკენ გავწიე.  
მრევლი კუდში დამყვებოდა. ათიოდე  
თავდახრილი ჩინელები დამყვებოდა  
თან. ორლანს მივუჯექი და რა უნდა  
მექნა? რა უნდა დამეკრა? მე ხომ კათო-  
ლიკური მესები არასდროს მისწავლია,  
შოსტაკოვიჩის ვალსი არაადეკვატური  
იქნებოდა ამ გარემოსთვის, ამიტომ  
ისევ ბახი, ბახი მოვარდა ჩემს გონ-  
ებაში. საბედნიეროდ, ბახის მენუეტი  
გავიხსენე, მარჯვენა პედალსაც და-  
ვადგი ფეხი და ნოტები კიდევ უფრო  
რომ გაღჟერდნენ, ნამდვილ კათოლი-  
კური მესას დაემსგავსა ყოველივე. ნამ-  
დვილი ქრისტიანი მისიონერი ვიყავი,  
ჩემ გარშემო კი ხელებგასავსავებული  
ჩინელი მრევლი იდგა, ახალმოქცეულე-  
ბი, სასწაულების მოლოდინში, რწმენის  
გამყარების მოლოდინით, მობილურე-  
ბით ხელში და პირდადებულები, „ვაუ  
ვაუს“ გაიძახოდნენ. მე მათი სასწაული  
ვიყავი. ეკლესიიდან სულ ხელების ქნე-  
ვით გამომაცილეს და მომინოდებდნენ,  
მომავალ კვირასაც მივსულიყავი მათ-  
თან, მომავალ კვირასაც გამეხარებინა  
ისინი ჩემი მისვლით. აი, ასეთი იყო ჩემი  
სტუმრობა კათოლიკურ ტაძარში. შინ  
რომ დავბრუნდი, საღამოს მაგიდას მი-  
ვუჯექი და ფლომასტერებით წითლად  
შევღებე კვერცხები. საქართველოს

დროშიანი კვერცხი ყველაზე შესამჩნევ ადგილას დავდე. ჩვენი ნითელი ღვინოც გავხსენი, პასკის ჩინური ჩანაცვლება კი ჩინური ქიმიშიანი ფუნთუშა იყო. გემრიელად გეახელით ჩინურ სააღდგომო კერძებს. ჩემში ქრისტე კვლავ იბადებოდა, კვლავ ენთო მისი ცეცხლი და ეს სიამაყით მავსებდა, ის არასდროს არსად არ მტოვებდი, სამყაროს დასალიერშიც კი ჩემთან იყო.

ნელ-ნელა ახლოვდებოდა დღე, როცა ჩემი პირველი ხელფასი უნდა ამელო. ამ დღეს გადანყდებოდა და გაირკვეოდა, იყო ეს ნორმალური კომპანია, რომელიც ხელს შემინყობდა წარმატებაში, ფულის შოვნასა და განვითარებაში? თუ მორიგი დაგოიმება მელოდა ცხოვრებაში? და სამშობლოს მერე ახლა ჩინეთი ჩამარტყამდა

ამდაბლებდა ჩემს ახალგაზრდულ ნიჭს, რომელიც მუდამ ჩემი დაკნინებით იყო დაკავებული, აი, ის უფროსი, სწორედ აი, ის უფროსი ამხილეს თანამშრომელ ქალზე უცენზურო სიტყვების მოხსენიებაში. ისე გააქილიკეს, ისე გაიგდეს სოციალურ ქსელებში, რომ ღიმილის მეტი არაფერი დამრჩენოდა. უწიეს ცოდვებმა-მეთქი, ვფიქრობდი ჩემთვის და ვალაიქებდი ფეისბუქზე მის მიმართ წამოსულ ტალახს. ეს ტალახი ისეთი სასიამოვნო იყო, თუ ღორები საღორეში ღორობას განაგრძობდნენ, მაღლობა ღმერთს, ხანდახან სააღდგომოდ მაინც ჩაიხედავდა ხოლმე იქ სამართალი და ვინმეს მაინც მოეკითხებოდა პასუხი.

დღე დღეს მისდევდა – სახლი, სოფიას რესტორანი, ბალები, საღამოს სეირნობა და ისევ სახლი... ერთ



წიხლს? ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე დამემართებოდა? თან ამ კომპანიამ ხომ უკვე უამრავ უცნაურ და არაპროფესიონალურ ხათაბალას გადამყარა? მახსენდებოდა კორუფციის შემთხვევა, სასტუმროს მოტყუება და ა.შ.

ხელფასამდე ერთი კვირა იყო დარჩენილი, რომ საქართველოდან ერთი უცნაური ამბავი მოვიდა – იმ სამსახურის უფროსი, სადაც მე ვმუშაობდი, სახალხო დაცინვისა და გაკიცხვის საგანი გამხდარიყო. სწორედ ის უფროსი, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში არაფრად არ მაგდებდა, ამცირებდა და

ჩვეულებრივ დღეს მე და სანი სოფიას რესტორანში ვისხედით როცა მეორე ასისტენტი მომიყვანეს, იქნებ სანის არ ეცალოს ხოლმე, მარტო ხომ არ იქნებო. მეორე ასისტენტმა სანივით არ იცოდა ინგლისური, ამიტომ უნდა დავხმარებოდი ინგლისურის გაძლიერებაში რაღაც მარტივი სახელმძღვანელოთი. ახალ ასისტენტს ელისი ერქვა, მსუქანი გოგო იყო, ინტერესიანი და ნიჭიერი ახალგაზრდა ჩანდა. პირველივე გაკვეთილზე, ისე მოხდა, რომ ბეთჰოვენზე ჩამოვარდა საუბარი. ნახსენები იყო ფაქტი, რომ ბეთჰო-

ვენი ბონში დაიბადა, მაგრამ ვენაში წავიდა სასწავლებლად და ვენაში მი-  
აღწია წარმატებასო. ელისი ყურადღე-  
ბით მისმენდა, ამიტომ ზუსტად იმ წამს  
დამარტყა თავში, რატომაც არა, გადმო-  
ოვულაგებ ამ უცხო გოგოს და ვიამაყებ  
იმით, სად არ ვყოფილვარ-მეთქი. ჩემი  
ფეისბუქის დამალული ალბომები გავხ-  
სენი და ბონის სურათები ამოვყარე,  
შვიდი-რვა წლის წინანდელი ფოტოები,  
სადაც ბეთჰოვენის სახლ-მუზეუმში  
ოცი-ოდაერთი წლის ნიკოლასი გოგო-  
ნასთან ერთად ვინონებ თავს, თან ვუხ-  
სნი ელისს, აი, ამ სახლში დაიბადა ბე-  
თჰოვენი, აქ ვიყავი და აი, აქაც-მეთქი.  
შემდეგ კი სამი-ოთხი წლის წინანდელი  
ვენის ფოტოები ავაფარე სახეზე, ამ-  
ჯერად სხვა გოგოსთან ერთად ვდგა-  
ვარ ვენის ოპერის წინ და თავს ვინონებ  
ახალგაზრდა ნიკოლასი. იმ დღეს რე-  
სტორნიდან შინ რომ ვბრუნდებოდი,  
ვფიქრობდი, მართლაც, სად აღარ  
მიხეტილია ევროპის ქვეყნებში, სად  
აღარ ვყოფილვარ, პირენეიდან დაწ-  
ყებული ბალტიით დასრულებული. იმ  
ღამეს ოცნებით დამეძინა, ახლა აზიის  
დრო იყო, ახლა აზიის ჯერი დადგა,  
ჩემი ხელფასი უნდა შემეგროვებინა და  
მემოგზაურა, ყველგან... მაღალიზიაში  
და ტაილანდში, ინდონეზიასა და ია-  
პონიაში, კამბოჯასა და ჩრ. კორეაშიც  
კი. ყველაფერი უნდა მენახა, სანამ ახ-  
ალგაზრდა მეთქმოდა, სანამ გულში ინ-  
ტერესის დაუოკებელი ეშმა სახლობდა.  
იყო კი ის ეშმა? თუ ეს ყველგანმყოფო-  
ბის ღვთიური გრძნობა იყო – „და შე-  
ქმნა იგი ხატად თვისა“. განა ღმერთმა  
თავის მსგავსად არ შეგვქმნა? განა მისი  
სურვილი არ იყო ყველგან ყოფილიყო?  
ყველა მატერიკზე, ყველა კუთხე-კუნ-  
ჭულში, ერთდროულად განვრცობილი  
დროსა და სივრცეში?

KY-ში ერთ-ერთ დიდ შესვენე-  
ბაზე ელისთან ერთად მაგიდის ჩოგ-  
ბურთს ვთამაშობდი. ორი ჩინელი  
ბიჭი შემოგვიერთდა. ერთ-ერთმა ჩემ-

თან თამაში ისურვა. მეტად დაძაბული  
გამოდგა ბიჭების შერკინება. მეტოქე,  
სახელად იო 4:2 დავამარცხე გადამ-  
წყვეტ ბრძოლაში. თამაშის შემდეგ კი  
ერთმანეთს გავესაუბრეთ და აღმოვა-  
ჩინე, რომ ის ბალში კუნგ ფუს ასწავლ-  
იდა. ამან მეტად მომხიბლა და ვკითხე,  
შემეძლო თუ არა, მეც მესწავლა და  
სად? იომ მეგობრულად მიმიღო და  
მომდევნო დღეებში დამითქვა შეხვე-  
დრის ადგილი, სადაც ის გამაცნობდა  
თავის მასწავლებელ ბატონ ვეის და  
დამწყებთა ჯგუფში ჩამსვამდნენ. მარ-  
თლაც, დათქმულ დღეს იაგდაქის მთა-  
ვარ მოედანზე ველოდი იოს და აი,  
ისიც – ხელის ქნევით გადმოხტა ბიჭი  
შენობის კარიდან. იოც დამტრვეული  
ინგლისურით ლაპარაკობდა ამიტომ  
ძირითადად მობილურის აპლიკაციას  
იყენებდა ჩემთან სასაუბროდ. ურთ-  
იერთობა ამკარად გამოდიოდა. შემიძ-  
ლვა სავარჯიშო დარბაზში და აქ დამხ-  
ვდა ოციოდე ახალგაზრდა, ჩემხელები  
და ერთი-ორი ოცდათხუთმეტი-ორ-  
მოცი წლის ქალიც. ასე რომ, ჩემთვის  
ცხადი იყო, სრულიად დამწყებ ჯგუფში  
აღმოვჩნდი, ჩემსავით მოყვარულებში.  
დავინყეთ ვარჯიში და ისე მესიამოვ-  
ნა... სხეული გავარჯიშდა. ბატონი ვეი  
იღეთებს გვიხსნიდა, მე კი ბატიფეხუ-  
რით, მოუქნელი ტანით ვცდილობდი  
იმავეს გამეორებას, იო გვერდით მედგა  
და ყველაფერს მითარგმნიდა, ჩემი თა-  
ნაგუნდელები გაფაციცებით მაკვირდ-  
ებოდნენ და ყოველ სწორ მოძრაობასა  
თუ გაკეთებულ იღეთზე ტაშს უკრავდ-  
ნენ. მე უკვე მრცხვენოდა, იდგნენ ჩემხ-  
ელა გოგოები და ბიჭები, ზოგი ჩემზე  
უფროსიც და ჩემს ბადეში ხტუნაობას  
ტაშს უკრავდნენ. ო, ღმერთო, როგორი  
სასიამოვნო იყო და თან როგორი უსია-  
მოვნო. იომ შეამჩნია ჩემი დაბნეულობა  
და თავის მობილით რალაც მითხრა,  
დავაცქერდი და მობილის ეკრანზე  
დიდებული რამ ეწერა: „ნუ გაგიკვირდ-  
ება, ჩვენ გვიხარია რომ პატივს სცემ

ჩვენს კულტურას, ინტერესი გამოხატე კუნგ ფუს, ჩვენი საბრძოლო ხელოვნების მიმართ და სწორედ ამიტომ გიკრავთ ტაშს“. ამაზე მეტი სტუმართმოყვარეობა, ალბათ, არც არასდროს მინახავს. ბედნიერი სახით დავასრულეთ ვარჯიში, მერე კი ბატონმა ვეიმ და იომ ძვირადღირებულ რესტორანში წამიყვანეს და ჩემთვის რომ ესია მოგვინათ, ქერათმიანი თოჯინით დაგვირგვინებული ტორტი მომართვეს. რა უნდა მეთქვა, რა უნდა მექნა? სტუმარი ვიყავი სტუმართმოყვარე ქვეყნიდან? სოფია რომ დამატარებდა რესტორნებში, უფრო კომპანიის სიაფანდები მეგონა, მაგრამ, მივხვდი, რომ ის განაბა ქალიც ჩინური სტუმართმოყვარეობის გამოხატვას ცდილობდა. იმ ღამით დავწევი, გავხვდით ჩემს შანელის საბანში და ვუყურებდი ცაზე მთვარეს, რომელიც მოცურავდა. ვფიქრობდი, რომ ეს მთვარე ახლა თბილისშიც ამოდიოდა, მთვარის გარშემო ვარსკვლავები კი მხიარულად ბრჭყვიალებდნენ, მინდოდა ერთ-ერთი მათგანი ვყოფილიყავი და თბილისისთვის დამეხედა. კმაყოფილი და ბედნიერი ვიყავი კუნგ ფუს გაკვეთილით, მინდოდა ჩემი თბილისისთვის მომეყოლა ეს ყველაფერი, გამეზიარებინა და ჩავხუტებოდი. ასეთ ფიქრებში ტკბილად ჩამეძინა.

და აი, დადგა ის დღეც, როცა ხელფასი უნდა ჩარიცხულიყო და გამერკვია, დამსაქმებელი კომპანია ხომ არაფერს მატყუებდა? როგორც მეუბნებოდა და როგორც კონტრაქტში ეწერა, ისე გადამიხდიდნენ, თუ რამეს დამაკლებდნენ? სრული ერთი თვე არ იყო რაც მემუშავა. ამიტომ იმ დღეებისას ვითვლიდი და ვანგარიშობდი, ხელფასი რამდენი უნდა ჩამრიცხოდა. მახსენდებოდა ის იმედგაცრუებებიც, კორუფცია, დეპორტაციის დაშინება, სოფიას უცნაური, არაარსებული რესტორანი-კომპანია და ველოდი, რა იქნებოდა.

იმ დღეს დილიდან უმიზეზო ტკივი-

ლებმა გამანამეს. ხელფასი, ალბათ, შუადღეს ჩაირიცხებოდა, მე კი დილის რვა საათზე ფეხები მტკიოდა. ისე მეკვეთებოდა, გარეთ გასვლა არ მინდოდა. ვხვდებოდი, ეს ფსიქოლოგიური იყო, რადგან მორიგი იმედგაცრუების შემთხვევაში მტკიცედ მქონდა გადანყვეტილი, რომ აქედანაც გავიქცეოდი, არაფერს დავინდობდი. შანსი არ იყო, აქ დავრჩენილიყავი – სასაცილო და არაადეკვატურ ხელფასზე. როგორც იქნა ფეხი გადავადგი, რადგან ბალში ვიყავი წასასვლელი და ბავშვებთან რომ შევედი, მუცლის ტკივილმა ისე ამიჩქარა გული, ლამის გული ამერია. თავი შევიკავე, ფანჯარა გამოვაღე. არ ვიცოდი რა მჭირდა. რეალურად არაფერი არ მჭირდა, მაგრამ შინაგან შიშს და მოსალოდნელ სასონარკვეთას ვიყავი აყოლილი. დიდ შესვენებაზე გავიარე ბანკში და არაფერი არ იყო ჩარიცხული. თანადათან უფრო მემატებოდა აშლილობის სინდრომები, იმასაც განვიხილავდი, რომ ჩემებისთვის ფული უნდა მეთხოვა, თუ აქედან გაქცევა მომიხდებოდა. ბალში მივბრუნდი და ცხვირიდან სისხლი წამომივიდა, ასისტენტმა სანიმ შეამჩნია და დამამშვიდა – ცუდი დღეა, ხომ ხედავ, მზე არ არის, მოლრუბლულია, ცოტა ქარია და ამ დროს ჩვენც წნევები გვემართება ხოლმეო. მერე მივხვდი, რომ ეს შეიძლება მართლაც წნევის ბრალი ყოფილიყო. გაზაფხული მოდიოდა იაგდაქში, ფეხების ტკივილიც, გულის ფრიალიც, ცხვირიდან სისხლის წამოსვლაც – ყველაფერი წნევასთან იყო კავშირში.

აი, დამთავრდა ბალის საათები და ჩამობნელებულ იაგდაქში ბალიდან ბანკისკენ დავადექი გზას. იმ გზაზე ყველაფერმა ხელმეორედ ჩაიარა: ვიზისთვის მზადება, ვიზის აღება, დედის და მეგობრების მიტოვება, სამსახურისთვის გამიზნული სამაგიერო, აქ ჩამოსვლა და გულისრევები, ბალებში



მუშაობა და განუელი სამუშაო, კორუფციის მახე – ეს ყველაფერი მარტომ გადავიტანე, ეს ყველაფერი წარსულში იყო შედეგად კი რა იქნებოდა? ბანკომატში ბარათი შევაცურე... იაგდაქში მწუხრი დგებოდა, ბანკომატმა ინგლისურად დაიწყო საუბარი, inquiry-ს დავაჭირე და რას ვხედავ...

არ მახსოვს, შინ როგორ მოვედი. სიხარულით ცას ვენიე. რასაც ვითვლიდი, იმაზე მეტი ხელფასი ჩარიცხეს. ბატონი დონის მაილი დამხვდა კომპიუტერში – ნახალისების მიზნით გიმატებთ ათას იუანს, რადგან ყველა ძალიან კმაყოფილია თქვენი მუშაობით. ბარათზე კაპიკი არ დავტოვე, სულ გამოვიტანე, მოვედი შინ და ასი იუანის კუბიურები ოთახში მიმოვფანტე. გული სიხარულით მიცემდა. ეს სულ ჩემი იყო. ცხოვრებაში ამხელა თანხა არასდროს არ ამიღია ერთი თვის მუშაობით. დოლარში ვითვლიდი და სამი ათას დოლარზე მეტი გამოდიოდა. საქართველოში მუშაობის ერთი წლის ხელფასი ერთ თვეში ავიღე. შევძელი, ყველაფერი გამოვიდა, ჩემს მიზანს მივაღწიე. დავუმტკიცე ჩემს თავს, რომ მამაჩემივით ლუზერი არ ვიქნებოდი, რომ გაჭირვებით არ გავანამებდი ჩემს შვილებს, რომ საშუალო საცხოვრებელი პირობებისთვის მზად ვიყავი, დავუმტკიცებდი ჩემს ქვეყანას, რომ ბევრად მეტის ღირსი ვიყავი. ვიჯექი გახარებული ასი იუანების კუბიურების წინ, ვწერდი დედას და უცბად, არც კი ვიცი, საიდან, როგორ, ტირილი ამიტყდა, ცრემლები მომდიოდა, სიხარულისგან, ტკივილისგან, სიშორისგან...

ვტიროდი, რომ მივალნიე, ვტიროდი, რომ გამოვიდა, ვტიროდი, რომ ჩემს წინ ფულის დასტები ეყარა, მაგრამ მათი მნიშვნელობა ახლა იმაზე მეტი იყო, ვიდრე მათი ფასი სავალუტო ბირჟაზე. ეს ფული ჩემი შამპანური იყო, ეს ფული ჩემი სამაგიერო იყო, ეს ფული ჩემი თვითშეფასების ამაღლება იყო... ვტიროდი, თვალებიდან ცრემლები დაპალუპით მომდიოდა, ვლნაოდი, ვიძახდი – „ღმერთო“, ვეძახდი – „დედას“, „დეე, მენატრები, დეე ხედავ? შენმა ნიკოლასმა ყველაფერი შეძლო“, ვტიროდი – ჩემო ქვეყანავ, სად ხარ? თბილისო, ხედავ?“ ვლნაოდი – „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...“ და ჩემს ცრემლებიან თვალეებში ფანჯარაზე რაღაც ირეკლებოდა. ეს არც სასწაული იყო და არც ცით მოვლენილი გამოსახულებანი.

იმ პირველ დღეს, როცა ამ სახლში გადმოვედი, როცა გული მერეოდა და მთელი დღე-ღამე მეძინა, იმ ღამით ხუთი წუთით წამოვყავი თავი და ჩემს დაორთქლილ ფანჯარაზე თითოთ სახლი დავხატე, „საქართველო“ დავანერე, გვერდით ქართულად „დედა“ მივანერე, „ჩემი და“ მივანერე, „მეგობრები“ და „თბილისი“ და ეს დაორთქლილზე წაწერილი ისე დამავიწყდა, აღარც შემიმჩნევია, ახლა კი, ერთი თვის თავზე, როცა ხელფასი ავიღე და, როცა უკვე კარგად ვიყავი, ვტიროდი, ჩემ წინ ფული ეყარა, ცრემლებს შორის კი მოჩანდა დაორთქლილ ფანჯარაზე წაწერილი – „სახლი, დედა, და, მეგობრები და საქართველო...“

## ამირან გომართელი

### „იღუპალეზა უორეულ ტრფობის“ ეპოქის კონტექსტში

შესრულდა 100 წელი გალაკტიონის „არტისტული ყვავილების“ გამოცემიდან.  
ამ მაისს, ამ ივნისს, ამ ივლისს,  
გადირეკს ნოემბრის ბალები,  
მხურვალე ვნებები გაივლის,  
სასახლის ჩაქრება ჭალები.

ამ სტრიქონებით იწყება გალაკტიონის „არტისტული ყვავილები“. არც ამ კრებულით აღძრული ემოცია დამცხრალა დღემდე და არც გალაკტიონის პოეტური სასახლის ჭალები ჩამქრალა. პირიქით – იმ მაისს, 1919 წლის მაისს, როცა „არტისტული ყვავილები“ გამოიცა, ვერც ნოემბრის ქარები „გადარეკს“ და ვერც დრო-ჟამი დაუკარგავს ფერსა და ელვარებას.

ჩვენ იმ წიგნის გამოცემის 100 წლისთავს ვეხმიანებით, რომელმაც სრულიად ახალ სიმაღლეზე აიყვანა ქართული პოეტური კულტურა; ამ წიგნში შეისხა ხორცი დევიზმა – „ქართული კულტურის გამართვა ევროპული რადიუსით“; ამ წიგნში, როგორც არაერთხელ თქმულა, ქართული სიტყვა ზეიმობს საკუთარ ძალმოსილებას. არ არის გრძნობა, თუ განცდა, რომლის გამოთქმაც შეუძლებელი იყოს „არტისტული ყვავილების“ ავტორისათვის. რაც მთავარია, „გალაკტიონის განცდა მარტო მას კი არ ეკუთვნის – იგი ჩვენია და ამიტომ გვიყვარს მგოსანი“ (დავით კლდიაშვილი).

გალაკტიონის პირველ წიგნში („ლექსები“, ქუთაისი, 1914წ.), რა თქმა უნდა, უკვე იყო სიახლის ყველა ნიშანი, ისევე, როგორც „ცისფერყანწელთა“ პოეზიაში, მაგრამ „არტისტულმა ყვავილებმა“ საბოლოოდ დაასრულა ის პოეტური რეფორმა, რაც აუცილებელი იყო, რათა ქართული პოეზია საბოლოოდ გამოსულიყო იმ ჩიხიდან, რაშიც აკაკის ეპიგონებმა შეიყვანეს. მათ აკაკი წერეთლის ვირტუოზულად გამარტივებული სალექსო ტექნიკა გააღარიბეს და გაამდაბიურეს. ჩვენს პოეზიას, შიშველი სოციალურ-პუბლიცისტიური პათოსის გარდა, ვერაფერი შემატეს. ახალ დროს კი ახალი ესთეტიკა, თანამედროვე ევროპული პოეზიის ეკვივალენტის შექმნა ესაჭიროებოდა. ეს პროცესი დასრულდა და მთელი დიდებულებით წარმოსდგა „არტისტულ ყვავილებში“. ამავდროულად, ამ წიგნის ავტორი – ნოვატორი და რეფორმატორი – ქართული პოეტური კულტურის საუკეთესო გამგრძელებელიც აღმოჩნდა. მან შეძლო მოენახა სინთეზური ხაზი ევროპულსა და ქართულ პოეზიას შორის, რამაც საგრძნობი გავლენა იქონია უახლესი ქართული პოეზიის განვითარებაზე.

## „წითელი ლერწი ვაზის-ბუნების“

„და მახსოვს მხოლოდ  
ცისფერთვალეობა  
იდუმალეობა შორეულ ტრფობის“

„არტიკულ ყვავილებში“ შესულია ლექსი „არ-დაბრუნება“ (1916წ.), რომელიც მართლაც იდუმალი სტრიქონებით იწყება:

აი, გრიგალმა გაიტაცა  
წითელი ლერწი  
ვაზის-ბუნების!  
მერი! მე ისევ მენატრება  
ჩუმი ალერსი  
არ-დაბრუნების.

რას ნიშნავს „წითელი ლერწი ვაზის – ბუნების“, რა კავშირშია იგი მერისთან, ვინ არის მერი ან რატომ მთავრდება ლექსი ასეთი სტრიქონებით?

ვიცნობ ბაგეებს, ვიცნობ  
ხელებს! ათასი მხედება  
ბაგე და ვარდი...  
ნუთუ ზეცაო, ვით, მე მიყვარს  
შენი დიდება  
ისე გიყვარდი?

ეს ბურუსით მოცული პოეტური სახეები სიმბოლისტური პოეზიისათვის დამახასიათებელი მინიშნებებია და მათი შინაარსია ამოსაცნობი.

„წითელი ლერწი ვაზის-ბუნების“ – მნიშვნელოვანი სიმბოლურ-მეტაფორული სახეა ამ ლექსისა, რომლის ამოსახსნელად ქრისტიანული სახისმეტყველების გათვალისწინება გვმართებს. ამ სფეროში კი გალაკტიონს საფუძვლიანი განათლება აქვს მიღებული ქუთაისის სასულიერო სასწავლებელსა და თბილისის სასულიერო სემინარიაში, რასაც შესანიშნავად იყენებს აზრობრივად ტევადი და ემოცი-

ურად მომხიბვლელი არაერთი პოეტური სახის შესაქმნელად.

სახარების თანახმად, ქრისტე საკუთარ თავს ვაზს უწოდებს, ხოლო მონაფეებს და მიმდევრებს – ლერწებს: „მე ვაზი ვარ, თქვენ კი ლერწები“ (იოანე 15, 5). თუ ვაზი ქრისტეა, ვინ შეიძლება იყოს მისი ბუნების თანაზიარი, თუ არა ღვთისმშობელი?! რადგან სიტყვები – „ვაზის ბუნების“ – უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ქრისტეს მონაფეობა ან მიმდევრობაა. რაც შეეხება წითელ ფერს, თეოლოგიაში საყოველთაოდ მიღებულია, რომ ღვთისმშობლის სამი ფერიდან (ოქროსფერი, წითელი და ცისფერი) წითელი ღვთისმშობლის მარტვილობას აღნიშნავს (ოქროსფერი უკვდავების სიმბოლოა, ცისფერი – ზეცისა). თვალსაზრისს, რომ წითელ ლერწში „ვაზის-ბუნების“, რომელიც გრიგალმა გაიტაცა, ღვთისმშობელი იგულისხმება, კიდევ უფრო ამყარებს მერის ხსენება („მერი! მე ისევ მენატრება ჩუმი ალერსი“), რომელიც უშუალოდ მოსდევს სიტყვებს: „წითელი ლერწი – ვაზის-ბუნების“. მერი – ასე წარმოითქმის მარიამ ღვთისმშობლის სახელი ინგლისურად. ამ სახელით ხშირად მოიხსენიება ღვთისმშობელი ევროპელ და რუს სიმბოლისტებთან.

იქ, სადაც ვაზის ბუნების წითელ ლერწში მერი/ღვთისმშობელი იგულისხმება, არც ვერონეზესა და ტიცციანის ხსენებაა შემთხვევითი („რაღაც სხვაგავარი მოსვლა ფერების: ვერონეზი და ტიცციანი“). სავარაუდოდ, პოეტი მათ იმ შედეგებს გულისხმობს, სადაც ღვთისმშობელია გამოსახული. მაგალითისათვის, დავასახელებდი ვერონეზეს – „წმ. ქალწულ მარიამის კორონაცია ცად ამალეების შემდეგ“; ტიცციანის – „მადონა ჩვილი ყრმით“.

ყოველივე ამის შემდეგ უფრო სარწმუნო ხდება, რომ ლექსის ბოლო

სტრიქონებში ზეცისადმი მიმართვა ღვთისმშობლისადმი მიმართვასაც გულისხმობს: „ნუთუ, ზეცაო, ვით მე მიყვარს შენი დიდება,/ ისე გიყვარდი?“

გრიგალი კი, რომელმაც გაიტაცა „ნითელი ლერწი ვაზის-ბუნების“, უღმერთო, უღვთისმშობლო ეპოქას განასახიერებს. გალაკტიონისთვის ღვთისმშობლის თემა ეპოქის კონტექსტში განიხილება. უღვთისმშობლობა უღმერთობას ნიშნავს და სწორედ ამ ფონზე წარმოჩინდება ღვთისმშობლისად-



მი დამოკიდებულება. „საუკუნე დადგა უმეცარი“, – ასე ახასიათებს გალაკტიონი უღმერთობის ეპოქას, რომელმაც „უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები“. ეს „უმეცარი საუკუნე“ გვხვდება პირველნაბეჭდ ვარიანტში (იანვარი, 1921წ.) ცნობილი ლექსისა „მზეო თიბათვისა“, რომელიც ასეა დასათაურებული – „1920“.

„არ-დაბრუნება“ სათაურიდანვე

პროტესტია იმ უღმერთო, „უმეცარი საუკუნის“ მიმართ, რომელმაც გრიგალივით გადაუქროლა ღვთაებრივ რწმენას, რომლის დაბრუნების იმედიც გადანურული აქვს პოეტს. ამიტომ ჰქვია ლექსს „არ-დაბრუნება“, ამიტომ ენატრება მერის (ღვთისმშობლის) „ჩუმი ალერსი“, ამიტომ თქვა სხვა ლექსში სინანულითა და გაოცებით: „როგორ შევიძლოთ უღვთისმშობლობა? ვით ავიტანოთ უმადონობა?!“ („თუ ბრძოლა არ არის“). ეს უპასუხოდ დარჩენილი კითხვა, საკუთარი თავისა და მკითხველის გარდა, ადრესატად თითქოს „ძმები კარამაზოვების“ ავტორსაც გულისხმობს მისი რომანის გახმაურებული ფრაზის გამო: „თუ ღმერთი არ არის, ყველაფერი ნებადართულია“.

ახლა ისევ ღვთისმშობლის ხატებას დავუბრუნდეთ, რომელიც საუკუნეთა მანძილზე მსოფლიო ლიტერატურაში არაერთგზის გამხდარა სასულიერო და საერო პოეზიის ხოტბის, აღტაცებისა თუ მოკრძალებული თაყვანისცემის ობიექტი. ამ ტენდენციას, ბუნებრივია, ქართულმა პოეზიამაც აუბა მხარი, როგორც ქრისტიანული კულტურის შემადგენელმა ნაწილმა.

ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ლექსების მთელი წყება გამოიყოფა გალაკტიონის პოეზიაში. 1912 წელს რეალისტური მკაფიობით აღბეჭდილი ლექსი უძღვნა ღვთისმშობელს – „Ave Maria“ („ჰიმნი ღვთისმშობელს“):

*დედაო ღვთისავ! შენკენ მოილტვის  
ლოცვა-ვედრება და საკმაველი.*

გალაკტიონის პოეზიაში ჯერ კიდევ 1910 წელს გვხვდება ღვთისმშობლის ხატება, ლექსში – „ჩემო მადონავ“. რა თქმა უნდა, „ჩემო მადონავ“ ღვთისმშობლის ციკლის შედევრებს ვერ შეედრება, მაგრამ, პრობლემატიკის თვალსაზრისით, ის ყველაზე ადრინდელია. აქ პოეტი ღვთისმშობლის სიყვარულში ისეთ დიდი ხელოვანსაც კი ეჯიბრება, როგორც

რაფაელია და ასე მიმართავს მადონას (ლეთისმშობელს): „მაგრამ ეს გნამდეს,/ ვინც უნდ გხატავდეს,/ ჩემდენ სიყვარულს/ ვერ იგრძნობს აღძრულს“.

„ქალის ლანდი“ – ასეთი სათაური აქვს გალაკტიონის ლექსს, რომელიც პირველ პოეტურ კრებულშია შესული (1914წ.). ვისი ლანდი იგულისხმება აქ? თუ გალაკტიონს დავესესხებით, ამგვარადაც შეიძლება დაისვას კითხვა: „ვინ არის ეს ქალი ასეთი ცისფერი“? პოეტმა იგი განთიადისას „ხის რტოებში“ იხილა. „ზეციურად, მიუნვდომლად მომელანდა“, – ამბობს გალაკტიონი და დასძენს: „ხელუხლებელს, ჰაეროვანს სხეულს ხელი ვერ შევახე“, ლექსს კი ასე ამთავრებს:

*ვდგევარ გრძნობამორეული,  
მოგონება სევდას მაქსოვს,  
მაგრამ მახსოვს, მუდამ მახსოვს  
ლანდი, წმინდა, მონყენილი,  
ლანდი არაქვეყნიური,  
ლანდი უცხო, შორეული.*

ეს „ჰაეროვანი“, „არაქვეყნიური“, „შორეული“ არსება, შეუძლებელია, რომელიმე რეალურად არსებული ქალი იყოს. ამავე წელს შექმნილ სხვა ლექსში („სიმღერა“) ასეთი სტრიქონებია: „და ვერ ვივინყებ ქალწულის სახეს, სადაც ოდესღაც ფიქრში ზმანებულს“. ეს „ფიქრში ზმანებული ქალწულის სახე“ – „უსხეულო“, „ჰაეროვანი“, „ხელუხლებელი“, „არაქვეყნიური ლანდი“ სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა ღვთისმშობელი, რომელიც განთიადისას იხილა ცაზე და რომელსაც მერის სახელით მოიხსენიებს.

*შენ ზღვის პირად მიდიოდი მერი,  
-----  
მერი, ჩემო შორეულო მერი,  
შენკენ მოქრის ბედის იალქანი.*  
(„მერი“)

ანდა:

*აქ მრავალია ცისფერი ფერი!  
ეს ფერი მარად თვალს ეყვარება,  
როგორც ქალწულის სახელი – მერი,  
არის ცისფერი და მწუხარება.*  
(„გზაში“)

როცა ზეცის გახსნილ თალს მიღმა „ერთადერთი ნაზი დარაჯი გადიფრენს თვალწინ აჩრდილი მერის“, პოეტის სულიერი ეგზალტაცია პიკს აღწევს. თუმცა ყოველთვის არაა ასე – მერი მისი მღელვარებისა და ჭმუნვის თანაზიარიც არის:

*ეს რამდენიმე დღეა და  
რამდენიმე ღამე,  
დახურულია გული, როგორც  
საკანი რამე.*  
-----

*ჩამოიბუროს ზეცა, მისიცი  
ალარა მჯერა –  
მერის თვალებით იგი ვერ  
გაბრწყინდება, ვერა.*  
(„მერის თვალებით“)

მას შემდეგაც კი, როცა ამგვარ სკეპსისით სავსე ამოხვრას გაგვიმჟღავნებს, მაინც არ შორდება პოეტის მზერა ღვთისმშობელს, კვლავ მძაფრია მისი მონატრება. სწორედ ასეთი გრძნობაა გაცხადებული „არტისტულ ყვავილებში“ დაბეჭდილ ლექსში „თოვლი“ (1919წ.), სადაც, პირველ პოეტურ კრებულთან შედარებით, კიდევ უფრო გართულებულია სახეობრივი აზროვნება, მხოლოდ სიმბოლისტური მინიშნებებითა და ასოციაციებით უნდა ამოვიცნოთ აზრი.

„თოვლის“ შესახებ 1996 წელს გამოვაქვეყნე წერილი და შემდეგ მცირე ნაკვეთის სახით შევიდა ჩემს წიგნში „ქართული სიმბოლისტური პროზა“ (1997 წ.). აქ აღარ შევუდგები ვრცელ მსჯელობას და მოკლედ ვიტყვი, რომ 1919

წლის მაისამდე დანერგულ „თოვლს“ საკმაოდ პარალელები ეძებნება ჯერ კიდევ 1912 წელს გამოქვეყნებულ ლექსთან „Ave Maria“. „ელვარებს, დნება წმინდა ნათელი, მკრთოლვარ-მთრთოლვარე შუქთა მფრქვეველი“, – ასე ესახება „Ave Maria“-ში პოეტს ღვთისმშობლის ხატება, რომელიც პარალელს პოულობს „თოვლის“ სტრიქონებთან: „იელვებს, ქრება და კვლავ იელვებს/ შენი მანდილი ამ უდაბნოში“ – ამ სიტყვების ადრესატიც ღვთისმშობელია.

„თოვლის“ პირველივე ფრაზა ღვთისმშობლის ასოციაციას იწვევს: „მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის ქალწულებივით ხიდიდან ფენა“. თამაზ ჭილაძე წერს ერთ ადრეულ ესეში (1958წ.): „სიტყვა „ქალწული“ აძლიერებს წარმოდგენას უნაზეს ცისფერ ფერზე“. ეს ფრაზა, ვფიქრობ, მინიშნებაა, რომელიც ისევ და ისევ, გალაკტიონისეული „ცისფერი ქალწულის“ ასოციაციას იწვევს. ამას კიდევ უფრო აღრმავებს „თოვლში“ „ხარებისა“ და „გზის“ ხსენება. სულიერი პილიგრიმი ეძებს გზას ღვთისმშობლისაკენ. ეს გზა თოვლის სისპეტაკითაა მოსილი. ამ ღვთაებრივ სისპეტაკეზე მიანიშნებს შედარება ღვთისმშობლის ქალწულებრივ უბინობასთან, რასაც პოეტს სწორედ თოვლი ახსენებს და ამბობს კიდევ: „ამიტომ მიყვარს იისფერ თოვლის ჩვენი მდინარის ხიდიდან ფენა“.

„თოვლშიც“ არის ფრაზა, რომელიც გარკვეულწილად ეხმიანება მინიერი სინამდვილის ილუზიურობის („სინამდვილე... არ ყოფილა“) გალაკტიონისეულ, გამოკვეთილად სიმბოლისტურ აღქმას: „ჩემს სამშობლოში მე მოვვლე მხოლოდ უდაბნო ლურჯად ნახავრდები“. ამ სტრიქონში ზეციური ლურჯი ფერის აქცენტირებითა და სიტყვით – „მხოლოდ“ – ზეციურის უპირატესობაზე მიანიშნებს პოეტი მინიერთან შედარებით. „სამშობლოც“ აქ პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. ის

თვალხილული, სინამდვილის ეკვივალენცია, სადაც პოეტის გრძნობა-გონებას მხოლოდ ზეციური, „ლურჯად ნახავრდები“ ფერი იტაცებს.

ამდენად, ლექსში ლირიკული სუბიექტის მიერ რეალობისთვის ზურგის შექცევა და ოდენ („ჩემს სამშობლოში მე მოვვლე მხოლოდ“) ტრანსცენდენტურისკენ ლტოლვა გამოსჭვივის, სადაც „თოვლის“ ავტორს, ბარათაშვილის მსგავსად, ღვთისმშობლის „უბრუნელი მშვენიერება“ და უბინობა წარმოესახება.

გალაკტიონის სხვა ლექსშიც გვხვდება სახე, სადაც ღვთისმშობლის უბინობა თოვლის სისპეტაკესთანაა შედარებული („ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა“) და, საზოგადოდ, გალაკტიონის ლირიკაში ხშირია ღვთისმშობლის მონატრება.

ზემოთ ნახსენები „ქალწულებივით ხიდიდან ფენა“ და თოვლის სისპეტაკეში მოფრიალე „მანდილი“, რამაც ღვთისმშობლის ასოციაცია გამოიწვია, ხარების დღესასწაულის განმეორების იმედით აღავსებს პოეტს, რომლისთვისაც წყურვილივით მძაფრია ღვთაებრივ ნიაღში დაბრუნების სურვილი. ამიტომ ჩნდება ლექსში მინიშნება: „მომწყურდი ეხლა, ისე მომწყურდი, ვით უბინაოს ყოფნა ბინაში...“ ეს ღვთაებრივი ნიაღიდან (სამოთხიდან) სასუთროში გამოგდებული ადამიანის წყურვილია. იმ სასუთროში, სადაც მოქმედი დრო ზამთართანაა შეტოლებული, („როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი“) სამოთხისეული მარადიული გაზაფხულის საპირისპიროდ. გალაკტიონიც, ამქვეყნიური არასრულყოფილების დასაძლევად, მისტიკოსის გზებითა და ექსტაზით მიიღვცის ამ ღვთაებრივი საუფლოსაკენ.

ასე რომ, ამკარაა, გალაკტიონის მზერა გამუდმებით ტრანსცენდენტურისაკენ არის მიმართული. ნამდვილი სინამდვილე ტრანსცენდენტურში ეგულება პოეტს, სხვაგვარად როგორ გავიგოთ მისი ნათქვამი: „სინამდვილეს არ ვემდური: არ

ყოფილა თითქმის, // არყოფილზე საყვედური არასდროს არ ითქმის“.

მას შემდეგ, რაც გაუქმდა ოლიმპოს მთაზე არსებული მინიერი ღმერთების საკრებულო და ანტიკურ ცნობიერებაში გაირღვა ცის თალი, პლატონმა თვალხილული სინამდვილე ოდენ ანარეკლად გამოაცხადა მილმიური სამყაროსი, საითკენაც, მერე, ქრისტიანულად მოაზროვნე ცნობიერებამ იწყო ლტოლვა. ამ ლტოლვაში, უახლოესი ორი საუკუნის მანძილზე, რომანტიკოსებსა და სიმბოლისტებს ძნელად თუ შეეძრება ვინმე. მათი მზერა ცის ლაჟვარისაკენ არის მიქცეული. ამგვარი მსოფლგანცდა აირეკლება, როგორც ზოგადოდ სიმბოლისტთა, ისე გალაკტიონის პოეზიაშიც. ისეთი მწერალიც კი, როგორც სერგო კლდიაშვილია, რომლის სიმბოლისტობაც ფრიად საეჭვოა, „ცისფერყანწელებთან“ სიახლოვისა თუ მათი მხარდაჭერის გამო, იტყვის: „არის წუთები, როცა მეც, წარმართს, მომელანდება გახსნილი თალი და წმინდა ქალწულის გამოხედვა“.

## **„საზეო მიჯნურობის“ თემა და „მარადქალწურობის“ იდეა**

საუკეთესო ლექსები გალაკტიონის ე.წ. „სატრფილო ლირიკისა“ დაშორებულთა რეალობას, არაფერი აქვთ საერთო ჩვეულებრივ სამიჯნურო პოეზიასთან. მილმიურისკენ მიდრეკილი პოეტის მზერა და გულისთქმა „საღვთო ტრფიალებითა“ აღვსილი. აკაკი ბაქრაძეს ჩაუნერია უბის წიგნაკში: „რაც ზეციური ასპექტით იკითხება გალაკტიონთან, ის პეტერ ალტენბერგმა ასე გამოთქვა: რაც ზეციურია, იგი ღვთისმშობელს უკავშირდება, რამეთუ ადამიანი ოდენ მინიერი ცხოვრებით არ ცხოვრობს“.

მინიერი სიყვარული ყოველგვარი სიყვარულის პარადიგმაა. ამიტომ მი-

მართავენ პოეტები „საზეო მიჯნურობის“ გამოსახვისას მინიერი სიყვარულის ანალოგიას. ქრისტიანობისათვის ყოვლისმომცველი სიყვარულის იდეა სამყაროსა და ადამიანური ყოფიერების საფუძველია. „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე“, – იტყვის ჩვენი პოეტიც.

მაცხოვრისა თუ ღვთისმშობლის ტრფიალება პირველსაწყისთან მიმასხლოებელი გრძნობაა („სიყვარული აგვამალლებს“). ღვთაებრივ სიყვარულს „საზეო“ მიჯნურობას უწოდებს რუსთველი.

ღვთისმშობლის ციკლის ლექსებში გალაკტიონთან აშკარად ხშიანობს ქართული მწერლობის ის მოტივი, რასაც „საზეო მიჯნურობა“, „საღვთო ტრფიალება“ ჰქვია. სწორედ ამგვარ ტრფიალებას გულისხმობს სიტყვები, რომლებიც მერის (ღვთისმშობელს) მიემართება ზემოთ ნახსენებ ლექსში „არ-დაბრუნება“ – „მერი! მე ისევ მენატრება ჩუმი ალერსი...“

„საღვთო ტრფიალება“ წამყვანი მოტივია ე.წ. აღორძინების ხანის ქართულ პოეზიაშიც. სიყვარულის ალგორითული გააზრება, რომელიც ბიბლიურ „ქებათა ქებაში“ იღებს სათავეს, ამ ეპოქის ტენდენციად იქცა. ის მკაფიოდაა გამოვლენილი არჩილთან, ვახტანგ მეექვსესთან, მამუკა ბარათაშვილთან და, რაღა თქმა უნდა, დავით გურამიშვილთან, ახალ დროში კი ნიკოლოზ ბარათაშვილთან, რომელიც, საკუთარი უბედობითა და ქვეყნის უკუღმართობით შეწუხებული, შვებას და სასოებას ზეციურ საუფლოში ეძიებს („ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული!..“). იქ, „მერანის“ ავტორს, ღვთისმშობლისეული უხრწნელი მშვენიერება ეგულება – „მშვენიერება გაქვს, ცისიერო, უხრწნელი“ („არ უკიჟინო სატრფოო“), ოღონდ ეგ არის, ამგვარი ტრფობის გამოხატვა მოკვდავის ენას არ ძალუძს („მოკვდავსა ენას არ ძალუძს, უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა“).

გალაკტიონის დამოკიდებულება „სა-ზეო“ მიჯნურობისადმი კარგად ჩანს იმ ჩანანერში, სადაც მსჯელობს ბარათაშვილის ლექსზე „რად ჰყვედრი კაცსა“: „ბარათაშვილის სული ოცნებობს ქალის მშვენიერ სულზე... ამ შავ ლაბირინთში, შორს, დაუსრულებელ სილაჟვარდეში, მოსჩანს სათაყვანებელი ლანდი ბეატრიჩესი, მუდმივად სასურველი და მუდმივად მიუღწეველი იდეალი, ციური, ღვთაებრივი სილამაზე, ჰაეროვანი, უსხეულო ლანდი შორეული ქალის, შექმნილი სინათლისა, ალის და სურნელებისაგან... ანგელოსთა ქვეყნის ანარეკლი. ამ ქალს ბარათაშვილის ლექსში არ აქვს სახელი, შეიძლება განა ამ ბეატრიჩეში, ამ ლაურაში დავინახოთ რომელიმე ქალწული ან ახალგაზრდა ქალი, რომელიც მხურვალე გრძნობით უყვარდა მგოსანს სინამდვილეში?“ (ტ.12, 1975, გვ.63).

„საზეო მიჯნურობის“ სიტყვით გამოხატვა გალაკტიონსაც ისევე შეუძლებლად მიაჩნია, როგორც ავტორს ლექსისა „რად ჰყვედრი კაცსა“. აქაც ბარათაშვილს უდგას კვალში. „არ მინდა სიტყვა, არ მინდა სიტყვა“, – იტყვის გალაკტიონი მაშინ, როცა „ზექვეყნიური სიყვარულის“ გამოსახვა სურს – „ზექვეყნიური სიყვარულით მწვავს, გამოუთქმელი და მწვავე ალი“.

„საღვთო ტრფიალების“ თემას გალაკტიონის პოეზიაში, გარდა საკუთრივ ქართული ნიადაგისა, კიდევ ერთი ნყარო აქვს – რუსული თეურგიული სიმბოლიზმი, გამორჩეულად კი ალექსანდრ ბლოკის პოეზია. ბლოკს გალაკტიონი,

აკაკი წერეთლისა და საკუთარი თავის მსგავსად, პოეზიის მეფედ მოიხსენიებს: „იმ საშინელ წელს პოეტი-მეფე გარდაიცვალა ალექსანდრ ბლოკი“ („პროლოგი ასი ლექსის“), ხოლო ლექსში – „რუს პოეტს“ – საგანგებოდ აღნიშნავს: ბლოკთან სულიერსა და თემატურ ერთობას – „ჩვენ სივრცეებში ვართ თანაბარი“:<sup>1</sup>

*ნიაღვარივით მოსკდა ზღაპარი,  
შორეულ ქალის, მომაკვდავ გედის,  
ჩვენ სივრცეებში ვართ თანაბარი,  
პალადინები ერთი იმედის.*

*თითქო ერთგვარად ხედავდა თვალი  
დაბინდებული ნისლით და ყინვით  
და ერთნაირად ვიყავით მთვრალი  
შენ შენი თოვლით, მე ჩემი ღვინით.*

ალექსანდრ ბლოკი უმცროს სიმბოლისტთა, ე.წ. თეურგთა დაჯგუფებას მიეკუთვნებოდა. თეურგები (ანდრეი ბელი, ვიაჩესლავ ივანოვი, ალექსანდრ ბლოკი...), პოეტისა და მისტიკოსი ფილოსოფოსის, ვლადიმერ სოლოვიოვის გავლენას განიცდიდნენ. ამ გავლენამ, სხვა რომ არა ვთქვათ, რუსულ პოეზიას ისეთი დიდებული კრებული შესძინა, როგორცაა ალ. ბლოკის „ლექსები მშვენიერ ქალბატონზე“ („Стихи о прекрасной даме“). გალაკტიონიც ამ წიგნსა და მის ავტორს გულისხმობდა, როცა გულწრფელი მწუხარებით აღმოთქვა: „აღარ არის მენესტრელი მშვენიერი დამისა“. ამ სიტყვების ავტორს უთუოდ ხიბლავდა ბლოკის სიმღერა შორეულ, ცისფერთვალემა ქალბატონზე, რომე-

<sup>1</sup> გალაკტიონის ინტერტექსტუალური მიმართება ბლოკის პოეზიასთან კონკრეტული ლექსების მაგალითზე განხილული მაქვს ჩემს წიგნში „ქართული სიმბოლისტური პროზა“ (1997წ.). ამავე საკითხს და „მარადქალურობის“ პრობლემას ეხებოდა მოხსენებები გალაკტიონოლოგიის სემინარებსა და მეოთხე საერთაშორისო ქართველოლოგიურ სიმპოზიუმზე – 2002წ., 21-25 მაისი (სიმპოზიუმის მასალები, 2005 წ.) გალაკტიონისა და ბლოკის ინტერტექსტუალური მიმართება მანამდე აღნიშნული აქვთ ლევან ასათიანს, გიორგი ნატროშვილს, სოსო სიგუას.



ლიც პოეტს „მარადქალურობის“ განსახიერებად ესახებოდა.

თეურგია (ბერძნ. – ღვთაებრივი ქმედება), ძველი ბერძნების წარმოდგენით იყო საკრალურ-მისტიკური ერთობა უზენაესთან. ვლადიმერ სოლოვიოვმა თეურგია გაიაზრა მისტიკისა და ხელოვნების სუბსტანციურ ერთობად, რომლის არსიც მინიერ და ზეციურ სანყისთა ერთიანობაში მდგომარეობდა. ასე დაედო საფუძველი რუსული ესთეტიკის სპეციფიკურ მიმართულებას – თეურგიულ ესთეტიკას. „რუს სიმბოლისტთა თეურგიული ესთეტიკა არის სულიერად მდიდარ ადამიანთა უდიდესი მცდელობა, რომ **კულტურისა და ხელოვნების გლობალური კრიზისის დროს** გააზრებულ და მონიშნულ იქნას კულტურის მომავალი ეტაპის მხატვრულ-ესთეტიკური პრაქტიკის განვითარების გზები... **იმ ხანად კულტურაში გაბატონებული პოზიტივისტურ-მატერიალისტური ტენდენციის საპირისპიროდ**“, – აღნიშნავს **ვიქტორ ბიჩკოვი**,<sup>1</sup> ჩვენი თხოვნით საგანგებოდ აღმანახისთვის „ლიტერატურა და სხვა“ (2002წ. №4) დანერილ სტატიაში „**თეურგიული ესთე-**

**ტიკის გააზრება**“. ხელოვანმა არაფერი არ უნდა შექმნას ღვთაებრივ ერთიანობასთან კავშირის გარეშე. ასე მიაჩნიათ ვლ. სოლოვიოვის რელიგიურ-ფილოსოფიური მრწამსის მიმდევარ თეურგებს.

რაც შეეხება თავად ვლადიმერ სოლოვიოვს, პოეტს, მისტიკოსს, მოაზროვნეს, რომელმაც მთელი ძალისხმევა შეაღწია მოძღვრებას „წმინდა სოფიაზე“ და უყვარდა გათხოვილი ქალი სოფია ხიტროვო, საკმაოდ მძლავრი ბიძგი მისცა რუსული ფილოსოფიის იმ ნაკადს, რომელსაც „ახალი რელიგიური ცნობიერების“ სახელით მოიხსენიებენ.<sup>2</sup> ვიჩქესლავ ივანოვი ასე ახასიათებდა ვლ. სოლოვიოვს: „ვლადიმერ სოლოვიოვი – ღვთაებრივი სოფიას მომღერალი, ჭეშმარიტი გარდამქმნელი ჩვენი რელიგიური მისწრაფებებისა“.

ვლადიმერ სოლოვიოვმა რელიგიური იდეები საყოველთაო ევროპული კრიზისის ფონზე იქადაგა. შემთხვევითი არ იყო მისი სამაგისტრო დისერტაციის თემის არჩევანიც: „დასავლეთის ფილოსოფიის კრიზისი (პოზიტივიზმის წინააღმდეგ)“.<sup>3</sup>

სოლოვიოვთან ემპირიული სამყა-

<sup>1</sup> ვიქტორ ბიჩკოვი (1942 წ.) – თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი მეცნიერი. იკვლევს ბიზანტიური და ძვ. რუსული ესთეტიკის ფუნდამენტურ საკითხებს, XIX და XX საუკუნეების კულტუროლოგიის პრობლემებს. კარგად იცნობს ძვ. ქართულ ხელოვნებას, ზოგადად, ქართულ ქრისტიანულ კულტურას.

<sup>2</sup> ამ მიმართულებაში გაერთიანებული იყვნენ, როგორც ფილოსოფოსები და თეოლოგები (ნიკოლაი ბერდიაევი, ლევ შესტოვი, მამა პაველ ფლორენსკი...), ასევე სიმბოლისტი მწერლები (დიმიტრი მერეჟკოვსკი, ზინაიდა გიპიუსი...). „ახალი რელიგიური ცნობიერების“ წარმომადგენლების, ე.წ. „ბოგოისკატელების“ იდეებმა ქართულ სინამდვილეში ყველაზე დიდი გამოძახილი ვასილ ბარნოვის შემოქმედებაში ჰპოვა. ნიშანდობლივია, რომ სწორედ „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ არის დაბეჭდილი იპოლიტე ვართაგავას წერილი, ვასილ ბარნოვის შესახებ, რომელიც ამ თემას ეხება. დაინტერესებულ მკითხველს, ზემოხსენებული პრობლემატიკის შესახებ, შეუძლია უფრო ვრცლად იხილოს ჩემს წიგნში „ქართული სიმბოლისტური პროზა“.

<sup>3</sup> ვლადიმერ სოლოვიოვის ფილოსოფია, მისი იდეა „მარადქალურობისა“ ძალზე პოპულარული იყო რუსულ ინტელექტუალურ წრეებში და გარკვეულწილად ევროპაშიც. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1909 წელს **დიმიტრი უზნაძემ** გერმანიაში, ჰალეს უნივერსიტეტში, დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია: „ვლადიმერ სოლოვიოვი – მისი შემეცნების თეორია და მეტაფიზიკა“.

რო მეტაფიზიკური სამყაროს შებრუნებული მხარეა, ემპირიული რეალობა მოკლებულია ნამდვილ არსებობას, ილუზიაა (შდრ. გალაკტიონის „სინამდვილე... არ ყოფილა“), მეტაფიზიკური სამყარო ყოველგვარ დროზე ამალღებული ღვთაებრივი ყოფიერებაა. ადამიანს აქვს რელიგიური მოთხოვნილება, აბსოლუტურ არსებობაშიც ჰქონდეს წილი, სურს, ტრანსცენდენტურთან ერთად იარსებოს.

„მარადქალურობის“ იდეა (გერ. Ewig – Weibliche), რომელსაც გადამწყვეტი როლი ენიჭება ვლ. სოლოვიოვის ფილოსოფიაში, გოეთედან იღებს დასაბამს. ღვთაების არსად და უმაღლეს სიკეთედ გოეთეს მარადქმედი და ყოვლისმომცველი სიყვარული მიაჩნია, რომელიც ყოველივეს ასულიერებს და ასაზრდოებს – „მარადქალურობა“ ესაა ტრანსცენდენტური ძალა, რომელსაც სიყვარულის მეშვეობით აჰყავს ადამიანი მარადიული შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში. „ფაუსტში“ „მარადქალური“ სანყისი სამყაროს გამაერთიანებელი და მაცოცხლებელი ძალაა. ამ ძალის მეშვეობით ადის ფაუსტი სინათლით გასხივოსნებულ კოსმიურ სივრცეში. „ფაუსტის“ მეორე ნაწილის ფინალში მისტიკური ქორო „მარადქალური“ ფენომენის სადიდებელს აღავლენს: „მარადიულ ქალური მალლა მიგვეზიდება“.

გოეთეს შემდეგ „მარადქალურობა“ იქცა უნივერსალურ სიმბოლოდ, მისტიკურ სახედ „სოფიასი“ – ღვთაებრივი სიბრძნის („ზეშთასიბრძნის“) ქალურ პერსონიფიკაციად. ამგვარი აღქმა „მარადქალურობისა“, უპირატესად, ვლ. სოლოვიოვის მოძღვრების მიმდევარი „ვერცხლის საუკუნის“ რუსი თეურგი სიმბოლისტიკებისთვის არის დამახასიათებელი. „ჰაერში იგრძნობა სურნელი „მარადქალურობისა“, – აცხადებდა

თეურგიული სიმბოლიზმის იდეოლოგი ანდრეი ბელი. მისი სიტყვები მონოდებად გაისმოდა.

ვლადიმერ სოლოვიოვის მიხედვით, „მარადქალურობა“ არის განსახიერება ღვთაებრივი „ყოვლადერთობისა“. რაც შეეხება „მარადქალურობის“ არსს, ის რელიგიურ-ფილოსოფიური გაგებით, ახლოს დგას მსოფლიო სულთან, „სოფიასთან“, რომელიც არის შუამავალი ღვთაებრივსა და მიწიერ ყოფიერებას შორის. ამიტომ ერწყმის „მარადქალურობის კულტი“ ღვთისმშობლის კულტს, რომელმაც ერთმანეთთან დააკავშირა ცა და მიწა. აქ იმის გახსენებაც უპრიანია, რომ ქართული ჰიმნოგრაფია ღვთისმშობელს „კიბედ“ მოიხსენიებს, რამეთუ სულიწმინდა მის წიაღში განსხეულდა, რითაც ცა და მიწა ერთმანეთს დაუკავშირდა. „იაკობ კიბედ გიხილა“, – ამბობს ქართველი ჰიმნოგრაფი იოანე შავთელი ღვთისმშობლის შესახებ.

სიყვარული არის სფერო „მარადქალურობის“ გამოვლინებისა. „მარადქალურობა“, უპირველეს ყოვლისა, არის წყარო მშვენიერების განცდისა ხელოვნებაში და მის ფარგლებს გარეთაც. აქედან გამომდინარე, ხელოვნება, ვლადიმერ სოლოვიოვის მიხედვით, „მარადქალურობის“ ნიშნით წარიმართება. სიყვარულისა და ქალურობის გამოხატვა ამიტომაც ასე მნიშვნელოვანი პოეტ ვლადიმერ სოლოვიოვისათვის. მისი „სოფია“ საკმაოდ ადამიანურია, მაგრამ დაშორებულია ყოფით რეალობაში არსებულ ყოველგვარ ვნებებს. „ვერცხლის საუკუნის“ რუსულ პოეზიაშიც „სოფია“ გამოხატულებაა მისტიკური სატრფოსი, არ გაიგივდება არავითარ მიწიერთან და მხოლოდ იმედსა და წარმოსახვაში არსებობს. აქვე ვიტყვი, რომ ამგვარი იდეის მოტრფიალედ და მომღერალია გალაკტიონ ტაბიძე – ავტორი მერი/ღვთისმშობლის უმშვენიერესი ლექსების ციკლისა.

სოლოვიოვის აზრით, ხელოვან-მა ახალი, თავისუფალი კავშირი უნდა დაამყაროს რელიგიასთან, მხატვრები და პოეტები ქურუმები და წინასწარმეტყველები უნდა გახდნენ. ვიაჩესლავ ივანოვი მიიჩნევს, რომ „თეურგია არის შემოქმედება, რომელსაც ღვთაებრიობის ბეჭედი აზის“.

ალექსანდრ ბლოკის მერი, ისევე, როგორც მისი თეურგიული შეხედულებები, ვლადიმერ სოლოვიოვის რელიგიურ-ფილოსოფიურ მრწამსიდანაა ამოზრდილი. ბლოკისთვისაც, სოლოვიოვის მსგავსად, „მარადქალურობა“ – უხრწნელი ღვთაებრივი სანყისი – სამყაროს მამოძრავებელი ძალაა, ზემოთსიბრძნის – „სოფიას“ – შინაარსია.

თეურგები ვლ. სოლოვიოვის „ყოვლადერთობის“ პრინციპის კვალდაკვალ, ამითიურებდნენ მიწიერს და ქმნიდნენ ახალ მითოსს. ამის აუცილებლობას თეორიულადაც ასაბუთებდნენ ანდრეი ბელი თუ ვიაჩესლავ ივანოვი. ასე გაამითიურა ალექსანდრ ბლოკმა ლუბოვ მენდელეევა. ამგვარი რამ სრულად პასუხობდა თეურგების თვალსაზრისს. ანდრეი ბელიმ ჯერ კიდევ მაშინ აღიარა ალექსანდრ ბლოკი ჭეშმარიტ თეურგად, როცა ხელნაწერში გაეცნო მის ლექსებს, და გამოქვეყნებულიც კი არ იყო ბლოკის „ლექსები მშვენიერ ქალბატონზე“. გალაკტიონმაც შექმნა ამგვარი მითი ციურ-ღვთაებრივ სატროფოზე, რომელსაც მერი ჰქვია.

## **არწმუნადგარი ჯვრისწერა (მერი შერვაშიძე თუ „ტისფერი“ ქალწული?)**

ახლა გალაკტიონის ყველაზე გახმაურებული ლექსის, „მერის“ შესახებ:

„მერი“ („შენ ჯვარს იწერდი“) 1915 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა „თე-

ატრსა და ცხოვრებაში“ და სათაური ლათინური ასოებით იკითხებოდა – „Meri“. მერის ხსენება პირველად გვხვდება რამდენიმე თვით ადრე ჟურნალ „განთიადში“ დაბეჭდილ ლექსში, რომლის სათაური იყო „მერი“ („შენ ზღვის პირად მიდიოდი მერი“). „არტისტული ყვავილებისთვის“ გალაკტიონმა „თეატრსა და ცხოვრებაში“ დაბეჭდილი ლექსის – ახალი რედაქცია შექმნა, სათაურის უცხოური დაწერილობაც უარყო და მასაც „მერი“ უწოდა. შემდგომში, გამეორების თავიდან ასაცილებლად, პირველად გამოქვეყნებული ლექსი ასე დაასათაურა – „შენ ზღვისპირად“, რომლის ფინალური ფრაზაა: „მერი, ჩემო შორეულო, მერი, შენკენ მოქრის ბედის იალქანი“. ეს „შორეულო მერი“ უკვე იმის მიმანიშნებელია, რომ ჩვეულებრივ მიწიერ ტროფობასთან არ უნდა გვაქვს საქმე. ეს თემა კიდევ უფრო გაღრმავდა იმ ლექსში, რომელიც „თეატრსა და ცხოვრებაში“ დაიბეჭდა და დიდი ვნაბათაღელვა გამოიწვია.

„Meri-ს“ ადრესატად უმშვენიერესი მერი შერვაშიძე მიიჩნევს, იმპერატორის კარის ფრეილინა, რომლის შესახებ ნიკოლოზ მეორეს უთქვამს – *Княгиня, грешно быть такой красивой* („თავადის ქალი, ცოდვის ტოლფასია ასეთი სილამაზე“).

ლექსში ღიად გაცხადებული ტროფობა დაინახეს. ქუთაისის საზოგადოების დიდი ნაწილი (სადაც იმჟამად იმყოფებოდა მერი შერვაშიძე) აღმფოთებული იყო ასეთი სითამამით, ნაწილი კი, ალბათ, თანაუგრძნობდა პოეტს, რომელიც სატროფოს ჯვრისწერას ესწრებოდა (ის კი არავის აინტერესებდა, რომ მერი შერვაშიძემ 1915 წელს კი არა, სამი წლის მერე დაიწერა ჯვარი გიგისა ერისთავზე). ასე შეიქმნა ლეგენდა, უფრო სწორად, დაიწყო იგი, რომელიც დღემდე გრძელდება. სამეცნიერო ნაშრომებშიც კი შეხვდებით მის გამოძა-

ხილს, მცირე პოეტური კრებულები არსებობს, მერის ციკლის ლექსებისა, რომელსაც მერი შერვაშიძის პორტრეტი ამშვენებს.

რეალურ საფუძველს მოკლებულ ლეგენდას ერთი ხიბლი უდავოდ ახლავს – გალაკტიონის სამი ცოლიდან ჩვენი ხალხის გულისწადილმა სათაყვანებელი პოეტი ვერცერთისთვის ვერ გაიმეტა. მის სატრფოდ მართლაც ლეგენდარული სილამაზის მერი შერვაშიძე დასახა. არის ამ ლეგენდასა და შოთა რუსთველისა და თამარის ტრფობის ფსევდოისტორიაში რაღაც საერთო. რუსთველის ნანდაურადაც ხალხის ფანტაზიამ ვინმე უბრალოდ მშვენიერი ქალი კი არა, მეფეთმეფე თამარი წარმოიდგინა.

ისევ პირველსავე სიტყვასა მოვიდეთ და კვლავ „მერის“ („შენ ჯვარს იწერდი“) დავუბრუნდეთ.

ამ ლექსში, ერთი შეხედვით, მინიერ ტრფობასთან გვაქვს საქმე. მინიერი სიყვარული აქაც ღვთაებრივი სიყვარულის პარადიგმაა, თუმცა, ღვთისმშობლის ციკლის სხვა ლექსებთან შედარებით, ამკარად ამალღებულია ორიგინალობის ხარისხი.

„მერიში“ აღწერილი ჯვარისწერა ქორწინებაა. ქორწინება გადატანითი აზრით, რელიგიური გაგებით, ნიშნავს კავშირს ღვთაებრივთან. ეს კი საუკუნეთა მანძილზე წარმოადგენდა არა მხოლოდ პოეზიის, არამედ, საზოგადოდ, ხელოვნების თემას. მაგალითად, რუსული ხატუნების სტროგანოვის სკოლის ერთ-ერთი, 1600 წლის ნიმუში, რუსულ და ევროპულ ხელოვნებაში, განიხილება, როგორც სოფიის (ღვთაებრივი სიბრძნის) ქორწინების სცენა. სოფია აქ გამოსახულია პატარძლის როლში. „ხატი ასახავს იესო-მესიის ქორწინებას თავის დედობრივ საპატარძლოსთან, ეკლესია-მარიამთან, დედობრივ-პატარძლურ თანამებრძოლთან“ (ცი-

ტირებულია გერმანელი მკვლევარის, თომას შიპფლინგერის წიგნიდან, [София-Мария целостный опыт творения, М., 1977, გვ. 254], რომელიც ქალწულ მარიამის რუსულ კულტს შეეხება.

გალაკტიონის ლექსში „მერი“ უზადო ოსტატობითა და ხატოვანებითაა გადმოცემული ლირიკული სუბიექტის მწუხარება არშემდგარი ჯვარისწერა/ქორწინების გამო, რაც ლექსშიც, გადატანითი აზრით, ციურ-ღვთაებრივ საპატარძლოსთან – მერი/ღვთისმშობელთან, ანუ ღვთაებრივთან არშემდგარ კავშირს გულისხმობს.

არშემდგარი სულიერი კავშირი ღვთაებრივთან – ესაა „მერის“ უმთავრესი სათქმელი. ასე რომ, ეს ლექსიც იმ უმძაფრეს კოლიზიას ასახავს, რასაც რწმენის კრიზისი იწვევს. ეს, ბუნებრივია, გამოორიცხავს ყოველგვარ ვარაუდს, თითქოს ლექსი ჭაბუკი პოეტის მიერ უიღბლო სიყვარულის გამოტირება იყოს. არაფერი ამის მსგავსი არ არის ლექსში, აქ უდიდესი ექსპრესიულობითაა გამოხატული ზეციური ლაყვარდის მოტრფიალე პოეტის უმძაფრესი განცდა და წადილი; ტრაგიკულ ტონალობაშია წარმოჩენილი რწმენადაკარგული, ნიჰილისტური ეპოქის სულიერი კრიზისი. ამ ტრაგიზმს კიდევ უფრო აძლიერებს პიროვნების სულიერი გადარჩენისკენ მიმართული ის უდიდესი ძალისხმევა, რაც ყოველ სტრიქონში გამოსჭვივის.

„არტისტულ ყვავილებში“ გამოქვეყნებულ ლექსში გალაკტიონმა ამოიღო პირველნაბეჭდ ვარიანტში არსებული მსუბუქი ეროტიკული შეფერილობის სტრიქონები. გულუბრყვილობაა იმაზე ფიქრი, რომ ეს პოეტმა მერი შერვაშიძისადმი ღიად გაცხადებული ტრფობისაგან აღშფოთებული საზოგადოების დასამშვიდებლად გააკეთა. იმ ღვთაებრივ ტრფიალებაში, რაც ლექსის შინაარსს

წარმოადგენს, აშკარა დისონანსი შექ-  
ქონდა ფრაზას: „სხვისმა ალერსმა უნდა  
დაგათროს?/ სხვამ უნდა მიგცეს იღუმალ  
ზღაპრებს“. განსაკუთრებით კი სტრი-  
ქონებს – „ნუთუ სხვამ უნდა დასწვას ეგ  
მკერდი/ თოვლივით თეთრი და მშვენი-  
ერი“. როგორც ჩანს, ამას მოგვინებით  
დაუფიქრდა პოეტი და სავსებით სწორად  
მოიქცა, როცა ზემომოხმობილი სტრიქო-  
ნების გამო პირველნაბეჭდი ვარიანტიდან  
ორი სტროფი ამოიღო. ეს ფაქტი კიდევ  
ერთხელ მიუთითებს მერის ციკლის ლექ-  
სების ციურ-ღვთაებრივი ადრესატისადმი  
პოეტის დამოკიდებულებაზე.

ასეთია ჩემეული ხედვა „მერის“ აზ-  
რობრივი შინაარსისა. სხვას მეტს ველა-  
რაფერს ვიტყვი ქართული ლირიკული  
პოეზიის ამ ჭეშმარიტ შედეგზე, ვერ  
დავინყებ მის დაშლა-დანანევრებას, ვერც  
რითმაზე, ევფონიაზე, მეტაფორებსა თუ  
ტროპული მეტყველების სხვა სახეებზე  
მსჯელობას. ამგვარი განზრახვა უთუოდ  
გაანელებდა ამ უმშვენიერესი ლექსით  
მოგვრილ უმძაფრეს ემოციას.

## „მონასტერში – ოფელია!..“

*„შენ, გალაკტიონ, იცი,  
რა დაუდევრად ჩქარა  
ქრება ქალების ფიცი“*

მართალია, მერი შერვაშიძის სიყვარუ-  
ლის ამბავი ფსევდოლეგენდაა, მაგრამ,  
ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული  
იმის გარკვევა, თუ როგორ აისახა პოე-  
ტის დამოკიდებულება მის ცხოვრებაში  
რეალურად არსებული ქალების მიმართ.

1911 წელს გამოქვეყნდა ლექსი  
„ჰამლეტის ქნარით“, რომელსაც ეპიგ-  
რაფად წამძღვარებული აქვს: „ვუძღვნი  
მონაზონ ქალს რ-ს“ (რაისა ჩიხლაძეს).  
ლექსის პირველ ვარიანტს კი ასეთი

წარწერა ახლავს: „მხურვალე გრძნო-  
ბით ვუძღვნი მონაზონ ქალს, რაისას“.

გალაკტიონის ლექსში ის ვითარე-  
ბაა გამოხატული, რაც ჰამლეტისა და  
ოფელიას დიალოგში, როცა სამყაროს  
ბინიერებაში დარწმუნებული, გაავებუ-  
ლი დანიის პრინცი უპასუხოდ ტოვებს  
მასზე გამიჯნურებული ახალგაზრდა ქა-  
ლის გრძნობებს და უსპეტაკეს ქალწულს  
მოუწოდებს, განერიდოს ცოდვილ ნუთი-  
სოფელს, ნავიდეს მონასტერში.

ოცი წლის ჭაბუკი გალაკტიონის  
ლექსშიც არსად ჩანს აღტაცება მიძ-  
ღვნის ადრესატით. აქაც მხოლოდ მო-  
წოდებაა ახალგაზრდა ქალისადმი –  
განშორდეს, განერიდოს მინიერ სინამ-  
დვილეს, რადგან:

*ამაოა მთლად ცხოვრება,  
დრტვინავს ნუთისოფელია...  
ნადი... ნადი მონასტერში...  
მონასტერში ოფელია!...  
ტკბილი ნანა სულს უთხარი,  
უბედობა ხატს აჩვენე...  
და მაშვრალი სული, გული  
მონასტერში მოასვენე!..*

ექვსბნკარიანი ლექსის ბოლო ორ  
სტრიქონში კიდევ ერთხელ არის დაგ-  
მობილი მინიერი ყოფა და, სავარაუ-  
დოდ, მინიერი სიყვარულიც:

*მაშ, შორს მტვერი! შორს, შორს  
მინა! – ის ცის უარმყოფელია...  
ნადი, ნადი მონასტერში!...  
მონასტერში ოფელია!*

არ არის გამორიცხული, ამ ლექსში  
ირონიაც იყოს. ჯერ ერთი, არავითარ  
მონაზონი რაისა ჩიხლაძე არ ყო-  
ფილა და არც არავითარი „მხურვალე  
გრძნობა“ არ არის გამჟღავნებული მის  
მიმართ, და მეორე, მთელ საქალეთ-  
ზე გულარძილი ჰამლეტის სიტყვებს

ოფელისადმი – „მონასტერში წადი, მონასტერში“ – შექსპირისდროინდელ ლონდონში მაყურებელი მწარე ირონიად აღიქვამდა. იმჟამინდელ ჟარგონზე მონასტერი საროსკიპოს ნიშნავდა. ეს შექსპირის თხზულებათა თითქმის ყველა გამოცემის კომენტარშია აღნიშნული და საეჭვოა, არ სცოდნოდა გალაკტიონს. ასეთ ვარაუდს უფრო აძლიერებს მიხეილ ბოჭორიშვილისადმი მიწერილი: „ამას დაუმატე რაისასადმი მხურვალე გრძნობა, რომელიც არაფერს მადლევდა“. ამიტომაც საფიქრებელი, რომ ლექსში უფრო ირონია და სამაგიეროს მიგებაა (შესაძლოა, გაუზიარებელი სიყვარულის გამო), ვიდრე ტრფობის გამჟღავნება. ასეა თუ ისე, „ჰამლეტის ქნართ“ ძნელია ჩაითვალოს სიყვარულით ატაცებული ჭაბუკის მიძღვნად სათაყვანო არსებისადმი.

ორი წლის შემდეგ, 1913 წელს, თუ ნოდარ ტაბიძეს ვერწმუნებით, გალაკტიონმა კიდევ ერთი ლექსი უძღვნა რაისა ჩიხლაძეს – „სიმღერა“ („ოდესღაც, სადღაც“...). ამ ლექსშიც არ შორდება პოეტის მზერა ცის სილურჯეში ზმანებულ ქალწულს, მიწიერი ტრფობა კი საკმაოდ დაგვიანებულ, უკვე გარდასულ გრძნობადაა გამოცხადებული:

*და ვერ ვივინყებ ქალწულის სახეს  
სადღაც, ოდესღაც ფიქრში  
ზმანებულს,  
შემდეგ ახდენილს სინამდვილეში,  
მაგრამ საკმაოდ დაგვიანებულს.*

არის კიდევ ერთი ლექსი – „რა ვქნა?“ (1912 წ.), რომელიც ეძღვნება „თავადის ასულს ზ-ს“. ამ ლექსსაც არაფერი აქვს საერთო ჩვეულებრივ სატრფიალო ლირიკასთან. ყმანვილი პოეტი ქალს ამუნათებს: „აბა, როგორ შეგიყვარო?..“:

*სულ სხვა გრძნობა მწამლავდა  
და სულ სხვა ფიქრი მაკვნესებდა:  
გრძნობა, რომ ეს სიყვარულიც  
სიძულვილით შეიცვლება  
და ფიქრი, რომ სიყვარული  
მუდმივად არ შეიძლება.*

ოლია ოკუჯავასთან თანაცხოვრება პიროვნულ ტრაგედიად ექცა გალაკტიონს. პირად წერილებში გამოთქმულ ნაზ გრძნობებს, გალაკტიონის მხრივ, არცთუ იშვიათად ენაცვლება გაბრაზება, ეჭვიანობა, მიტოვებულობის განცდა, რომელსაც მიმტვევებლობის მცდელობაც ახლავს თან. ამგვარი დამოკიდებულება მას შემდეგ იწყება, რაც ოლია 1916 წლიდან 1921 წლის მასამდე მოსკოვში დარჩა. სამშობლოში დაბრუნებულ გალაკტიონს, ჩანანერების თანახმად, უმძიმესი განცდები იპყრობს და, თუ მას ვერწმუნებით, არც თუ უსაფუძვლოდ ეჭვიანობს უცხოეთში დარჩენილი ექსტრაორდინარული ქცევის ქალბატონზე.

რაისა ჩიხლაძისადმი მიძღვნილი ლექსების მსგავსად, არც იმ ლექსებში ჩანს დიდი გრძნობა და გატაცება, რიმლებიც ოლია ოკუჯავასადმი მიძღვნად არის მიჩნეული. ასეთად სამი ივარაუდება. პირველი მათგანი – „ორი ზღვა შეხვდა ერთიმეორეს“ – 1927 წლის კრებულში გამოქვეყნდა და ავტოგრაფულ ხელნაწერზე გალაკტიონის მიწინაერის თანახმად, ეძღვნება ოლ-ოლს (ოლია ოკუჯავას), რომელიც იმ ხანად მოსკოვში ცხოვრობდა. პოეტი ლექსს 1917 წლით ათარილებს. თუ ასეა, მაშინ რატომ არ შევიდა ეს ლექსი „არტისტულ ყვავილებში“? რაც მთავარია, ლექსის შინაარსი არანაირად არ გულისხმობს რაიმე გრძნობის გამოხატვას მიძღვნის ადრესატისადმი. ლექსი, ფაქტობრივად, ეძღვნება ორ დიდ ინგლისელ პოეტს – ბაირონსა და შელის.

ის დანერგა ღია ბარათზე, რომელიც წარმოადგენს რეპროდუქციას ფერწერული ტილოსი „ბაირონი და შელი“. ორ ზღვაში, რომელიც ერთმანეთს შეხვდა, ეს ორი პოეტი იგულისხმება:

*ორი ზღვა შეხვდა ერთი მეორეს  
ერთი მრისხანე, მეორე – მშვიდი  
მათ აღტაცებით გაიმეორეს  
მწუხარე ლოცვა ძველი სინშიდის.*

კიდევ ორი ლექსის შესახებ არის გამოთქმული ვარაუდი, რომ ოლია ოკუჯავას უნდა ეძღვნებოდეს. ერთი გახლავთ „უკანასკნელი მატარებელი“ და მეორე – „სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნდა“. პირველი მათგანი „უკანასკნელი მატარებელი“, როგორც დავით წერედიანი დაასაბუთა, „ლიტერატურული წარმოშობისა და... ოღონდ ოკუჯავას გადასახლებასთან შეხება არ უნდა ჰქონდეს“ (დ. წერედიანი, „განშორების მეცნიერება“, გალაკტიონოლოგია V, 2010, გვ. 159-166), რაც შეეხება მეორე ლექსს – „სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნდა“ – თუ ამ ლექსში 1936 წელს ოლიას დაპატიმრება და მასთან განშორება იგულისხმება, მაშინ ის მხოლოდ ფაქტის მშვიდი (არ მინდა ვთქვა, გულცივი) კონსტანტაციაა: „გაჰქრა! წინანდელი – ჩავაქროთ სანთელი“, ასე მთავრდება ეს მცირე ზომის ლექსი.

ასე რომ, გალაკტიონის პოეზიაში პრაქტიკულად არ იძებნება ლექსი, სადაც რეალურად არსებული ქალისადმი ისეთი მხურვალე გრძნობა იყოს გაცხადებული, როგორი სულიერი ეგზალტაციაც ჩანს მერი/ღვთისმშობლის ციკლის ლექსებში. ალექსანდრ ბლოკის მსგავსად, გალაკტიონი უპირატესობას წარმოსახულს ანიჭებს. მათთვის ეს ღვთაებრივი ილუზიაა. ასე რომ, გალაკტიონის ფრაზა „ჩვენ სივრცეებში ვართ თანაბარი, პლადინები ერთი

იმედის“ რუსი პოეტის მიმართ მხოლოდ პატივისცემის ნიშნად არ არის ნათქვამი. როგორც ზემოთ ითქვა, აქ სულიერი და თემატური ერთობა იგულისხმება. არც ისაა შემთხვევითი გალაკტიონი საკუთარ თავსა და ბლოკს პალადინებს რომ უწოდებს. პალადინები, შუა საუკუნეების ევროპელი რაინდები, ფანატიკურად ერთგულნი იყვნენ რაიმე იდეის ან პიროვნებისა. ბლოკისა და გალაკტიონის შემთხვევაში ასეთი ერთგულება „საღვთო ტრფიალებაა“.

ამგვარი პალადინობა ალექსანდრ ბლოკსა და მის მეუღლეს ტრაგედიად ექცათ. ბლოკი მინიერ ქალში ღვთისმშობელს ეძიებდა, პირველ რიგში, ჯვარდანიერულ ცოლში – ლუბოვ მენდელეევაში (ამიდეით გატაცებული სხვა ქალებსაც არაერთხელ გაუმიჯნურდა). ლუბა ჩვეულებრივი მინიერი ქალი იყო და ქმარს სასიყვარულო თავგადასავლებში დიდად არ ჩამორჩებოდა. ალექსანდრ ბლოკი იმდენად იყო შეპყრობილი საკუთარი ილუზიით, რომ, როცა მისმა ცოლმა სხვა მამაკაცისგან ბავშვი გააჩინა, ეს უმანკო ჩასახებად მიიჩნია, მერე კი, როცა ეს ბავშვი რვა დღისა გარდაიცვალა, გულდათუთქულმა მწუხარე ლექსი დაწერა – „ბავშვის სიკვდილზე“ („На смерть ребенка“).

ვერც გალაკტიონმა ააწყო პირადი ცხოვრება. ჩანანერების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სამივე ცოლთან ურთიერთობა სატანჯველად ექცა. იმდენად იყო „სხვა სივრცეებით“ გატაცებული, რომ მინიერი ქალები მის პოეზიაში არათუ გამოძახილს ვერ პოულობდნენ, საზოგადოების ნაწილმა არც კი იცოდა, ჰყავდა თუ არა ცოლი პოეტს. გრიგოლ რობაქიძემ 1931 წელს დატოვა საბჭოთა კავშირი. გალაკტიონი ამ დროისათვის უკვე საყოველთაოდ აღიარებული პოეტია, „ცისფერყანწელთა“ ორდენის მეთაურს კი უცოლო ჰგონია.

რობაქიძე უცხოეთში დანერს: ცოლიანი გალაკტიონი ვერ წარმომიდგენიაო. აკაკი განწერელისა უთქვამს ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლებისთვის გალაკტიონის შესახებ: „როგორი წარმოსადგენია პოეტი კაცი, რომელსაც არასოდეს ქალი არ ჰყვარებია!“ (ეს ფაქტიც დავით წერედიანის ზემოთ მოხმობილი წერილიდან მომაქვს).

რაც შეეხება გალაკტიონის განცხადებას – ბლოკის მერისთან შედარებით, ჩემი მერი უფრო მინიერიო – ამ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ ის ასპექტი მერის ციკლის ლექსებისა, სადაც, გალაკტიონთან, „საზოო მიჯნურობის“ მეშვეობით, ეპოქის ნიჰილისტური სულისკვეთება წარმოჩინდება. სხვაგვარად შეუძლებელია, დავეთანხმოთ მას. ალ. ბლოკთან, როგორც ჭეშმარიტ თეურგთან, არ არის დაეჭვება სამყაროსეულ წესრიგსა და ჰარმონიაში. რაც შეეხება ბლოკისეულ ილუზიას მინიერ ქალში ღვთისმშობლის ხატის ძიებისა, ამგვარი რამ უცხოა გალაკტიონისათვის. რეალურად არსებული ქალი და მინიერი ტრფობა არასოდეს გამხდარა გალაკტიონის პოეტური შთაგონების წყარო.

„გალაკტიონის პოეზიაში იშვიათად თუ გაიღვავებს კონკრეტული რეალიები, ბიოგრაფიული დეტალები, იმდენად იზურება ისინი წარმოსახვის ნისლით“ (სოსო სიგუა). სწორედ ამ წარმოსახულ ტრფობას ენიჭება უპირატესობა „მერის“ ავტორის შემოქმედებაში.

გალაკტიონი რთული ნატურაა. როგორც ჭეშმარიტი სიმბოლისტიკისთვის, მისთვის მქრქალია საზღვარი ემპირიულსა და მეტაფიზიკურ სინამდვილეს შორის. სწორედ ამიტომ ვერ იქცა რეალურად არსებული ვერც ერთი ქალი გალაკტიონის პოეტური მუხის შთაგონებად. მიზეზი არა მარტო გარეგან ფაქტორებში, ყოფით ურთიერთობაშია საძიებელი, არამედ, პიროვნების შინაგან სულიერ წყო-

ბაშიც, რამაც, პოეტის მსოფლგანცდაც განაპირობა. ყველა მკვლევარი ერთხმად აღნიშნავს ვლადიმერ სოლოვიოვის შესახებ, რომ „სოფია“ მას უძირო კოსმიურ ლაჟვარდში ეცხადებოდა და ამ მისტიკურმა სახემ შეაფინროვა მის პოეზიაში რეალურად არსებული ქალის სახე. გალაკტიონთან მით უფრო. ის მთლიანად ეძლეოდა უძირო ზეცას, ცის სილურჯეში წარმოსახულ ცისფერ ქალწულს; იქ პოულობდა მისთვის არა მხოლოდ ასე ძვირფას ინტიმურობას, რასაც მოკლებული იყო რეალობაში, არამედ ტრფობის ალერსს, მშვენიერსა და ზეალმტაცს – ღვთაებრივს. გალაკტიონის მერის არ ჰყავს რეალური პროტოტიპი. არც ერთი ქალბატონი ამ როლისთვის არ გამოდგებოდა, მათ შორის არც უმშვენიერესი მერი შერვაშიძე. ხომ გახსოვთ გალაკტიონის სიტყვები: „ო, უბრალო ხმებისთვის არასდროს არ მეცალა“. არც მინიერი ქალბატონების შესამკობად მოუცლია ოდესმე.

გალაკტიონს სავსებით შეეფერება მისივე სიტყვები: „მას სული ჰქონდა უხვად ციური“. არსებითად იგივე თქვა ალექსანდრ ბლოკზეც („ჩვენ სივრცეებში ვართ თანაბარი...“). ორივე სხვა სივრცეების ბინადარი იყო. მათ ისეთი ციურ-ღვთაებრივი იდეალი შექმნეს, რომელიც მინიერ რეალობაში არ არსებობდა, ოღონდ, ბლოკისაგან განსხვავებით, გალაკტიონს არც უძებნია იგი.

**„სული ვედრებით  
განაოცები“  
(„სილაჟვარდე ანუ  
ვარდი სილაში“)**

XX საუკუნის დასაწყისის ეპოქალური სულიერი კრიზისი კიდევ უფრო გააღრმავა პირველი მსოფლიო ომის საშინელებამ, მანამდე არნახულმა სისხლისღვრამ,



„გრიგალმა“, რომელმაც გაიტაცა „ნი-თელი“ ლერნი, – „უმეცარმა საუკუნემ“, როგორც ჩვენმა პოეტმა მოგვიანებით უწოდა უღმერთობის ეპოქას. სწორედ ამიტომ ღვთისმშობლის ხატებას განსაკუთრებული, წინამორბედთაგან თუ თანამედროვეთაგან განსხვავებული როლი ეკისრება გალაკტიონის შემოქმედებაში. იგი არა მარტო ცენტრალური და შთამბეჭდავი სახეა გალაკტიონის პოეზიისა, არამედ, როგორც ითქვა, მისი მეშვეობით და მასთან მიმართებით არის გამოხატული გალაკტიონის მსოფლგანცდა, მისი მრწამსი – რწმენაც და სკეპსისიც, დამოკიდებულება ეპოქისა და გარემომცველი სინამდვილისადმი. „როგორ შევიძლოთ უღვთისმშობლობა?“ – ამ სიტყვებში ხომ ეპოქის ჩივილი და სატკივარი ისმის, ნიცმესეული „ღმერთის სიკვდილით“ გამოწვეული და არა მხოლოდ...

ღვთისმშობლისადმი მიმართვით იწყება „არტისტული ყვავილების“ კიდევ ერთი შედეგრი „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“:

*დედაო ღვთისავე, მზეო მარიამ!  
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,  
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია  
და შორეული გზის სილაჟვარდე.*

სათაურში, რა თქმა უნდა, არის პოეტური ეკვილიბრისტიკა ევფონიის სასარგებლოდ, მაგრამ ლექსის სათაურად გატანილი სტრიქონი, კეთილხმოვანებასთან ერთად, იმთავითვე ღრმა შინაარსით არის დატვირთული.

წინო ნაკუდაშვილი ნარკვევში „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“ (ჟ-ლი „ლიტერატურა და ხელოვნება“, № 5, 1992 წ.) საგანგებოდ მსჯელობს გალაკტიონის არქივში აღმოჩენილ, თხზულებათა მე-7 ტომში დასტამბულ ლექსზე – „სილაში ვარდი“.

„სილაში ვარდი“ უთარილოა. აშკა-

რაა, ის „სილაჟვარდის...“ შექმნამდე დანერვილი. გალაკტიონის პოეზიის დამფასებელი მკითხველი მას ძნელად თუ უწოდებს ლექსს. სიმარტივის გამო მისი შინაარსის გადმოცემა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. პოეტი ხედავს ვარდს, რომელიც სილაში აგდია:

*ის ქარიშხალს არ მოუწყვეტია:  
არა, ის მშობელ ბუჩქს თავისთავად  
მოსწყდა და მტვრიან გზაზე დაეცა.  
ალარ უღიმის ეხლა მზე ყვავილს  
ნება აქვს ზეცას ის სულ დააჭკნოს  
ბრბოსაც ნება აქვს, ფეხით  
გათელოს.*

როგორც ზემოთ ნახსენები ნარკვევის ავტორი აღნიშნავს, „ეხლა ძნელი სათქმელია, ცალკე ნაწარმოებად იყო ის ჩაფიქრებული, თუ საანალიზო ლექსის („სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“ – ა.გ.) ცენტრალური მეტაფორული სახის ავტორისეულ კომენტარად“. ფაქტი ერთია, მე-7 ტომში დაბეჭდილი „სილაში ვარდი“ აშკარად გვეხმარება „სილაჟვარდის“ აზრობრივი შინაარსის ამოკითხვაში. ნ. ნაკუდაშვილის ვრცელი ანალიზი საკმაოდ საინტერესო და სარწმუნოა. ჩემი მხრივ, მინდა, ცოტა რამ დავამატო ლექსის ცალკეული სახე-სიმბოლოსა და მათი სახისმეტყველებითი მნიშვნელობის შესახებ, რაც, ვფიქრობ, დამატებით არგუმენტს შესძენს ლექსის აზრობრივი შინაარსის წარმოჩენას.

„სილაში ვარდი“ რა თქმა უნდა, ვერაფერს შემატებდა გალაკტიონის სახელს, რომ არ შექმნილიყო „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“. ლირიკული სუბიექტი აქ უკვე თავადაა მშობელს („მშობელ ბუჩქს“) მოწყვეტილი ვარდი – ვარდი სილაში – რომლის ოცნება ცის სილაჟვარდისაკენ არის მიქცეული. ლექსში სახეობრივი აზროვნება რთულდება, მეტაფიზიკური განზომილებები, პიროვნების სულიერი კრიზისის თემა

და ამ ვითარებიდან თავდახსნის ნადი-  
ლი გამოსჭვივის. ძნელი მისახვედრი  
არ უნდა იყოს, რომ ვარდი, რომელიც  
მონყდა „მშობელ ბუჩქს“, ღვთიურო-  
ბას მონყვეტ-მოცილებულ, სანუთრო-  
ში გადმოგდებულ ადამიანს განასახი-  
ერებს, ბრბო – საზოგადოებას, სადაც  
ფეხქვეშ ითელება ყველაფერი.

ვარდი და სილა ანტითეზაა, ისე-  
თივე ანტითეზა, როგორც ცა და მი-  
წა, ღვთაებრივი და მიწიერი ან, ვარდი  
და ეკალი, გნებავთ, „ქება ქებათაჲს“  
„შროშანი და ეკლოვანი“. „მე – ყუავი-  
ლი ველისა და შროშანი ღელეთაჲ და  
ვითარცა შროშანი შორის ეკალთა“, –  
ნათქვამია „ქებათა ქებაში“.

მოგვიანო ქრისტიანული გააზრებით,  
შროშანი, ისევე როგორც ვარდი, ღვთის-  
მშობლის სახე-სიმბოლოა, ეკლოვანი კი  
ემპირიული სინამდვილე. ამიტომ არ უნდა  
გავიკვირდეს, რომ ვენის ნაციონალურ  
ბიბლიოთეკაში დაცული ასკეტურ-ჰო-  
მილეტიკური კრებულის (1160 წ.) თა-  
ნახმად, „ქებაჲ ქებათაჲ ღვთისმშობლი-  
სადმი მიძღვნილ ხოტბადაა მიჩნეული  
ქართველი მთარგმნელის მიერ და ასეა  
დასათაურებული: **„ქებაჲ ქებათაჲ, შესხმაჲ  
წმიდისა ღმრთისმშობლისაჲ ბრძენისა  
სოლომონისგან“**.

ვარდისა და ეკლის დაპირისპირება  
ბიბლიურ წიგნებში (და აქედან სასუ-  
ლიერო მწერლობაში) შეიცავს მიწიე-  
რისა და ზეციურის ანტინომიურ ოპო-  
ზიციას. გალაკტიონს გულს უკლავს  
ეს ანტინომიური ოპოზიცია, რომელიც  
მასთან ვარდისა და სილის მეშვეობით  
არის გამოხატული. ნანვიმარი სილა  
– მიწიერ სინამდვილეს, დამცრობილ,  
უღვთო, უღვთისმშობლო ეპოქას გა-  
ნასახიერებს და ამაშია ის ტრაგიზმი,  
რომლითაც გაჯერებულია ეს ლექსი,  
მით უფრო იმ პოეტისათვის, რომელიც  
აცხადებს: „მამ, შორს მტვერი, შორს,  
შორს მიწა, ის ცის უარმყოფელია“.

ვარდისა და სილის სიმბოლიკაზე  
მსჯელობისას, „აბო ტფილელის წამე-  
ბის“ გახსენებაც შეიძლება, სადაც აბოს  
შესახებ ნათქვამია: „ხოლო ქრისტემან  
ისმაიტელთა შორის, ვითარცა ვარდი  
ეკალთაგან გამოგარჩია“. აგიოგრაფიულ  
თხზულებაში ნახსენებ ეკალს იგივე ფუნ-  
ქცია აქვს, რაც გალაკტიონის ლექსში  
სილას. ეკალი თუ სილა ურწმუნოების,  
ხოლო ვარდი ურწმუნოებით გარშემორ-  
ტყმული ქრისტიანის სიმბოლოა.

მართალია, იოვანე საბანისძის თხზუ-  
ლებაში ვარდს შედარების ფუნქცია აქვს  
და აბო ტფილელს მიემართება, მაგრამ,  
საზოგადოდ, ქრისტიანულ სახისმეტყვე-  
ლებაში ვარდი ქრისტესა და ღვთისმშობ-  
ლის სიმბოლოს წარმოადგენს.

ვიკტორ ნოზაძე „ვეფხისტყაოსნის“  
ფერთამეტყველებაში“ ამბობს: „ქრის-  
ტიანობამ ვარდს საპატიო ადგილი მი-  
ანიჭა, ვარდი დასახა ქრისტეს სიმბო-  
ლოდ და ვარდებით შემკულ ხატებს ხა-  
ტავდნენ მხატვრები“.

ღვთისმშობლის სიმბოლიკასთან და-  
კავშირებითაც, ისევე ვიკტორ ნოზაძე  
უნდა დავიმონწილო: „ეკლესიაში წმინდა  
ქალწული გამოსახულია, ვითარცა ვარ-  
დი და ხატებს მისტიკური ვარდებით ამ-  
კობდნენ. დანესდა ვარდთა დღეობები,  
რომელსაც როსალია, როზალია ერქვა“.

გალაკტიონის სიმბოლისტურ შედეგ-  
რში – „სილჟვარდე ანუ ვარდი სილა-  
ში“ – ასოციაციებითა და მინიმუმებით  
არის გადმოცემული უღმერთო ყოფით  
დაღლილი პოეტის სულიერი კრიზისი  
და სკეპსისი:

*შეხედე! დასტკები! ჩემი თვალები  
წინათ რომ ფეთქდნენ ცვრებით,  
იებით,  
ლამენათევი და ნამთვრალევი  
სავსეა ცრემლთა შურისძიებით!  
დასტკები! ასეა ყველა მგოსნები?  
შენს მოლოდინში ასეა ყველა?*

სული, ვედრებით განაოცები,  
შენს ფერხთქვეშ კვდება,  
როგორც პეპელა.

აქაც, ისევე როგორც „მერის“ შემთხვევაში, გალაკტიონი წუხს, რომ ვერ გახდა ღირსი ღვთისმშობელთან სულიერი კავშირისა („სული ვედრებით განაოცები, შენს ფერხთქვეშ კვდება, როგორც პეპელა“).

გალაკტიონი საანალიზო ლექსის ერთ ადრეულ ვარიანტში წერს: „დედაო ღვთისავე, დედოფალო, წმინდა მარიამ,/ როგორც მზის ნათელს მოკლებული სილაში ვარდი,/ ჩემი ცხოვრება მარტოობა და სიზმარია,/ ჩემთვის მკვდარია, დამჭკნარია ცის სილაჟვარდე“. ლექსის საბოლოო ვარიანტში კი ნათქვამია: „დედაო ღვთისავე, მზეო მარიამ!/ როგორც ნანვიმარ სილაში ვარდი,/ ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია/ და შორეული ცის სილაჟვარდე“.

როგორც ვხედავთ, ადრეულ ვარიანტში აშკარადაა გაცხადებული ღრმა სკეპსისი და პესიმიზმი, გვიანდელ ვარიანტში კი შედარებით შემსუბუქებულია იგი – მაინც კიაფობს, მაინც ბუუტავს მცირე იმედი, უსასოო ყოფისგან თავისდაღწევისა – „შემოილამებს მთის ნაპრალები და თუ როგორმე ისევ გათენდა...“ ეს მოკიაფე იმედი პოეტს იმის სურვილს აღუძრავს, რომ უღმერთო ყოფით სულიერად დაღლილმა თავშესაფარი ისევ ღვთისმშობლის წიაღში ეძიოს („ლამენათევი და ნამთვრალევი დაღლილ ქალივით

მივალ ხატებთან“). ამის მიმანიშნებელია ლექსის მთლიან კონტექსტში შედარებით ოპტიმისტური ფრაზა: „შემოიჭრება სიონში სხივი და თეთრ ოლარებს ააელვარებს“. უკვე აღარაა ნათქვამი – „ჩემთვის მკვდარია, დამჭკნარია ცის სილაჟვარდე“. მართალია, „სილაჟვარდეში...“ უპირატესად ღვთაებრივ ნათელს (მზის ნათელს) მოკლებული, ურწმუნოთა შორის მოქცეული („როგორც ნანვიმარ სილაში ვარდი“) პიროვნების განცდაა გამოხატული, მაგრამ, როგორც ითქვა, პოეტის გულში მაინც ჭიატობს იმედის სხივი.

## „სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი“

„სილაჟვარდის...“ გამოქვეყნების შემდეგ დაწერილ ლექსშიც არ შორდება პოეტის მზერა ღვთისმშობელს, ლოცვად მუხლმოყრილი დგას მის წინაშე და შეჰღალაღებს: „მზეო – ღვთისმშობელო, მზეო – ნებიერო“. ეს უკვე იმ ლექსშია გაცხადებული, „არტისტული ყვავილების“ გამოცემის შემდეგ რომ დაიბეჭდა ჟურნალ „გვარდიელის“ 1921 წლის იანვრის ნომერში სათაურით – „1920“.<sup>1</sup> ამ ლექსის გაცნობის შესაძლებლობა მხოლოდ ახლახან მოგვეცა გალაკტიონის კვლევის ცენტრის მიერ მომზადებულ თხზულებათა მეორე ტომის კომენტარების მეშვეობით. მერი/ღვთისმშობელი აქაც პოეტის განუ-

<sup>1</sup> გალაკტიონმა მერე ამ ლექსის („1920“) ახალი ვერსია შექმნა, რომელიც „მზეო თიბათვისას“ სახელით ყველასათვის კარგადაა ცნობილი. ლექსის მეორე რედაქციასთან დაკავშირებით არსებობს გალაკტიონისეული მისტიფიკაცია, ამ ლექსით გავაცვილე ოლია რუსეთსო. როგორც თეიმურაზ დოიაშვილმა დაასაბუთა, „გალაკტიონს რეალური შემთხვევა არ ჰქონია, იგი (ოლია – ა.გ.) მოსკოვს გაეცილებინა“. ასევე გასაზიარებელია თ. დოიაშვილის მოსაზრება, რომ „1920“-ში რუსეთიდან მომდინარე საფრთხე მოიაზრება, თუმც, მგონია, რომ გალაკტიონის ლექსის არც პირველ და არც მეორე ვარიანტში არ იგულისხმება კონკრეტული პიროვნება. ლექსი უხვადაა დატვირთული ქრისტიანული სახე-სიმბოლოებით და ასევე სიმბოლისტათვის დამახასიათებელი ორმაგი თუ სამმაგი კოდირებით. ამდენად, ამ ლექსის განხილვა ცალკე თემაა და სამომავლოდ გადავლოთ.

შორებელი თანამგზავრია: „იგი **თანამგზავრი** ხშირად მეჩვენება./ იგი მწუხარება ხშირად დამალონებს“ („1920“). თუ ვის გულისხმობს პოეტი „თანამგზავრში“, ამას უკვე სხვა ლექსი გვატყობინებს, რომელიც კიდევ უფრო გვიან, 1924 წელს დაინერა.

*გადაქცეული მწარე გრძნობებად  
უკანასკნელი თანამგზავრი  
მემშვიდობება.  
დავრჩები მარტო, სრულიად მარტო.  
ო, შემოდგომის გვიანო ვარდო,  
მემშვიდობება,  
მემშვიდობება –  
სალამო იგო, აღტაცების და  
დამშვიდების,  
უკანასკნელი თანამგზავრი ჩემი  
დიდების.  
(„უკანასკნელი თანამგზავრი“)*

„უკანასკნელი თანამგზავრის“ ავტოგრაფს, რომელიც გალაკტიონს ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას საიუბილეო ბუკლეტზე დაუწერია (1924 წლის 9 მარტი), ახლავს მინაწერი: „ჩვენ ვართ საქართველოს ახალი ნიგილისტური საუკუნის უკანასკნელი თანამგზავრები“. ეს მინაწერი კიდევ უფრო ცხადყოფს ლექსის აზრობრივ შინაარსს. გალაკტიონი მკაფიოდ აფიქსირებს საკუთარი ეპოქის, ამავედროულად, საკუთარი პოეზიის დამოკიდებულებას ნიჰილისტური („ნიგილისტური“) მსოფლგანცდის გამოხატვისადმი, რომელიც ამ დროისთვის კომუნისტური ხელისუფლების მეხოტბეთა ხბოს აღტაცებამ შეცვალა, სადაც უკვე აღარავინ ფიქრობს რწმენა-სასოებასა და სულიერებაზე, რამეთუ პიროვნებას, ინდივიდს ფასი დაუკარგავს და ჯოგად ქცეულ მასაში ათქვეფილა. „უკანასკნელი თანამგზავრი“ ამ მომენტსაც მოიაზრებს. აქაც გვხვდება ვარდი – ღვთისმშობლის სიმ-

ბოლო – ოლონდ შემოდგომის ვარდი. შემოდგომის ჭკნობაშეპარული ვარდით პოეტი მიგვანიშნებს, რომ ყავლი გასვლია იმ ციურ-ღვთაებრივ იდეალს, რომელიც მისი სულიერების საყრდენი და მსასოებელი იყო. დამთავრდა ოცნება ციურ-ღვთაებრივზე და პოეტიც საჯაროდ ემშვიდობება თავისი „დიდების თანამგზავრს“ – მერი/ღვთისმშობელს („გადაქცეული მწარე გრძნობებად უკანასკნელი თანამგზავრი მემშვიდობება“).

ეპოქალურმა სარწმუნოებრივმა ნიჰილიზმმა, არც გალაკტიონის მშობლიურ ქვეყანას აუარა გვერდი. მეტიც, სოციალურმა სიძულვილმა და მისმა თანამდევმა ათეიზმმა განსაკუთრებით იმძლავრა ჩვენში. ამ მხრივ, XX საუკუნის პირველი ორი ათწლეულის ევროპას თუ საქართველოს სავსებით მიესადაგება განსაზღვრება – „უმეცარი საუკუნე“. სწორედ ამ „უმეცარი საუკუნის“ მისამართით გაისმის უპასუხოდ დარჩენილი მწვავე ამოძახილი: „ნუთუ არასდროს თქვენთან, იქ არ ყოფილა ნაზარეველი“ („სამშობლო შავი ლიუციფერის“). თუ მაინც დავიწყებთ პასუხის ძიებას, ის კიდევ უფრო უმწვავესია: „თუ გინდა ჯვარს ეცვი, საშველი არ არის, არ არის, არ არის!“

არ არის იოლი ამგვარ „უმეცარ საუკუნეში“, უღმერთო ყოფაში ცხოვრება. ეს უღმერთობა და ურწმუნოება მთელი სიმძაფრით აისახა კიდევ „ლურჯა ცხენებში“. ოლონდ ეგ არის, უმძაფრესი სარწმუნოებრივი ნიჰილიზმის შემცველი ლექსი, ძნელია ამტკიცო, რომ პოეტის მრწამსზე მეტყველებს. მიზანი საფიქრებელია სრულიად სხვა – ურწმუნოთა წარმოსახვაში არსებული ჯოჯოხეთური საშინელების ჩვენება, მით უფრო, რომ პოეტი სხვა ლექსში მკაცრად ემიჯნება ამ უღმერთო გარემოს – „სადმე ყრუ ადგილს დავესახლები“

და რწმენაგაუზარავ ეპოქასა თუ საუკუნეს შენატრის. სხვაგვარად რატომ იტყოდა საკუთარ თავზე – „სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი“. რაც მთავარია, ეს იმ ლექსში აქვს ნათქვამი, სადაც „ერთადერთი ნაზი დარაჯი გადიფრენს თვალწინ აჩრდილი მერის“ („გზაში“).

გალაკტიონის შემოქმედებაში წინააღმდეგობრივი ასახვა ჰპოვა იმ ნიჰილისტურმა მსოფლგანცდამ, რომელიც, პოეტის თვალთახედვით დასაბამს ჯერ კიდევ რაციონალიზმის ეპოქიდან თუ შოპენჰაუერიდან იღებს. ამიტომ არ არის შემთხვევითი გალაკტიონის პოეტური ფრაზა, რომ საკუთარი თავი იმ პიროვნებად მიაჩნია, „ვინც ღამით დასწავს შოპენგაუერს“ („მაგრამ მე რა ვქნა?“).

გალაკტიონის დამოკიდებულება არც იმ პოეტის მიმართ არის უგულისყუროდ დასატოვებელი, ვისი „ყორანის“ თარგმნაც, რაღაც აუხსნელი კანონზომიერებით, წინ უსწრებდა სიმბოლიზმის წარმოშობას თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. (იგულისხმება ედგარ პოს „ყორანის“ ვაჟა-ფშაველასეული თარგმანი). ამერიკელ პოეტს სამი ლექსი უძღვნა გალაკტიონმა. მან ზუსტად ამოიცნო იმ ლექსის შინაარსი, სადაც ედგარ პომ გონების ქაღალმერთის – ათინა პალადას თავზე წამოსკუპებულ ყორანს ათქმევინა: „ალარასოდეს აღდგება მკვდარი“, რითაც მკაფიოდ მიანიშნა რწმენის სიკვდილზე. სწორედ ეს სამწუხარო დასკვნა აშფოთებს გალაკტიონს; სწორედ ამ დასკვნის გამო უწოდა ედგარ პოს პოეზიას „საშინელი“ და „განწირულთა შავი პოეზია“, თუმცა გალაკტიონის სულიერი ურვის მიზეზიც ამგვარი ნიჰილისტური დასკვნის აღიარების **თანაზიარობაში** მდგომარეობს. ეს მკაფიოდ საცნაურდება იმ ლექსში, სადაც „საუბარი ედგარ პოეზია“:

აჩრდილს **თანაზიარს** მარად

საშინელი

დასდევს განწირულთა შავი პოეზია  
(„საუბარი ედგარზე“)

გალაკტიონის მეშვეობით, ქართული შემოქმედებითი აზრი მკაფიოდ შეეხმინა იმ ნიჰილისტურ მსოფლგანცდას, რომელიც ნიცშეს შემდეგ განსაკუთრებით გაღრმავდა ევროპულ აზროვნებაში და მერე უმწვავესად აისახა შპენგლერის „ევროპის დაისში“ (ნაციონალურ საკითხთან ერთად, ნიცშეანური პრობლემატიკა და ევროპის დაისი არის კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმისის“ მთავარი თემა).

გალაკტიონი ის შემოქმედიცა, ვინც ჩვენში ყველაზე მკაფიოდ გრძნობდა ევროპული აზრის მაჯისცემას და პოეტური სიტყვით პასუხობდა მას. ეს პასუხი კი იმაში გაოხნატა, რომ, საყოველთაო სარწმუნოებრივ-სულიერი კრიზისის ფონზე, მაინც არ ეთმობოდა ზეცა, არ ეთმობოდა ღვთაებრივი რწმენა.

გალაკტიონ ტაბიძის სულიერი ნეობისათვის, ნიკოლოზ ბარათაშვილის მსგავსად, საბოლოოდ მაინც შეუძლებელია, მზერა და გულისთქმა მოარიდოს ზეციურ სივრცეს, „უდაბნოს ლურჯად ნახავერდებს“; გალაკტიონთან მაინც მძლავრობს საყოველთაო ნიჰილიზმის დაძლევის მცდელობა; ერთგული რჩება სიჭაბუკეში ნათქვამისა: „ხშირად ვოცნებობ და შევცქერი ცას, ვეძებ უხილავს“ („ხშირად ვოცნებობ“). ამიტომ არის, რომ სკეპტიციზმს, მარადიულ ღირებულებაში დაეჭვებას, „ლურჯა ცხენების“ ავტორთან, რწმენისა და სასოების ძიება ცვლის. ამგვარი გაორება ტრაგიკული სიმძაფრით აისახა მის შემოქმედებაში. არის ნუთები, როცა „მოხდება ხოლმე, ცა მიზიდავს განუსაზღვრელი“ („შემოქმედება“), მაგრამ ასევე არის მომენტი, როცა „არც

ღმერთი, არც ცა არ სწყურია გაუგებარ სულს“ („შენ და შემოდგომა“). ასეთ დროს მაინც სასოებით ფიქრობს იმ ზნეობრივ ორიენტირზე, ვინც „უცხო მხარეს გარდაიცვალა და გახელილი დარჩა თვალები“ (1919 წ.). მაცხოვრის ეს „გახელილი თვალები“ ჩვენს პოეტსა და მის მკითხველს გამუდმებით სულის მღვიძარებისკენ მოუწოდებს. ლოცვად მუხლმოყრილი პოეტი კი მაცხოვარსა და ღვთისმშობელს ქვეყნისა და რწმენის გადარჩენას სთხოვს და შეჰლაღადებს: „მზეო-ღვთისმშობელო, მზეო-ნებიერო, მზეო თიბათვისა<sup>1</sup>... იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით, ფრთებით დაიფარე – ამას გევედრები“; ამიტომ ვერ აუტანია უღმერთობა – უღვთისმშობლობა; საკუთარი სულის დავანებასაც მაცხოვრისა თუ ღვთისმშობლის წიაღში ეძიებს და ბოლომდე ერთგული რჩება შემოქმედებით გარიჟრაჟზე ნათქვამისა: „არის წმინდა პოეზია და მუსიკა არის შორი... არის საღვთო ბილიკები ამ სივრცისკენ მიმავალი“ („ხელოვნება“).

„წმინდა პოეზიის“ შემოქმედ სულიერ პილიგრიმს მაინც არ ეთმობოდა „საღვთო ბილიკები“. გალაკტიონის სულიერი განცდების გასაგებად, არა აქვს არსებითი მნიშვნელობა ლექსების ქრონოლოგიას – რომელი ლექსი რომლის შემდეგ დაინერა. მასთან, რა თქმა უნდა, არის გამოხატული რწმენა-ურწმუნოების ჭიდილი, რაც პოეტის უმძაფრესი განცდების თანამონაწილედ გვაქცევს, მაგრამ, არსებითად, მაინც იმაზე მეტყველებს, თუ რაოდენ მძაფრია ღვთაებრივისადმი სწრაფვა. მუდმივად ურწმუნოებასა და სკეპსისს დამორჩილებული პოეტი ვერ იტყოდა: „სხვა მხარეები უხსოვარ ხნიდან // მანვალეებს, მართობს და მეფერება“ („დგება შემოდგომა“). ამ „სხვა მხარეებისკენ“ „საღვთო ბილიკებით“ უნდა გაიკვლიოს გზა. ეს ბილიკი, ეს გზა სულიერი გადარჩენის შანსს იძლევა. ამ გზაზე შემდგარი პილიგრიმი, საბოლოოდ მაინც შეძლებს განაცხადოს: „**მხოლოდ მე ერთი გადავრჩი მგზავრი**“.

<sup>1</sup> „**მზეო თიბათვისა**“ არის გალაკტიონისეული პოეტური ვარიაცია ბიბლიური სახისმეტყველებიდან მომდინარე **მაცხოვრის სახე-სიმბოლოსი – „მზე სიმართლისა“**. ამის შესახებ და ასევე, თუ ვის მიემართება ფრაზა – „მას გახელილი დარჩა თვალები“, დაინტერესებულ მკითხველი უფრო ვრცლად გაეცნობა ამავე სათაურით გამოქვეყნებულ ჩემს ნარკვევში (ა. გომართელი, „ლიტერატურული წერილები და ესეები“, 2005წ.).

## ლევან ბებურიშვილი

### სამშობლოს კონცეპტი „არტისტულ ყვავილებში“

სამშობლო, მამული, ქართული ლიტერატურის ცენტრალური კონცეპტებია. სამშობლოს თემამ ახალ და უახლეს ქართულ მწერლობაში განვითარების საინტერესო გზა განვლო. ქართველ რომანტიკოსთა პოეზიაში პატრიოტული მოტივი უშუალო, გრძნობადი ფორმით გამოვლინდა. ჩვენი რომანტიკოსებისათვის სამშობლოსთან სიახლოვის უპირველესი წყარო მშობლიური ქვეყნის ბუნებაა. მათ შემოქმედებაში პატრიოტული განცდა ხშირად იჭრება ბუნების გრძნობაში და მას განუყოფლად უკავშირდება. რომანტიკულ ლიტერატურაში აგრეთვე თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ნოსტალგიის თემას. ეს არცაა გასაკვირი, რადგან თავის დროზე ქართველ რომანტიკოსთა დიდი ნაწილი 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით გადასახლებული იყო საქართველოდან და მძაფრად განიცდიდა სამშობლოს მონატრებას.

რომანტიკოსთა პოეზიაში პატრიოტული გრძნობის გამოვლენის კიდევ

ერთი ფორმაა წარსულის იდეალიზაცია, რაც არაიშვიათად უიმედობის, პესიმიზმის ნიადაგზეა აღმოცენებული. გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანების შემოქმედებაში დიდებული ისტორიული წარსულის გახსენებას ენიჭება თანამედროვეობით იმედგაცრუებული ლირიკული გმირის სულიერ ტკივილთა დაცხრომის, დაამების ფუნქცია.

XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში მამულის კონცეპტის საგანგებო აქტუალიზაცია სამოციანელთა სახელებთანაა დაკავშირებული. ილია ჭავჭავაძე 60-იანი წლების მთავარ დამსახურებად იმას მიიჩნევდა, რომ ამ პერიოდში „ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა სიტყვა „მამული“ მთელის თავის გულთ მიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობითა... ამ სიტყვამ... სამოციან წლების მოღვაწეთა მეოხებით და ღვაწლით კვლავ დაიჭირა ჩვენში კუთვნილი ადგილი, ვითარცა მზემ და თავისი სხივოსანი შუქი მოჰფინა

მთელს სივრცეს ჩვენის ცხოვრებისას“ (ჭავჭავაძე 1991: 549).

მრავალფეროვანია პატრიოტული გრძნობის განსახიერების თავისებურებები ქართველ რეალისტთა პოეზიაში. ერთი მხრივ, ისინი აგრძელებენ რომანტიკოსთა ტრადიციებს (ბუნებაში განცდილი სამშობლო, წარსულის იდეალიზაცია), მაგრამ, მეორე მხრივ, პატრიოტული გრძნობა მათ შემოქმედებაში უკვე განვითარების ახალ საფეხურს აღწევს. იგი რელიგიური შარავანდედით იმოსება („... ქვეყნად ცასა ღმრთად მოუცია მარტო მამული“). ის რაც რომანტიკოსებთან ჯერ კიდევ ემოციურ სფეროში რჩება, რეალისტებთან უკვე რაციონალიზაციას განიცდის – პატრიოტული განცდა უშუალო შეგრძნების საფეხურიდან ეროვნული პროგრამის დონემდე მალდება.

მამულის კონცეპტი სამოციანელთა შემოქმედებაში განუყოფლად დაუკავშირდა დიდაქტიკურ, მორალისტურ პლანს. ილია ჭავჭავაძის პოეზიაში პატრიოტიზმი მკვეთრად ინტელექტუალიზებულია. ილიასთან ლამის უკვე პუნქტობრივი სახითაა მოცემული და ჩამოყალიბებული ქართველის მოვალეობანი სამშობლოს წინაშე.

აკაკი წერეთლის შემოქმედებაში მამულის თემის განსახიერებისას კიდევ უფრო მეტ სიმძაფრეს იძენს მორალისტური, მამხილებელი პათოსი. აკაკის პოეზიაში ჩნდება დიდაქტიკურ საფუძველზე აღმოცენებული, მუდმივად განმეორებადი პოეტური ხატები სამშობლოსი – ჩონგური, სატრფო, ხატი, მიჯაჭვული ამირანი, ავადმყოფი და სხვ. ერთი სიტყვით, ჩვენი რეალისტების შემოქმედებაში პატრიოტული გრძნობა მჭევრმეტყველური ფორმითაა მონოდებული და იგი მთლიანად იქვემდებარებს სხვა მოტივებს.<sup>1</sup>

ილიასა და აკაკის ეპიგონების, ე. წ. დემოკრატიული პოეზიის წარმომადგენელთა შემოქმედებაში სამოქალაქო-სოციალურმა პრობლემატიკამ ერთგვარი ფულგარიზება განიცადა და იგი შიშველი პუბლიცისტიკის, მშრალი პათეტიზმის სფეროში დარჩა.

სწორედ ასეთ ვითარებაში გამოჩნდა პოეტურ ასპარეზზე გალაკტიონ ტაბიძე.

როგორც ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაშია აღნიშნული, გალაკტიონმა სიჭაბუკეშივე დაისახა მიზნად ქართულ მწერლობაში განყვეტილი რომანტიკული ტრადიციის აღდგენა. ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებაში რომანტიკული უნივერსალიზმის ფონზე სამოქალაქო და სოციალურმა პრობლემატიკამ უკანა პლანზე გადაინაცვლა. მართალია, გალაკტიონის ადრეულ პოეზიაში მოგვეპოვება სამოქალაქო ლირიკის ცალკეული ნიმუშები, თუმცა, მთლიანობაში, ისინი არ ქმნიან მისი შემოქმედების მნიშვნელოვან, არსებით შენაკადს.

უფრო მეტიც, როგორც მიუთითებენ, რომანტიკული ინდივიდუალიზმი გალაკტიონის ადრეულ შემოქმედებაში განვითარების უკიდურეს წერტილს აღწევს და მის ლირიკაში „იბადება სამშობლოს განგაუცხოების მოტივი, რომელსაც გალაკტიონამდე ქართული პოეზია არ იცნობდა... პოეტის ჭეშმარიტ სამშობლოდ ოცნება იქცევა. ოცნების შვილისათვის უცხო და მიუღებელია რეალური სინამდვილე და რეალური ქვეყანა – იბადება სამშობლოში უსამშობლობის განცდა“ (დოიაშვილი 2004: 327).

პოეტის შემოქმედებაში ეს გრძნობა განუყოფლადაა დაკავშირებული სულიერი ობლობის მოტივთან. გალაკტიონის პირველი პოეტური კრებული ლირიკული გმირი გაუცხოებულია

1 რამდენადმე განსხვავებულია პატრიოტული გრძნობის გამოვლენის თავისებურება ვაჟა-ფშაველას პოეზიაში. ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში ვაჟას მიდგომა შეფასებულია, როგორც საკითხის პოლითემატური განსახიერების გზა. იხ. (კიკნაძე 2005: 84-116).



საზოგადოებასთან, სულიერი ნავთ-  
საყუდელი ვერსად უპოვია:

*სიყმანვილეში მე ვჭკნებოდი,  
როგორც ფოთოლი,  
ობოლი ვიყავ მე მაშინაც,  
სულით ობლობი...  
მოვკვდე და გული ვის დავნყვიტო,  
ვინ დავაობლო?  
ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა  
ჩემი სამშობლო.*

ამ ლექსში („უდაბნო“) გალაკ-  
ტიონი აერთიანებს ბარათაშვილის  
შემოქმედების ორ მნიშვნელოვან  
კონცეპტს – სულით ობლობას  
და უდაბნოს. სულიერი ობლობის  
განცდა გალაკტიონთან მიდის  
განვითარების იმ წერტილამდე,  
სადამდეც ლოგიკურად უნდა მი-  
სულიყო – სამშობლოში უსამშობ-  
ლობის განცდამდე:

*და რა ვუყოთ, ბედო ჩემო, თუ  
ყოველთვის, თუ ყოველთვის  
სამშობლოსთვის შენ უცხო ხარ  
და უცხოა იგი შენთვის?*

როგორც თეიმურაზ დოიაშ-  
ვილი მიუთითებს, „უდაბნოში“  
გაცხადებული სულის კრიზისი  
გალაკტიონის ადრეულ ლირიკაში  
სამყაროსადმი სრული გაუცხოე-  
ბით მთავრდება. „გაუცხოების  
განცდა ასე ფორმულირდება: „მე  
ვდგავარ, როგორც ტყვე უცხოეთში,  
როგორც სიზმარში უცხო სიზმარი...“  
ორი შედარებით გამოსახულ ამ ფორ-  
მაში მთელი კონცეფციაა აკუმულირე-  
ბული. პოეტი „სხვა მხარეთა“ შვილია,  
სხვისი ნებით მოსული მიწიერ სინამდ-  
ვილეში, ამიტომ იგი უცხოეთის ტყვეა.  
მეორე შედარებას ამოსავალ წერტი-  
ლად აქვს კალდერონისეული ცნობილი  
მეტაფორა – „ცხოვრება სიზმარია“. თუ  
ცხოვრება საერთოდ სიზმარია, მაშინ

პოეტის ყოფნა ამ სიზმარეთში „უცხო  
სიზმრის“ არსებობას ჰგავს. მამასა-  
დამე სიზმრად განიცდება არა მარტო  
ცხოვრება, არამედ პიროვნების არსე-  
ბობაც“ (დოიაშვილი 2004: 328).

ჩვენი ამჟამინდელი ინტერესის  
სფეროში მოქცეულია საკითხი, თუ  
როგორ ხორციელდება სამშობლოს  
თემასთან „არტისტული ყვავილების“  
ლირიკული გმირის კონტაქტი; როგო-



რია სამშობლოს კონცეპტის განსახ-  
იერების თავისებურება საუკუნის პო-  
ეტურ კრებულში.

„არტისტულ ყვავილებში“ კიდევ  
უფრო მეტ სიმძაფრეს იძენს გალაკ-  
ტიონის ადრეულ ლირიკაშივე თავჩენი-  
ლი განცდა სამშობლოსთან გაუცხოე-  
ბისა, – სამშობლოში უსამშობლობის  
მოტივი („ჩემს სამშობლოში მე მოვვლე  
მხოლოდ უდაბნო ლურჯად ნახავერდე-  
ბი“, – „თოვლი“). სამშობლოსთან

გაუცხოების გრძნობის გამოვლენის თვალსაზრისით ქართულ მწერლობაში გალაკტიონს, ვფიქრობთ, გარკვეულნილად მაინც ჰყავდა წინამორბედი აკაკი წერეთლის სახით, რომლის პოეზიაშიც არაერთგზის ვლინდება სამშობლოსთან „განხეთქილების“ თემა. ამის ერთი დასტურია თუნდაც პოეტის ცნობილი ლექსი „სასონარკვეთილება“:

*ჰეი, სამშობლოვ, სხვებისთვის  
დედავ,  
ჩემთვის კი ავო დედინაცვალო!  
ვიცი, დაიბან პილატებრ ხელსა  
და იტყვი, რომ ხარ დღეს  
შენ უბრალო...*

თუმცა თუ აკაკისთან ამ გაუცხოების საფუძველი მაინც რეალურ, ცხოვრებისეულ სფეროშია საძიებელი (რამდენადაც პოეტის სასონარკვეთის მიზეზია სამშობლოსაგან მისი, როგორც ზნეობრივი წინამძღოლის, „ქვეყნის მუშის“ ღვაწლის დაუფასებლობა), გალაკტიონთან ამავე განცდას უკვე ფილოსოფიური საფუძველი აქვს მოპოვებული. ახალი ცნობიერების მქონე სიმბოლისტი ხელოვანისათვის „ჭეშმარიტი სამშობლო არის პოეზია, რომელიც ერთდროულად აბსოლუტთან ზიარების საშუალებაცაა და სინამდვილესთან „მერიგების“ მიზეზიც“ (დოიაშვილი 2004: 327). სწორედ აქაა საძიებელი პოეტის მინიერ სინამდვილესა და მათ შორის – მინიერ სამშობლოსთან გაუცხოების მთავარი მოტივი, თუმცა გალაკტიონის პოეზიაში ამ განცდის წარმომშობი არც რეალური, ცხოვრებისეული ფაქტორებია დასავინყებელი. გალაკტიონს, მთელი სიცოცხლის განმავლობაში, აკაკიზე ბევრად უფრო მძაფრად სდევდა თან სამშობლოსგან დაუფასებლობის შეგრძნება („თუ სამშობლო მაინც არ მომეფეროს, მე მოვკვდები, როგორც პოეტს შეფჰერის“ – „პოეზია უპირველეს ყოვლისა“).

ეს საყვედური სამშობლოსადმი გაისმის „არტისტულ ყვავილებშიც“:

*საქართველო!  
შენ მოვალე ხარ, რომ ნატრობდე  
ჩემს მეგობრობას  
უფრო მხურვალედ –  
ვინემ მე შენსას!  
(„ღრუბლები ოქროს ამურებით“)*

სამშობლოს თემის განსახიერებისას გალაკტიონის სიახლოვე აკაკისთან ვლინდება სხვა ასპექტითაც. აკაკის პოეზიაში სამშობლო ზოგჯერ წარმოდგენილია ბოროტი ძალების საუფლოდ, სადაც უსამართლობა და ფარისევლობა გამეფებულა, „სადაც ერთი უბედურია მხოლოდ მეორის ბედნიერებით“. აკაკის ერთ ლექსში სამშობლო ამგვარი ეპითეტებითაა დახასიათებული:

*დავაგდე მხარე ფარისევლების  
და მზაკვარების უნივერსტეტი,  
სადაც სატანა წვრილ-წვრილ  
ემშაკებს  
ჰგ ზაენის, რომ ხერხი ი  
სწავლონ მეტი.*

არც გალაკტიონისთვისაა უცხო სამშობლოს წარმოსახვა ბოროტების სავანედ, რომელიც სულს უხუთავს შემოქმედს. ლექსში „მგლოვიარე სერაფიმები“ ვკითხულობთ:

*ცხოვრება შენი იყო მწველი  
ალერსი ქალის,  
თვით ბოროტება  
საქართველოდ ნაანდაზები.*

ამ განწყობილებათა ფონზე „არტისტულ ყვავილებში“ თავს იჩენს რომანტიკული ლიტერატურის ერთ-ერთი ძირეული მოტივი – სამშობლოდან გაქცევის, სამშობლოდან გადახვეწისა. გალაკტიონს 1917 წელს მართლაც მოუხდა საქართველოს დატოვება და რამდენიმე თვით რუსეთში გამგზავრე-

ბა. პოეტურ კრებულში ეს რეალური, ცხოვრებისეული ფაქტი რომანტიზებულია – „არტისტიკული ყვავილების“ ლირიკული გმირი ტოვებს მამულს, ნავთსაყუდელის საძიებლად უცხოეთში მიემშურება:

*უცებ დადგა მაისი ნელი და  
შემპარავი!*

*ფორთოხლების რტოებში  
აზვირთდნენ ნიავეები;  
რადგან არ მაქვს სამშობლო,  
რადგან არ მყავს არავინ,  
ისევ უცხოეთისკენ  
მიმაფრენენ ნავეები!*

(„მზადება გასამგზავრებლად“)

ლირიკული გმირის უცხოეთში გადახვეწა გამართლებულია იმ მოტივითაც, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება თავისი ბუნებით უნივერსალურია და მას ყველგან მოეპოვება დამფასებლები, თაყვანისმცემლები. ამ აზრით, ნამდვილი პოეტის სამშობლო მთელი მსოფლიოა:

*ოჰ! ენკენისთვე ეპარება*

*დარდივით მდელოს!*

*მზე სად არ არი?*

*მაინც, ძვირფასო, ჩემს*

*სამშობლოს და სამფლობელოს*

*არ აქვს საზღვარი!*

(„პოეტი ბრბოში“)

თუმცა სამშობლოდან გადახვეწილი ლირიკული სუბიექტი საბოლოოდ ვერც უცხოეთში ახერხებს სულიერი სიმშვიდის, სიმყუდროვის მოპოვებას. მას მაინც ეუფლება ნოსტალგიის, სამშობლოს მონატრების ფაქიზი გრძნობა. ვფიქრობთ, სწორედ ამ განცდაზეა მინიშნებული ლექსში „ძველი რვეულიდან“, რომელიც კრებულში წინ უძღვის სამშობლოში დაბრუნების ციკლის ნაწარმოებებს:

*მიყვარს შენი სახელის  
უცხოეთში ხსენება,  
მოგონება ღრუბლების – მზე  
რომ ჩაესვენება.*

*რალაც შორეულია შენი*

*კარგი სოფელი,*

*ალუბლების ღიმილი და მზე*

*დაუნდობელი.*

*და ანთებულ თეატრში, სადაც*

*მე ვარ პირველი,*

*ხშირად აშრილდება*

*ტირიფების მწერვალი.*

*და მეძახის, მეძახის! და არ*

*არის საშველი!*

*და დაქრიან ფარდებში*

*ოცნებებათ აშლილი.*

ლექსი სიმბოლისტური პოეტიკის პრინციპებითაა შექმნილი და, ამდენად, იდუმალებითაა შემოსილი. აშკარაა მხოლოდ ის, რომ იგი მონატრების თემას ეძღვნება, თუმცა ნაწარმოებში დაკონკრეტებული არ არის, ვინაა ავტორის მიმართვის ობიექტი, ვისი „სახელის ხსენება“ უყვარს უცხოეთში მყოფ ლირიკულ გმირს. ტექსტში მოცემული რეალიების გათვალისწინებით, ვცადოთ იმის დადგენა, ვინ უნდა იგულისხმებოდეს ნაცვალსახელის – „შენ“ – მიღმა.

ლოგიკურად, უცხოეთში მყოფ ლირიკულ სუბიექტს შეიძლება აგონდებოდეს ან ძვირფასი პიროვნება (დედა, სატრფო, მეგობარი და ა.შ.), ანდა – საკუთარი სამშობლო, მშობლიური სივრცე. პოეტის მიმართვის ტონი, უშუალობა, ერთი შეხედვით, გვაფიქრებინებს, რომ ლექსს კონკრეტული ადრესატი უნდა ჰყავდეს, თუმცა, როდესაც გავითვალისწინებთ იმას, თუ რა აგონდება, რა ენატრება ლირიკულ გმირს („ღრუბლები“, „სოფელი“, „ალუ-

1 შდრ.: „როდესაც მე უბრალოს დიად აზრს ვანიჭებ, ჩვეულებრივს იდუმალებით ვმოსავ, ნაცნობს შეუცნობლად გადავაქცევ... მე სამყაროს ვარომატიკულეზ“ (ნოვალისი).

ბლების ღიმილი“, „დაუნდობელი მზე“, „ტირიფების შრიალი“), მივალთ დასკვნამდე, რომ ნაწარმოებში სწორედ სამშობლოს მონატრების თაობაზე უნდა იყოს საუბარი.

ლექსის მეორე სტროფში ნოსტალგიის განცდა კიდევ უფრო მეტ სიმძაფრეს იძენს. „ანთებულ თეატრში“ (რაც „არტისტულ ყვავილებში“ სიმბოლოა ხელოვანის ასპარეზისა) დიდების მწვერვალზე მყოფ ლირიკულ სუბიექტს („სადაც მე ვარ პირველი“), წარმატებისა და აღიარების მიუხედავად, მაინც ვერ მოუპოვებია სულიერი სიმშვიდე, სულიერი მყუდროება. მას მოსვენებას უკარგავს აშრიალეული ტირიფების ზმანება – მშობლიური სივრცის ძახილი: „და მეძახის, მეძახის! და არ არის საშველი! და დაქრიან ფარდებში ოცნებებთან აშლილი“.

ამ მხატვრულ სახეს – ხეების შრიალი, როგორც მიტოვებული სამშობლოს ძახილი – გალაკტიონი რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ გამოიყენებს ნოსტალგიის თემაზე დაწერილ თავის უბრწყინვალეს ლექსში „შინდისის ჭადრებს“:

*ორი ჭადარო, წყვილო ჭადარო,  
შემოხვეულნო შუქთა ბადრებით, –  
ო, მე არ ვიცი, რას შეგადაროთ,  
ან უცხოეთში რად მენატრებით?..  
თქვენთან რბიოდენ ნათელნი  
დღენი,  
ლოცვა ბავშური, ფერი გედური,  
ეხლა რად მესმის შრიალი თქვენი,  
როგორც ტირილი და საყვედური?*

ამ ლირიკული შედევრის ფინალშიც ხეების შრიალი ისმის, ვითარცა მიტოვებული სამშობლოს საყვედური, ძახილი, რომელიც თავისკენ უხმობს უცხოეთში დაკარგულ ძეს.

გალაკტიონის ზემოთ განხილულ ლექსში („ძველი რვეულიდან“) ნოსტალგიის განცდა მონოდებულია გაუცნაურების მხატვრული ხერხის მეშვეობით,

რაც გულისხმობს საგნისა თუ მოვლენის „ავტომატიზმიდან“, გაქვავებული მდგომარეობიდან გამოყვანას და მის უჩვეულო, ახლებურ აღქმას, როდესაც პოეტი ნაცნობს უცნობად აქცევს და, ამგვარად, იდუმალებით მოსაავს მას. ეს პრინციპი იყო კიდევ ჯერ რომანტიკული, შემდეგ კი – სიმბოლისტური ხელოვნების ერთ-ერთი ძირეული პრინციპი.<sup>1</sup> გალაკტიონის ნაწარმოებში ჩვეულებრივი, ბუნებრივი განცდა უჩვეულო ფორმით, მინიშნების პოეტიკითაა მონოდებული.

საბოლოოდ, „არტისტული ყვავილების“ ლირიკული გმირი სამშობლოში მიემგზავრება. კრებულის ბოლოს ერთმანეთის მიყოლებითაა წარმოდგენილი დაბრუნების ციკლის სამი ლექსი: „გემი დალანდი“, „დაბრუნება“ და „გზაში“.

ლექსებს „გემი დალანდი“ და „დაბრუნება“ აერთიანებს ახალ ისტორიულ ვითარებასთან შეხვედრის, სამშობლოს „ძველი გზებით ვერ მიგნების“ თემა, განახლებულ საქართველოსთან შეხვედრის მოლოდინი:

*გემით „დალანდი“ მოვდიოდი  
სამშობლოსაკენ  
და მთვარისაგან გაღვიძება  
გულს დარდათ ჰქონდა;  
მაგრამ სამშობლოს ძველი  
გზებით ველარ მოვაგენ  
და არ მახსოვდა: მქონდა იგი,  
თუ მომაგონდა.*

ლექსში „დაბრუნება“ ლირიკული სუბიექტის მღელვარება კიდევ უფრო გამძაფრებულია, რამდენადაც „ეს არ არის სამშობლოში ჩვეულებრივი დაბრუნება, როგორც არ იყო ჩვეულებრივი ილია ჭავჭავაძის დაბრუნება თერგდალეულად; ეს არის სამშობლოს ხელახალი აღმოჩენა გემით „დალანდი“ (კენჭოშვილი 1974: 44). ნაწარმოები ყურადღებას იპყრობს სახისმეტყველებითი თვალსაზრისით. აქ ერთმანეთს

ორგანულად უკავშირდება ისტორიულ-ლიტერატურული რეალიები, მყარი, ტრადიციული პოეტური ხატები („მცხეთის ზარები“, „თამარის ტაძრები“, „ირაკლის ძვლები“) და შემოქმედის ორიგინალური თვალთახედვა:

*სალამოს ლანდები ვით ბინდი ნიავის  
მიდამოს სდებია,  
გინახავთ თქვენ ფერი  
დაბინდულ ქლიავის?  
ეს ჩემი სამშობლო მთებია!*

ეს უჩვეულო შედარებაც მიგვითითებს იმაზე, რომ გალაკტიონისათვის სამშობლო, უპირველეს ყოვლისა, მშობლიური ბუნების უშუალო შეგრძნებიდან იწყება. პოეტისათვის საქართველო „უდაბნოდ გადაშლილი ოაზისია“, „სადაც მზე მწველია, ცხელია დარები“. ლექსის ბოლოს აქცენტირებული „იდუმალი მოლოდინი“ კი ირიბად ეხმიანება სამშობლოში მომავალი „მგზავრის წერილების“ ავტორის მღელვარებას: „როგორ შევეყრება მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე?“

მშობლიურ ბუნებასთან სიახლოვე გვევლინება სამშობლოს შეგრძნების მთავარ წყაროდ გალაკტიონის „მამულშიც“. როგორც თეიმურაზ დოიაშვილი აღნიშნავს: „მამულის კონცეპტი XIX საუკუნის ქართულმა პოეზიამ გონების აქტიური მონაწილეობით შეიმუშავა და განსჯით, დიდაქტიკური ფორმით გამოთქვა. ამის საპირისპიროდ, გალაკტიონი, როგორც ახალი

პოეზიის ადეპტი, განსჯით მიღებულ დასკვნას კი არ გვანვდის, ესთეტიკური გამოსახვის ობიექტად გრძნობად იმპულსს, შეგრძნებას აქცევს. მამული მისთვის, უპირველესად, ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა გავლის პირველყოფილი, დაუვინყარი შთაბეჭდილებაა, რომელსაც სამუდამოდ ინახავს ჩვენი ქვეცნობიერი“ (დოიაშვილი 2013: 148-149).

„არტისტულ ყვავილებში“ პოეტმა პატრიოტიზმის სწორედ გრძნობადი, უშუალო პლანის აქტუალიზაცია მოახდინა. გალაკტიონმა მოახერხა, რომ ქართულ ლიტერატურაში გარკვეულწილად უკვე „გაცვეთილი“, კლიშედ ქცეული მოტივი გაუცნაურების მხატვრული ხერხის მეშვეობით, მინიშნების პოეტიკით განესახიერებინა და ამგვარად მისთვის ახალი, ცხოველმყოფელი მხატვრული ძალა შეეძინა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თავისი შემოქმედების ყოველ ეტაპზე, მიუხედავად იმისა, უპირისპირდება თუ გაურბის, საყვედურობს თუ გაუცხოებას განიცდის, გალაკტიონს მაინც ყოველთვის ახსოვს თავისი მინიერი სამშობლო და გამუდმებით ცდილობს მისდამი საკუთარი მიმართების გარკვევას. ასე რომ, სრულ ჭეშმარიტებად მოჩანს პოეტის სიტყვები:

*არ იქნება, რომ სამშობლო  
გალაკტიონს არ ახსოვდეს,  
არასოდეს, მეგობრებო,  
არასოდეს, არასოდეს!*



## შირლი ჯექსონი

### ჩარლზი

შირლი (ჰარდი) ჯექსონი (1916–1965) XX საუკუნის სან-ფრანცისკოელი რომანისტი და გოთიკურ საშინელებათა და ფსიქოლოგიურ მოულოდნელობათა დიდოსტატად მიჩნეული მწერალია. ქართველი მკითხველისთვის ის ცნობილია წიგნით „ჰილჰაუზის მოჩვენება“, რომლის პირველი ეკრანიზაცია 1963 წელს შედგა. შემდეგ, 1999 წელს, მას მოჰყვა მეორე ეკრანიზაცია, 2018 წელს კი ნეტფლიქსმა გადაიღო სერიული *The Haunting of the Hill House*, რომელიც დაფუძნებულია სწორედ შირლი ჯექსონის ამავე სახელწოდების რომანზე და ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს.

„ჩარლზი“ ერთ-ერთი პირველია შირლი ჯექსონის ნახევრად ავტობიოგრაფიული მოთხრობებიდან, რომლებიც პირველად 1948 წლის ივლისში გამოქვეყნდა ჟურნალ *Madmoiselle*-ში. მოგვიანებით (1949) ის შევიდა კოლექციაში სახელწოდებით „ლატარია და სხვა მოთხრობები“.

საბავშვო ბალის დაწყების პირველივე დღეს ჩემმა ვაჟმა ლორიმ უარი განაცხადა ველვეტის კომბინიზონის ჩაცმასა და ბავშვის წინსაფრის გაკეთებაზე და ლურჯი ჯინსისა და ქამრის ტარება დაიჩემა. პირველივე დილას ჩემს უფროს ქალიშვილთან ერთად ვაცილებდი და სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ ჩემი ცხოვრების ერთი ეტაპი დასრულდა. ჩემი ტკბილხმიანი, ბაგა-ბალის პანანინა ბიჭუნა

ჩაანაცვლა გრძელ, ჩაჩაჩულშარვლიანმა პერსონაჟმა, რომელსაც ბაღში გაცილებისას დაავიწყდა ძველებურად მოსახვევთან გაჩერება, ჩემთვის ხელის დაქნევა და ტკბილად დამშვიდობება.

საბავშვო ბალის დაწყების პირველივე დღეს სახლში დაბრუნებულმა ლორიმ კარი ხმაურთანად გააღო და მოიჯახუნა, კეპი იატაკზე მოისროლა და მოულოდნელად, ხრინწიანი

ხმით დაიყვირა: არის აქ ვინმე?

ლანჩის დროს ის მამამისს უხეშად და უპატივცემულოდ ესაუბრა, თავისი ჩვილი დის რძე დააქცია და აქვე აღნიშნა, რომ მასწავლებლის თქმით, ღმერთის სახელის უადგილოდ ან უპატივცემულოდ მოხსენიება არ შეიძლებოდა.

– როგორ ჩაიარა დღემ საბავშვო ბაღში? – ვკითხე საგულდაგულოდ და ფრთხილად შერჩეული ტონით.

– არაუშავდა! – თქვა მან.

– ისწავლე რამე? – ჰკითხა მამამისმა.

– რამე არ მისწავლია! – თქვა ლორიმ.

– არაფერი მისწავლია! – შევუსწორე.

– სხვათა შორის, მასწავლებელმა დღეს ერთ ბიჭს ტრაკზე მისცხო, – თქვა და კარაქიანი პური ჩაკბიჩა. – უხეშობის გამო, – დაამატა გამოტენილი პირით.

– რა ჩაიდინა? – ვკითხე. – ვინ იყო?

ლორი ცოტა ხანს დაფიქრდა და თქვა: – ჩარლზი. ის უხეშად მოიქცა. მასწავლებელმა ტრაკზე მისცხო და კუთხეში დააყენა. საშინლად უხეში და ბრაზიანი იყო.

– რა ჩაიდინა? – ისევ ვკითხე, მაგრამ ლორი სკამიდან ჩამოცურდა, ორცხობილა აიღო და სანამ მამამისი ეტყოდა – „აქ მოდი, ახალგაზრდაო“, – წავიდა.

მეორე დღეს, როგორც კი ლორი ლანჩისთვის მაგიდას მიუჯდა, აღნიშნა:

– ჩარლზი დღესაც ცუდად იქცეოდა, –

კბილები დაკრიჭა, ფართოდ გაიღიმა და თქვა: – დღეს ჩარლზმა მასწავლებელს დაარტყა.

– ღმერთო ჩემო! – ვთქვი მე ამ ფრაზის და ღმერთის სახელის ხსენების სრული გაცნობიერებით. – იმედია კვლავ დაისაჯა.


– ჰო, აბა! – თქვა ლორიმ. – ზემოთ აიხედე, – უთხრა მამამისს.

– რაა? – თქვა მამამისმა და თან ზემოთ აიხედა.

– ქვემოთ დაიხედე, – უთხრა ლორიმ. – ჩემს ცერა თითს შეხედე. ჰე,ჰე,ჰე, რა სულელი ხარ! – შეშლილივით იცინოდა.

– რატომ დაარტყა ჩარლზმა მასწავლებელს? – ვკითხე.

– იმიტომ, რომ მასწავლებელი მას წითელი ფანქრით გაფერადებას აიძულებდა, – თქვა ლორიმ. – ჩარლზს მწვანე ფანქრებით უნდოდა გაფერადება და ამიტომ დაარ-



ტყა მასწავლებელს და მან ჩარლზს ტრაკზე მისცხო და თქვა, არავის ეთამაშა ჩარლზთან, მაგრამ მაინც ყველა ეთამაშა მას.

მესამე დღეს – ეს იყო პირველი კვირის ოთხშაბათი, როცა ჩარლზმა აინონა-დაინონაზე ქანაობისას მისი ერთი მხარე პატარა გოგოს თავში ჩაარტყა და სისხლი ადინა და მასწავლებელმა ის მთელი შესვენების განმავლობაში საკლასო ოთახში ჩაკეტა. ხუთშაბათს ჩარლზს კუთხეში მოუწია დგომა, რადგან კითხვის საათის დროს ფეხებს გაუჩერებლად აბაკუნებდა იატაკზე; პარასკევს დაფაზე წერის და ხატვის პრივილეგია ჩამოერთვა, რადგან ცარცს აქეთ-იქით ისროლა.

შაბათს ჩემს მეუღლეს ვუთხარი: – ხომ არ ფიქრობ, რომ ეს ბალი ლორისთვის ძალიან შეუფერებელია და მასზე ცუდ გავლენას ახდენს? მთელი მისი უხეშობა, ცუდი ლექსიკა და გრამატიკა, ჩარლზი – ეს ყველაფერი ცუდ გავლენას ახდენს მასზე.

– ყველაფერი კარგად იქნება, – დამარწმუნა მან. – ჩარლზისნაირებს ადრე თუ გვიან მაინც შეხვდებოდა ლორი.

ორშაბათს ლორი სახლში ჩვეულებრივზე გვიან დაბრუნდა. ეტყობოდა, რომ ახალი ამბები დაუგროვდა მოსაყოლად.

– ჩარლზი! – ყვიროდა სახლში შემოსვლამდე. მე კიბეებთან ველოდებოდი. – ჩარლზი! – ყვიროდა ლორი, – ჩარლზი კვლავ ცუდად მოიქცა.

– სახლში შემოდი! – მაშინვე ვუთხარი, როგორც კი მომიახლოვდა. – ლანჩი გელოდება.

– იცი, ჩარლზმა რა გააკეთა? – დაჟინებით მიყურებდა და კარისკენ მომყვებოდა. – ჩარლზი სკოლაში ისეთი მაღალი ხმით ყვიროდა, რომ

პირველი კლასიდან ვილაც ბიჭი გამოგვიგზავნეს, მასწავლებლისთვის გადაეცა, ჩარლზი რომ დაენწყნარებინა, ჰოდა, ჩარლზი გაკვეთილების შემდეგაც ბალში დატოვეს. ჰოდა, ჩვენც ყველა მასთან ერთად დავტოვეს, რომ მისთვის გვედარაჯა.

– თვითონ ჩარლზი რას აკეთებდა ამ დროს? – ვკითხე მე.

– უბრალოდ იჯდა, – თქვა ლორიმ და თან სკამზე მიცოცავდა. – გამარჯობა მათ, შე იატაკის მტვრიანო ჩვარო! ჰე,ჰე...

– ჩარლზი დღეს გაკვეთილების შემდეგ ბალში დატოვეს, – ვუთხარი ჩემს მეუღლეს. – ყველა მასთან ერთად დარჩა.

– როგორ გამოიყურება ჩარლზი? – ჰკითხა ჩემმა მეუღლემ ლორის. – რა გვარია?

– ჩემზე მაღალია, – თქვა ლორიმ. – მას არ აქვს საშლელეები და არასდროს ატარებს ჟაკეტს.

ორშაბათს სალამოს პირველი მშობელთა კრება იყო და მხოლოდ იმის გამო ვერ წავედი, რომ ჩემი უმცროსი შვილი იყო გაციებული. მთელი გულით მინდოდა ჩარლზის დედასთან შეხვედრა. სამშაბათს ლორიმ მოულოდნელად განაცხადა:

– დღეს ჩვენი მასწავლებლის მეგობარი მოვიდა.

– ჩარლზის დედა? – ერთდროულად ვკითხეთ მე და ჩემმა მეუღლემ.

– ნწუუ, – თქვა ლორიმ დამცინავი ტონით. – ვილაც კაცი იყო. ვარჯიშების გაკეთება დაგვაძალა, ჩვენ ჩვენს ფეხის ცერებს უნდა შევხებოდით. შეხედეთ, – ჩამოცოცდა თავისი სკამიდან, ჩაიბუქნა და ფეხის ცერებს შეეხო, – აი, ასე. – თქვა მან. ის კვლავ აცოცდა თავის სკამზე და სერიოზული გამომეტყველებით თქვა: – ჩარლზს დღეს ერთი ვარჯიშიც არ გაუკეთებია.



– არა უშავს, – თბილად ვთქვი მე. – არ უნდოდა ვარჯიში?

– ნნუუ... არა, – თქვა ლორიმ. – ჩარლზი ისე ეუხეშებოდა მასწავლებლის მეგობარს, რომ ნება არ დართეს ევარჯიშა.

– ისევ უხეშობდა? – ვკითხე მე.

– მან მასწავლებლის მეგობარს დაატყა, – თქვა ლორიმ. – მასწავლებლის მეგობარმა უთხრა ჩარლზს, ფეხის ცერებს შეეხეო, ზუსტად ისე, როგორც მე გავაკეთე და ჩარლზმა მას დაარტყა.

ლორიმ მხრები აიჩეჩა: – მე მგონი, გააგდებენ სკოლიდან.

ორშაბათს და ხუთშაბათს, ჩვეულებისამებრ, ჩარლზი კითხვის საათის დროს ყვიროდა, ერთ ბიჭს მუცელში დაარტყა და აატირა. პარასკევს ჩარლზი გაკვეთილების შემდეგ კვლავ დატოვეს საბავშვო ბაღში და დანარჩენებშიც დატოვეს.

საბავშვო ბაღის დანყების მესამე კვირიდან ჩარლზი ოჯახში ინსტიტუციად იქცა. თუ შუადღეს ბავშვი ტიროდა, ესე იგი ის ჩარლზივით იქცეოდა. ლორი ჩარლზივით იქცეოდა, როცა სათამაშო ვაგონი ტალახით გამოტენა და მთელ სამზარეულოში ათრია. ჩემმა მეუღლემაც კი, როცა იდაყვი ტელეფონის სადენს გამოჰკრა და ტელეფონი, საფერფლე და ყვავილებით სავსე დოქი ძირს დაანარცხა, მაშინვე თქვა – ჩარლზივით მოვიქეციო.

მესამე და მეოთხე კვირებში, როგორც ჩანს, ჩარლზი შეიცვალა. ლორიმ მესამე კვირის ხუთშაბათს, ლანჩის დროს, სიცილით თქვა: – ჩარლზი დღეს კარგად იქცეოდა და მასწავლებელმა მას ვაშლი მისცა.

– რაა? ჩარლზი? – ვთქვი გაოცებულმა.

– ნამდვილად მასზე საუბრობ? – ჩაერთო მამამისი.

– ჰო, ჩარლზი. მან ყველას დაუ-

რიგა ფერადი ფანქრები, მერე, ძირს რაც ეყარა, ყველა წიგნი აკრიფა და მასწავლებელმა უთხრა, ჩემი დამხმარე ხარო.

– როგორ მოხდა?! – ვთქვი მე და თან ვერ ვიჯერებდი, რასაც ვისმენდი.

– ის მასწავლებლის დამხმარე იყო, ეს იყო და ეს, – თქვა ლორიმ მხრების აჩეჩვით.

– ჩარლზზე ეს ყველაფერი მართალია? – ვკითხე იმ ღამეს მეუღლეს. – ასეთი რამ შესაძლებელია, მართლა მომხდარიყო?

– აცადე, ჯერ სად ხარ, – როცა ჩარლზთან გვაქვს საქმე, მისგან ყველაფერია მოსალოდნელი. შეიძლება, შეთქმულებას ამზადებს. – თქვა მან ცინიკურად.

როგორც ჩანს, ჩემი მეუღლე ცდებოდა. მთელი მომდევნო კვირის განმავლობაში ჩარლზი მასწავლებლის დამხმარე იყო. ყოველ დღე მას ძირს დავარდნილ ნივთებს აწვდიდა, ხან ყველას უნაწილებდა, ხან ძირიდან კრეფდა და თავის ადგილას ალაგებდა. არავის აღარ უწევდა მის გამო გაკვეთილების შემდეგ ბაღში დარჩენა.

– მომდევნო კვირაშიც მშობელთა კრებაა, – ვუთხარი ერთ საღამოს ჩემს მეუღლეს. – იქნებ, ჩარლზის დედას შევხვდე. მის პოვნას ვაპირებ.

– ჰკითხე ერთი, რა დაემართა ჩარლზს, – თქვა მან. – ძალიან მაინტერესებს.

– მე თვითონაც მაინტერესებს, – ვთქვი მე.

მომდევნო კვირის პარასკევიდან ყველაფერი კვლავ თავის ადგილს დაუბრუნდა.

– იცი, დღეს ჩარლზმა რა გააკეთა? – ცოტა მორიდებით თქვა ლანჩის დროს. – მან გოგოს უთხრა რაღაც სიტყვა გაემეორებინა, მანაც თქვა და მასწავლებელმა მას პირი

საპნით გამოურეცხა, ჩარლზი კი იცინოდა.

– რა სიტყვა? – დაუფიქრებლად იკითხა მამამისმა. – ყურში უნდა ჩაგჩურჩულო, ისეთი ცუდი სიტყვაა, – სკამიდან ჩამოცოცდა და მამამისთან მივიდა.

მამამისს თვალები გაუფართოვდა.

– ჩარლზმა პატარა გოგოს მართლა ეს ათქმევინა? – მოკრძალებით ჰკითხა ლორის.

– გოგომ ეს ორჯერ გაიმეორა, – თქვა ლორიმ. – ჩარლზმა უთხრა, ორჯერ გაემეორებინა.

– ჩარლზს რა ბედი ენია? – იკითხა ჩემმა მეუღლემ.

– არაფერი, – თქვა ლორიმ. ფერად ფანქრებს არიგებდა და იცინოდა.

ორშაბათ დილით ჩარლზმა პატარა გოგოს თავი დაანება და სამჯერ თუ ოთხჯერ თვითონ თქვა ის საშინელი სიტყვა და პირი მასაც საპნით გამოურეცხეს. ის ცარცსაც ისროდა აქეთ-იქით.

იმ საღამოს ჩემმა მეუღლემ გამაცილა მშობელთა კრებაზე.

– შეხვედრის შემდეგ დაპატიჟე დედამისი ჩვენთან ჩაიზე, მინდა ვნახო, – დამაბარა.

– ნეტავ იქ იყოს, – ვთქვი მე თითქმის ლოცვით.

– იქ იქნება, – დამამშვიდა მეუღლემ. – ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება მშობელთა კრება მის გარეშე ჩატარდეს.

მთელი შეხვედრის განმავლობაში მოუსვენრად ვიჯექი. ვათვალთვინებდი ყველას, ვაკვირდებოდი მათ სახეებს და ვცდილობდი, მათში ჩარლზის დედა ამომეცნო. ჩარლზის

დედობის კვალობაზე არავინ მეჩვენება საკმარისად დაქანცულად. მთელი შეხვედრის განმავლობაში არავის მოუხდია ბოდიში ჩარლზის ასეთი ყოფაქცევითვის. საერთოდ არავის უხსენებია ჩარლზი.

შეხვედრის შემდეგ ვიცანი ლორის მასწავლებელი და მასთან მივედი. მას ფინჯანი ჩაი და შოკოლადის ნამცხვარი ეჭირა. მეც ფინჯანი ჩაი და მარმელადის ნამცხვარი მქონდა. ერთმანეთს ფრთხილად, ღიმილით მივუახლოვდით.

– მოუთმენლად ველოდი თქვენთან შეხვედრას, – ვუთხარი. – მე ლორის დედა ვარ.

– ჩვენ ყველა დაინტერესებულები ვართ ლორით, – თქვა მან.

– მას აშკარად ძალიან მოსწონს საბავშვო ბაღი, სულ მასზე ლაპარაკობს. – ვთქვი მე.

– პირველ კვირებში შეგუებისა და ადაპტაციის პრობლემები გვქონდა, – მოკრძალებით მითხრა მან. – მაგრამ ახლა ის ჩემი დამხმარეა. დროდადრო ლაფსუსებიც იჩენს ხოლმე თავს და დესტრუქციული ქცევაც აქვს ხოლმე, რა თქმა უნდა.

– ლორი ძირითადად, მალევე ეგუება გარემოს, – ვთქვი მე. – ვფიქრობ, ამჯერად ეს ჩარლზის გავლენაა.


– ჩარლზი?

– დიახ, ვთქვი მე სიცილით, – ალბათ, თქვენ ჩარლზის ალზრდაში თავიდან ფეხებამდე ხართ ჩართული.

– ჩარლზი? – კვლავ იკითხა მან. – ჩვენთან არავინ სწავლობს ამ სახელით.

*ინგლისურიდან თარგმნა  
მარიამ მერკვილაძემ*

# უილიამ საროიანი



## პიანინო

უილიამ საროიანი – (1908-1981) დაიბადა სომეხ ემიგრანტთა ოჯახში. პირველი მოთხრობა 1933 წელს გამოაქვეყნა ბოსტონში, ამერიკელ სომეხთა ყოველკვირეულ ჟურნალ „ჰაირენიქში“. მისი მოთხრობებისა („მამაცი ჭაბუკი მფრინავ ტრაპეციაზე“, „ამერიკის მკვიდრი“) და ავტობიოგრაფიული რომანების („ადამიანური კომედია“, „უესლი ჯექსონის თავგადასავალი“, „ველოსიპედისტი ბევერლი-ჰილზე“) გმირი უმთავრესად ემიგრანტთა წრიდანაა გამოსული და თითქმის გაიგივებულია ავტორთან. საროიანს ეკუთვნის სხვა მრავალი მოთხრობა, რომანი თუ პიესა. მან რამდენჯერმე იმოგზაურა სსრკ-ში.

„პიანინოს დანახვა მუდამ მალეღვებს“, – თქვა ბენმა.

„მართალა?“ – თქვა ემამ: – „რატომ?“

„არც ვიცი“, – მიუგო ბენმა.

„მოდი, ამ მაღაზიაში შევიდეთ და ის პატარა, კუთხეში რომ დგას, ხომ არ შეგვეთვალაიერებინა?“

„დაკვრა იცი?“ – თქვა ემამ.

„თუ ამას დაკვრა ჰქვია, რასაც ვაკეთებ?..“ – თქვა ბენმა.

„რას აკეთებ?“

„თვითონ ნახავ“, – თქვა ბენმა. მაღაზიაში შევიდნენ და კუთხეში მდგარ პატარა პიანინოს მიუახლოვდნენ. ემამ კაცს ღიმილი შენიშნა და გაიფიქრა: „მის შესახებ ნეტა რამე თუ ვიცი?“ სულ

ცოტა ხნის წინ თვლიდა, რომ კაცს იცნობდა, მაგრამ უეცრად იგრძნო, რომ ცდებოდა. კაცი პიანინოსთან შეჩერდა და დააცქერდა. ქალმა გაიფიქრა: „ალბათ, სადღაც ვინმეს კარგად დაკრული მოისმინა და ის მელოდია ჩაესმის, როცა პიანინოს და კლავიშებს ხედავს და მასთან დაკავშირებული რაღაც ახსენდება“.

„დაკვრა შეგიძლია?“ – უთხრა ქალმა. ბენმა გარემო მოათვალაიერა. მომსახურე პერსონალი თავისი საქმით იყო დაკავებული.

„არ შემიძლია!“ – თქვა ბენმა.

ქალმა დაინახა, თუ როგორი სინაზით შეახო კაცმა თითები თეთრსა და შავ კლავიშებს, ნამდვილი პიანისტივით

და ეს ძალიან უცნაურად მოეჩვენა. მიხვდა, რომ ეს ის კაცი იყო, რომელიც საკუთარი პიროვნების გამოცნობას უკვე დიდი ხანია თავადვე ლამობდა და ვინმე სხვას მის აღმოსაჩენად გაცილებით მეტი დრო დასჭირდებოდა. შესაძლოა, ის იყო, ვინც პიანინოს კარგადაც უკრავდა. ბენმა რამდენიმე აკორდი ხმადაბლა აიღო. მისთვის რაიმეს შეძენის შესათავაზებლად არავინ გამოჩენილა. ასე რომ, ფეხზე მდგარი ისევ იმას აკეთებდა, რასაც თვითონ დაკვრად არ თვლიდა. ქალი უბრალოდ მიხვდა, რომ ეს გასაოცარი იყო.

კაცმა მხოლოდ ნახევარი წუთით დაუკრა, მერე ქალს შეხედა და თქვა: „მშვენივრად ჟღერს!“

„საუცხოოა!“ – თქვა ემამ.

„იმას არ ვგულისხმობ, რაც გავაკეთე“, – თქვა ბენმა. – „პიანინოზე ვამბობ“. – „თვითონ პიანინო ვიგულისხმე. ჩინებული ტონალობა გააჩნია, რაც განსაკუთრებით მომცრო ზომის პიანინოებს ახასიათებთ“.

შუა ხნის გამყიდველი მიუახლოვდა და მიესალმა.

„გამარჯობა!“ – მიუგო ბენმა. – „შესანიშნავია, დახვეწილიც და მოდურიც“.

„ფრიად პოპულარული ინსტრუმენტი“, – თქვა მაღაზიის გამყიდველმა. – „განსაკუთრებით სახლებისთვისაა ძალიან მოსახერხებელი. საკმაოდ კარგად ვყიდით“.

„ფასი რა აქვს?“ – ჰკითხა ბენმა.

„ორას ორმოცდაცხრა და ორმოცდაათი“, – უპასუხა გამყიდველმა. – „მოვრიგდებით, ნაწილ-ნაწილაც შეგიძლიათ გადახდა, რა თქმა უნდა“.

„ვინ უშვებს?“ – ჰკითხა ბენმა.

„ზუსტად ვერ გეტყვით“, – თქვა გამყიდველმა.

„მგონი, ფილადელფიაში ამზადებენ, თუ არ ვცდები. შემიძლია, გაგიგოთ“.

„ნუ შეწუხდებით“, – თქვა ბენმა. – „დაკვრა თუ გეხერხებათ?“

„არა, მე არა!“ – მიუგო მაღაზიის გამყიდველმა.

კაცმა შენიშნა, რომ ბენს დაკვრის სურვილი ისევ ჰქონდა.

„მიბრძანდით!“ – უთხრა მან – „კიდევ დაუკარით, მოსინჯეთ“.

„მე არ ვუკრავ“, – თქვა ბენმა.

„რომ გავიგონე? აბა, ის რა იყო?“ – თქვა გამყიდველმა.

„ამას დაკვრას ვერ დავარქმევ“, – თქვა ბენმა, – „ერთ ნოტსაც კი ვერ ვცნობ“.

„ჩემთვის კარგად ჟღერდა“, – თქვა კაცმა.

„ჩემთვისაც“, – თქვა ემამ. –

„თავდაპირველად რამდენის გადახდა მოგვინევს?“

„ოჰ“, – აღმოჰხდა გამყიდველს. –

„ორმოცი ან ორმოცდაათი დოლარი“, – „მიბრძანდით!“ – უთხრა მან. – „მსურს, ისევ დაუკრათ!“

„ოთახში რომ ვიყო...“ – თქვა ბენმა.

– „პიანინოს საათობით მიუფჯდებოდი“.

„ცოტა კიდევ დაუკარით! – უთხრა მაღაზიის გამყიდველმა. – „წინააღმდეგი არავინ იქნება“.

გამყიდველმა გრძელი სკამი ახლოს მიუჩოჩა, ბენიც დაჯდა და იმის კეთებას შეუდგა, რასაც თვითონ დაკვრას არ ეძახდა. თავიდან თხუთმეტი-ოციოდენ წამით გაეთამაშა, მერე რალაც მელოდია მოძებნა და ორი წუთი უკრავდა. მუსიკა სულ უფრო და უფრო წყნარად და მწუხარედ ჟღერდა და ბენიც პიანინოთი კიდევ უფრო მეტად ტკბებოდა და სიამოვნებას განიცდიდა. მელოდიას ხმას უმაღლებდა და თან მაღაზიის მოხელეს პიანინოს შესახებ ესაუბრებოდა. შემდეგ დაკვრა შეწყვიტა და წამოდგა.

„გმადლობთ!“ – თქვა მან. – „ნეტავი მაყიდინა!“

„მადლობა, რისთვის?“ – თქვა გამყიდველმა.

ბენი და ემა გარეთ გამოვიდნენ. ქუჩაში ემამ უთხრა:

„ეს არ ვიცოდი, ბენ“.

„რა არ იცოდი?“ – ჰკითხა ბენმა.  
 „შენ შესახებ არ ვიცოდი“.  
 „ჩემ შესახებ, რაა?“  
 „ასეთი თუ იყავი“, – უთხრა ემამ.  
 „ვასშობის დროა“, – თქვა ბენმა. –  
 „სალამოობით მიყვარს ხოლმე პიანინოს  
 შეძენაზე ფიქრი“.  
 პატარა რესტორანში შევიდნენ,  
 დახლთან დასხდნენ და სენდვიჩები და  
 ყავა შეუკვეთეს.  
 „დაკვრა სად ისწავლე? – ჰკითხა  
 ემამ.  
 „არასოდეს მისწავლია“, – მიუგო  
 ბენმა. – „სადაც კი პიანინოს თვალს  
 მოვკრავ, ვცდილობ დავუკრა. ეს ჩვევა  
 ბავშვობიდან მომდევს. უფულობამ და  
 სიღარიბემ იცის“.  
 კაცმა ქალს შეხედა და გაუღიმა.

ზუსტად ისე უღიმოდა, როგორც მაშინ,  
 პიანინოს კლავიშებს რომ დაჰყურებდა.  
 ემას უსაზღვროდ ეამა.  
 „მუდმივი უფულობა“, – თქვა ბენმა. –  
 ადამიანს აიძულებს, თავი ისეთ რამეებს  
 გაარიდოს, რისი სურვილიც აქვს, რომ  
 ჰქონდეს და შეძენის უფლებაც გააჩნია“.  
 „მართალია! – თქვა ემამ.  
 „რამდენადმე, – თქვა ბენმა. – „ეს  
 კარგიცაა და ამავე დროს ცუდიც.  
 ფაქტობრივად, საშინელებაა“.  
 კაცმა ქალს ისევ შეხედა, კვლავ იმ  
 ღიმილით, როგორც ცოტა ხნის წინათ  
 და ქალმაც იმავენაირი ღიმილი შეაგე-  
 ბა. ქალი მიხვდა, რომ რალაც პიანი-  
 ნოს მსგავსი რამ ხდებოდა, რომლის  
 სიახლოვესაც კაცს საათობით შეეძლო  
 დარჩენილიყო. ქალს უზომოდ ესია-  
 მოვნა.

რესტორნიდან გა-  
 მოვიდნენ და ორი  
 კვარტლის გავლის  
 შემდეგ „ემპორიუმ-  
 თან“ შეჩერდნენ, სა-  
 დაც ქალი მუშაობდა.  
 „ნახვამდის, დროე-  
 ბით!“ – თქვა კაცმა.  
 „დროებით, ბენ“, –  
 თქვა ემამ.  
 კაცი ქუჩას გაუყვა  
 და ქალი მაღაზიაში  
 შევიდა. რალაცნაირად  
 ღრმად სჯეროდა, რომ  
 სულ მალე კაცი პია-  
 ნინოსაც შეიძენდა და  
 სხვა ყველაფერსაც.

ინგლისურიდან  
 თარგმნა  
**მაია ბოლაშვილმა**





## იოსებ ჭუმბურიძე

### მსახიობის პორტრეტი რეჟისორულ ინტერვიუში

ნანი ჩიქვინიძე – აი, ვინ მოდის ბავშვობიდან!

რამდენი გული შეურხევიათ მისგან განსახიერებულ ბავშვებს?!

მახსოვს, რა დამემართა, პირველად რომ „მაგდანას ლურჯა“ ვნახე.

„დედი, აი, აქ იწვა ჩვენი ლურჯა...“

გამაოცა თამაშის ბუნებრიობამ.

როცა წლების შემდეგ ისევ ვნახე, ახლა უკვე სულ სხვა რამემ მომნუსხა: როგორ შეეძლო ამ პატარა არსებას, ესოდენ ღრმა განცდით გამოეხატა დიდი იმედი, გაუბედავი ჩურჩულით წარმოთქმული ერთი ფრაზა რომ იტყვდა: „დედი, გიგო პაპა მოვიდა...“

ადვილად მიხვდებოდით, რომ ეს სასამართლოს ეპიზოდია.



ახლა – „სხვისი შვილები?!“

ბოთლებს რომ აბარებენ, დეიდა ნატოსთვის საჩუქრის საყიდლად?!

პირდაპირი მნიშვნელობით, ყელგამონვდილი რომ ეხვეწება: „მიიღე რა, ძია, მიიღე რა, ძია“.

რომელ ბავშვს არ უოცნებია მსახიობობაზე?!

ნანი ჩიქვინიძეს ოცნებაც აღარ დასჭირდებოდა.

მხოლოდ იმას თუ ინატრებდა, მიხეილ თუმანიშვილის ჯგუფში რომ მოხვედრილიყო...

არსებობს ერთი მართლაც უნიკალური ფოტო:

შუაში ზის თუმანიშვილი, აქეთ-იქით კი – ნანი ჩიქვინიძე და მარინა ჯანაშია.

დიდრონი, მეტყველი თვალებით.

თითქოს, სარკეა დიდი მაესტრო.

ესენი კი (ერთიც და მეორეც), ამ „სარკეში“, თითქოს საკუთარ ორეულს შესცქერიან.

ალბათ, ასეთი ჩანაფიქრიც ჰქონდა დიდ მაესტროს.

მაესტროებს რას გაუგებ?!

იმ ფოტოზე უკვე ილანდებოდა ორი ბედნიერი და წარმატებული შეგირდი.

წლების შემდეგ თემურ ჩხეიძე მეტყვის: „ვერაფრით ვაკავშირებ ნანას, უკვე ჩემს მეუღლეს, „მაგდანას ლურ-“

ჯასა“ და „სხვისი შვილების“ პერსონაჟებთან. ისინი იქ დარჩნენ, ხელშეუხებელნი...”

ამ ადვილად გასაგებ სიტყვებში იშვიათი სისუფთავე და სინამდვილე.

სისუფთავე და სინამდვილე კი ის თვისებებია, ნანი ჩიქვინიძეს ბავშვობიდან დღემდე რომ მოჰყვება და, ამ პატარა პერსონაჟებთან ერთად, „ბავშვობის დავინყების უფლებას რომ არ აძლევენ“.

თემურ ჩხეიძის მეუღლეობა, რა თქმა უნდა, დიდი ილბალია, მაგრამ, ძნელი სათქმელია, რამდენად მომგებიანია ეს მსახიობისთვის.

ერთხელ ჰკითხეს – „როგორი მეუღლეა თემურ ჩხეიძე?“

პასუხი: „როგორც ყველა ქართველი მამაკაცი, რთულია, მაგრამ ბევრი კარ-

გი თვისება აქვს და ეს ამ სირთულეს ანეიტრალებს.“

კიდევ კარგი, იმას ხვდებიან, რომ ასეთი შეკითხვა არ უნდა დაუსვან: „როგორი რეჟისორია თემურ ჩხეიძე?“

„ნანისთვის როლს მხოლოდ მაშინ ვიმეტებ, თუ ამ როლში ახლომახლო სხვა მსახიობს ვერ დავინახავ!“ – ა, ბატონო, თქვენი თემურ ჩხეიძე!..

თვითონ მსახიობი დიდსულოვანი დანდობით ამბობს: „ამდენი როლი ხომ მათამაშა?!“.

დავით კლდიაშვილი გაგახსენდება – „ამაზედაც გმადლობ, უფალო!“

სამაგიეროდ, ცხოვრება თემურ ჩხეიძის გვერდით ცოტაა?!

ასეთ რეჟისორთან რამდენიმე შეხვედრაც კი გამდიდრებს და რალაცას გასწავლის, მუდამ მის გვერდით ყოფნა, რა თქმა უნდა, მთელი სკოლა და აკადემია იქნება...



●  
მაინც გამოუჩნდნენ ოპონენტები „ჯაყოს ხიზნების“ დამდგმელს:

კი, მაგრამ, სად ნანი და სად მარგო?!

ნანის უსაზღვრო პატიოსნებასა და ერთგულებას გულისხმობდნენ.

თემურ ჩხეიძემ, ფსიქოლოგიური თეატრის რეჟისორმა, ისინი ადვილად მოიგერია: სწორედ ეგ მაინტერესებდა – ნანას ბუნების არტისტი როგორ მოახერხებდა მარგოდ გადაქცევასო.

შესანიშნავად მოახერხა და ეს სახე მის უდავო მიღწევად აღიარეს.

რა ბუნებრივი იყო ურმის სცენა, მაგრამ უფრო დიდ ეფექტს ამის შემდეგ მარგოს სახეცვლილების დამაჯერებელი ჩვენება იწვევდა.

რა მრავლისმთქმელი იყო საქანელაზე მოკალათებული მარგოს ირონიული ღიმილი?!

რა იშვიათი გულწრფელობით გამოხატავდა მსახიობი თეიმურაზის მიმართ გარეგნულ დამოკიდებულებას – გაღიზიანებასა და თანაგრძნობას.

ერთხელ ნანა ფაჩუაშვილმა, იმავე როლის ასევე ბრწყინვალედ შემსრულებელმა ვიდუოვერსიაში, რეჟისორს ხუმრობით უსაყვედურა – საკუთარი მეუღლე უფრო დაინდე და უხერხული სცენები აარიდეო. ქალბატონმა ნანამ, ცხადია, კარგად იცის სცენური ნაწარმოებისა და სატელევიზიო სპექტაკლის თავისებურებანი, მაგრამ აქ მაინც იყო სიმართლის მარცვალი, ოღონდ, ვფიქრობ, მარგო რეჟისორმა კი არა, თვითონ ნანი ჩიქვინიძემ „დაინდო“.

მსახიობს კარგად ესმოდა, რომ მარგო არა უბრალოდ პერსონაჟი, არამედ მეტად მნიშვნელოვანი სიმბოლური სახე იყო, თეატრის სცენა კი ამის ხაზგასმის მეტ შესაძლებლობას ქმნიდა.

აქ ესეც არის აღსანიშნავი:

მსახიობს ხშირად აიგივებენ წარმატებულ როლთან, გამორჩეული ოსტატობით შექმნილ სახესთან – დადებითთან თუ უარყოფითთან.

თემურ ჩხეიძის „ექსპერიმენტი“ და თვითონ ნანა ჩიქვინიძის პიროვნება ამგვარ გაიგივებას ძირშივე გამორიცხავდა.



საბედნიეროდ, ნანა ჩიქვინიძე სხვა დიდებულმა რეჟისორმაც დაინახა და უფრო მეტი საინტერესო სახე შეაქმნევინა.

ერთმანეთის მიყოლებით ითამაშა მედია კუჭუხიძის სპექტაკლებში: „პრემიერა“, „პროვინციული ამბავი“, „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე...“

ეს ნამდვილი „ოქროს ხანაა“ ნანა ჩიქვინიძის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში.

შეიძლება, ითქვას, ლალი როსებას

პიესები იმიტომ დაინერა, რომ მედია კუჭუხიძეს დაედგა, პერსონაჟები კი ნანი ჩიქვინიძეს განესახიერებინა.

ესეც აუცილებლად უნდა ითქვას, ამ სპექტაკლებში, გამოჩენილი მსახიობები თამაშობდნენ: ელენე ყიფშიძე, გურანდა გაბუნია, ზანდა იოსელიანი, ნინო ჩხეიძე, იაკობ ტრიპოლსკი, ირაკლი უჩანეთიშვილი, გიზო სიხარულიძე, კოტე მახარაძე... „პროვინციულ ამბავში“ ოთარ მეღვინეთუხუცესმა სრულიად განსხვავებული, მკვეთრად სახასიათო სახე შექმნა. ადვილი წარმოსადგენია, რა ბედნიერებას განიცდიდა მაყურებელი, რომელიც დიდ ტრაგიკოსს ერთ საღამოს ოტელოდ გარდასახულს ხედავდა, მეორე დღეს კი – პროვინციული მსახიობის, ლეო ვანელის თითქმის კომედიურ როლში.



„პრემიერაში“ ნანი ჩიქვინიძე მსახიობობაზე მეოცნებე გოგონას თამაშობდა. ის სოფლიდან ჩამოდიოდა ქალაქში, ბიძასთან და დეიდასთან. დეიდა ყოფილი მსახიობი იყო, ბიძა – მოქმედი რეჟისორი. თავიდან ისე გამოიყურებოდა, რომ მის მსახიობობაზე ფიქრიც კი საკუთარ დეიდასაც წარმოუდგენლად ეჩვენებოდა („რას ამბობ, ქალო, რასაი ჰგამს?!“)...

მაგრამ როცა ლამაზად ჩააცმევდნენ და მორცხვობასაც დაძლევადა, რეჟისორი ბიძის წინაშე ისეთ ცეცხლს დაანთებდა, რომ ელენე ყიფშიძის პერსონაჟი აღტაცებით წამოიძახებდა: „ჯიში! ჯიში მაინც ჯიშია!“ ამ ყველაფერს დაახლოებით „პიგმალიონის“ ეფექტი ჰქონდა – იების გამყიდველი გოგონა ნამდვილ არისტოკრატად რომ გადაიქცევა...

„პროვინციულ ამბავში“ უკვე მსახიობს თამაშობდა. ნანა ჩიქვინიძის პერსონაჟი (ზიზი) ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდა უფროს დასთან (გურანდა გაბუნია), ვისი მეუღლეც (ოთარ მეღვინეთუხუცესი) დაუფარავად აცხადებდა: „ამ სა-



ქათმეში ორი მამალი ბევრია!“

წვიმის დროს ქერიდან წყალი ჩამოდიოდა. წვეთ-წვეთობით ივსებოდა მისთვის შედგმული სათლი და ზიზის სულში ზნეობრივი ჯანყიც თანდათან მწიფდებოდა.

როცა საყვარელ როლებზე ეკითხებიან (ასეთ ტრაფარეტულ შეკითხვებს მსახიობებს ყველა დროში უსვამდნენ), სწორედ ამ ორს ასახელებს – მარგოს და ზიზის.

ეს ბუნებრივია, რადგან სხვად ქცევა ამ ორ როლში ყველაზე სრულყოფილად შეძლო.

მარგო კიდეც ჰო, დასაწყისში მაინც ენათესავებოდა, მაგრამ ზიზი?! ის ხომ სრული ანტიპოდი იყო და მაინც როგორ თანაუგრძნობდა და ეხმარებოდა?!



თუ მარჯანიშვილის თეატრის სხვენს ესტუმრებით და „სასიყვარულო ბართებს“ ნახავთ, ნანი ჩიქვინიძე დღესაც მოგხიბლავთ სხვად ქცევის ხელოვნებით.

სხვათა შორის, ეს სპექტაკლიც თემურ ჩხეიძის დადგმულია.

ამ როლშიც დაინახა და, საბედნიეროდ, იმ დროს ირგვლივ სხვა ვერავინ შენიშნა.

სხვათა შორის, ამ სპექტაკლს უკვე ოცდახუთი წელია, ნანი ჩიქვინიძე და გია ბურჯანაძე წარმოადგენენ და მათ თამაშს ოსტატობის ზრდა უფრო ეტყობა, ვიდრე წლების მატება.

ბავშვობაში თენგიზ აბულაძე და რეზო ჩხეიძე იყვნენ მისი რეჟისორები.

თეატრალურ ინსტიტუტში მიხეილ თუმანიშვილის შეგირდი იყო.

ბედი თემურ ჩხეიძეს დაუკავშირა.

საუკეთესო სპექტაკლებში მანაც ათამაშა და მედეა კუჭუხიძემაც...

ჯვარი სწერია და შემთხვევით არ ეძახიან ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულს.

ამას წინათ დიმიტრი ხვთისიაშვილმა მითხრა, რამდენიმე თვეში ნანი ჩიქვინიძეს საიუბილეო თარიღი აქვსო.

თვითონ თურმე არ მაღავს, მაგრამ აქ მაინც არ გავამხელ.

კიდეც რომ დავწერო, ისეთ ფორმაშია, მკითხველს შეცდომა ეგონება და სულ მცირე ათ წელს მაინც გამოაკლებს.

უბრალოდ, ახალი როლები და წარმატებები ვუსურვოთ.